გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№240 (299) 8-15 ოქტომბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## სააკაშვილის მოღორებამდე დარჩა 19 დღე

# “ზესტაფონო, ზესტაფონო გშორდები, შორს მივდივარ, შორს მივდივარ, მშვიდობით!..”

1921 წელს, როცა მენშევიკები საქართველოდან, ზესტაფონის გავლით, შორეულ ემიგრაციაში მიდიოდნენ და უკან დაბრუნების იმედი გადაწურული ჰქონდათ, სწორედ მაშინ წაიღიღინა ვიღაცამ ეს მელოდია სევდიანად. მართალია, **“კომპოზიტორის”** ვინაობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ეს მელოდია და ლიბრეტო დღესაც უიმედო განშორების სიმბოლოდა შემორჩენილი.

სწორედ ეს მელოდია უხდება ყველაზე მეტად მიშა სააკაშვილს, რომელმაც იცის, რომ სულ მალე დაემშვიდობება საქართველოს პრეზიდენტის პოსტს და ისეთივე არარაობად იქცევა, როგორებიც მისი გუნდის წევრები არიან, თუნდაც პარლამენტარები, მაგრამ მაინც სრული არარაობები, რადგან მათთვის პარლამენტობა არის არა წესიერი შრომისა და ხალხისადმი მსახურების არენა, არამედ **“შავი ფულის”** შოვნის ინსტრუმენტი, თუნდაც მოხვეჭის ამ ავბედით პროცესს სრულიად საქართველოს არსებობა შეეწიროს.

დიახ, სწორედ ამიტომ სხედან დღეს პარლამენტში ძალადობით **“გამარჯვებული”** ვაშაძეები, კანდელაკები, ახალაიები, ბაქრაძეები, მინაშვილები, თაქთაქიშვილები, წიკლაურები, გაბაშვილები, ბარამიძეები, საჯაიები, ბოკუჩავები და სხვა პოლიტიკური ვიგინდარები, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას წარმოადგენს ქვეყნის აღმავლობის პროცესების დამუხრუჭება, ყოველგვარი პროგრესულის წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტება, ქვეყნის დანაწევრება ტერიტორიების გასხვისების გზით, და რაც მთავარია, დიდი ფულისა და ქონების დაგროვება მათ მიერ ისედაც დაბეჩავებული და გაღატაკებული ქართული მოსახლეობის ხარჯზე...

მიხეილ სააკაშვილის ზეობის ცხრა ავბედითი წლის განმავლობაში ვცდილობდი ერთხელ მაინც შემექმნა მისი ფსიქოპორტრეტი, მაგრამ ვერ შევძელი, სოციალური თუ მენტალური ფონის უქონლობის გამო. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ მიხეილ სააკაშვილი იმ საკოლმეურნეო ბაზრის მუშას ჰგავს, რომელიც ყოველდღიური საშოვრის აზარტითაა გატაცებული და სამუშაო დღის ბოლოს მისი განწყობილება განპირობებულია იმით, თუ რამდენი ფული იშოვა მან იმ დღეს!

სააკაშვილი იმგვარი მოტივებით ამთავრებს თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომ დიდი ფული კი იშოვა, მაგრამ მთლიანად ვერ შეინარჩუნა და საკმაო ნაწილის უკან დაბრუნება უწევს, რაც არის კიდეც, უკანასკნელ ჟამს, მისი სასოწარკვეთისა და გაანჩხლების მიზეზი.

ახლახან თბილისის შემოვლითი რკინიგზის სამუშაოების შეჩერების გამო დაემართა გულყრა სააკაშვილს, რადგან რკინიგზის ხაზისაგან გამონთავისუფლებული ტერიტორია უკვე გაყიდეს მან და უგულავამ და ახლა იმ ფულის უკან დაბრუნებაც მოუწევთ!

ცნობილ რუს მწერალსა და პუბლიცისტს ვ. ლესნიკოვს თავის ნაწარმოებში **“სობორიანები”** ერთ-ერთ გმირად ჰყავს შეყვანილი სქელგავიანი სომეხი, შანტაჟისტი **თერმოსესოვი**. შესანიშნავი ფსიქოპორტრეტია, რომელიც გაფიქრებინებს, რომ მის შემქმნელს ნატურად ალბათ სააკაშვილი ჰყავდა – სქელი გავა, წვრილი თავი, ვიწროდ ჩამჯდარი თვალები, უკულტურობის მიმანიშნებელი მანერები, ცხვირის ხელით მოხოცვა... ყოველივე ეს პარამეტრები წარმოგვიდგენენ ტიპიურ აზიატს მტაცებლური ბუნებით, მომხვეჭელობის დაუოკებელი სურვილით, სადისტური მიდრეკილებებით, მონური სულისკვეთებით, რომელშიც ჩაბუდებულია მოძალადე მბრძანებელი და დაუნდობელი პოლიტიკური ინტრიგანი...

და ეს ადამიანი (უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა – **“არაადამიანი”**) ქართველებს ევროპულობასა და დახვეწილ მანერებს გვასწავლის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მახათას მთაზე, ეკლესიის საძირკვლის ჩაყრისას, ნარკოტიკებისაგან ტვინგამოლაყებული და თვალებმიბლიტული უაზროდ ჩაებერტყა პატრიარქის სავარძელში, საიდანაც რამდენიმე კაცმა ძლივს წამოაყენა...

რაოდენ გულსატკენია, რომ სწორედ ქართველებს გვერგო წილად ამგვარი მანიაკი არაქართველი, რომელიც უკვე ვეღარ მალავს, რომ საქართველოს სრულიად განადგურება ვერ მოახერხა და, ამიტომაც, სამარცხვინოდ და უსახელოდ მიდის პოლიტიკური არენიდან!

რაც უფრო უახლოვდება პოლიტიკურ აღსასრულს, სააკაშვილს სულ უფრო და უფრო უჭირს თავისი პლებეური ბუნების ვუალირება. გაიხსენეთ თუნდაც მის მიერ, ამას წინათ, თბილისის შემოვლით რკინიგზასთან დაკავშირებით ნასროლი კინტოების ფრაზა: **“ივანიშვილს მოვუწოდებ, აზრზე მოვიდეს!”**. მე თბილისში ვარ დაბადებული და აღზრდილი და კარგად ვიცნობ თბილისელი სომხების დიალექტს, რომლებიც, როცა საკუთარ ფარულ მიზანს ვერ აღწევენ, მოწინააღმდეგეს დაბოღმილები ეტყვიან ხოლმე **“აზრზე მოდი, ტო...”**.

არა და, როცა რიგი არასამთავრობოების და ექსპერტებისა კონკრეტული ციფრების მოშველიებით ამტკიცებენ, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტი აშკარად წამგებიანია ქართული ეკონომიკისათვის, დუჟმორეული სააკაშვილი მაინც ჯიუტად დგას თავისაზე.

თანდათან კარგავს სახეს ეს მართლაც ინტრიგანი ნაძირალა და რაღას არ აბრალებს იმ ივანიშვილს, რომელმაც წირვა გამოუყვანა მის პოლიტიკურ კარიერას. საჯაროდ გაჰკივის, რომ **“ქართული ოცნება”** საქართველოს ჭაობში ეზიდებაო. სამწუხაროდ, არავინ სჩანს ისეთი, რომელიც პირში მიახლის ამ დაშნაკ არამზადას, რომ სწორედ მან და მისმა აღვირახსნილმა ბანდამ შეიყვანეს საქართველო ხაზინის ქურდობის, სასიცოცხლო დარგების მონოპოლიზირების, კორუფციისა და ძალადობის ჭაობში, საიდანაც მის გამოყვანას დიდი ხნის თავაუღებელი შრომა და მტკიცე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება სჭირდება!

აი, რა დაგვრჩა ამერიკელების მიერ **“დემოკრატიის შუქურად”** აღიარებული ნარკომანი მიხეილ სააკაშვილისაგან – მეწვრილმანე კინტო, რომელმაც მისთვის სამყოფი სარფით ვერ გაასრულა საქართველოს ტერიტორიებით ვაჭრობა. არა და, სწორედ ამ შემოვლითი რკინიგზის პროგრამის განხორციელებით უნდა ეშოვნათ დიდძალი ფული სააკაშვილს, უგულავას და მათ ბანდას. როგორც ითქვა, მათ უკვე წინასწარ ჰქონდათ მიყიდული უცხოელებისათვის რკინიგზის ხაზის გადატანის შემდეგ ქალაქის ცენტრში გამონთავისუფლებული ტერიტორიები, ახლა კი, როცა აღნიშნული პროექტი სავსებით ობიექტურ გარემოებათა გამო შეჩერდა, რა თქმა უნდა, სააკაშვილს, უგულავას და მათ საშოვარზე გადაგებულ თანამზრახველებს აქვთ გაწიწმატების მიზეზი, რადგან წინასწარ აღებული თანხების უკან დაბრუნება მოუწევთ.

განა იგივე მიზეზით არ იბრძვიან სააკაშვილი და მისი ბანდა, რომ პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში არ დააბრუნონ, რადგან მათ განზრახული ჰქონდათ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მალევე დაეპატრონებოდნენ, სომხები, თურქები არაბები თუ სხვადასხვა ჯურის არაქართველები?! სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ამ გარიგებიდანაც ხომ საკმაოდ დიდი თანხა აიღეს, ახლა კი, მიცემულ დაპირებათა შეუსრულებლობის გამო, ავანსად აღებული თანხის უკან დაბრუნება მოუწევთ!

მოკლედ, **“ქართული ოცნება”** მართლაც მესაფლავედ ექცა სააკაშვილსა და ნაცებს და ბუნებრივია, რომ ისინი ამგვარი გააფთრებით იბრძვიან უკვე **“მოვერაგებული”** დიდძალი ფულისა და ქონების შესანარჩუნებლად!

ტყუილად როდია ნათქვამი: სიმახინჯე სიმახინჯეს შობსო!

ერთ-ერთი ამგვარი სიმახინჯე ნაცების წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კომპანიის კლიპი გახლავთ, სადაც ისინი **“ქართულ ოცნებას”** ხალხისადმი მიცემული პირობების შეუსრულებლობაში სდებენ ბრალს. არა და, **“ქართულმა ოცნებამ”** უმოკლეს ვადაში მოახერხა ის, რომ ნაცების მიერ გაღატაკებული ხალხის ცხოვრება მეტნაკლებად ასატანი გახადა პენსიების თუნდაც უმნიშვნელოდ მომატებით, ენერგომატარებლებზე ფასების ასევე თუნდაც უმნიშვნელო კლებით, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების დარიგებით, უფასო სწავლების დაკანონებით თუ ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობით, ნაციონალების მიერ ქაოსში გახვეული ქართული ეკონომიკის **“ჭკუაზე მოყვანით”**, (ისიც უნდა წარმოიდგინოთ, თუ როგორ გაგვიძვირებდნენ ისედაც გაძვირებულ ცხოვრებას **“ნაციონალები”**, მათ რომ 2013 წლის ოქტომბრის არჩევნებში გაემარჯვათ, რათა ჩვენი კისრიდან ამოეღოთ არჩევნების გაყალბებისათვის დახარჯული თანხები – რ.ჯ.) რაც აშკარად არ შედიოდა ქვეყნის დამაქცევარი ნაცების გეგმაში. დაშნაკების გეგმის ჩაშლას კი სააკაშვილი და მისი ამერიკელი შემკვეთები რომ ვერ ურიგდებიან, ამიტომაც აღარ ერიდებიან საკუთარი ვერაგული გეგმების გამჟღავნებას და ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნების სურვილს! ამიტომ მიდიან ყოველნაირად უკადრის საქციელზე, რაც მიმდინარე არჩევნებში ნათელაშვილებს, სურამელაშვილებს და სხვა პრეტენდენტებსაც კი სასურველ კანდიდატებად წარმოაჩენს. მათ კი ქვეყნის გაძღოლის არც თეორიული და არც პრაქტიკული გათვლა არ გააჩნიათ, კომიკურ ფიგურებად გამოიყურებიან და მათი საპრეზიდენტო ამბიცია მხოლოდ ერთი არგუმენტითაა გაჯერებული: **“სწორედაც რომ ჩვენ უნდა აგვირჩიოთ იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილზე ბევრად უკეთესები ვართ”!**

რას იტყვით, იმდენად მყარი არგუმენტია, რკინას რომ გაკვნეტს!

რა თქმა უნდა, მათ ფონზე ლამის ღიმილისმომგვრელად გამოიყურება ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** დონკიხოტური მონდომება, რომელმაც მრავალი უძილო ღამე გაითენა, რათა შეექმნა ფუნდამენტური ნაშრომი **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, რომელიც შემდეგ არც საშოვარს დახარბებულ მოქალაქეთა კავშირს დასჭირვებია არაფერში და არც საქართველოს ორ გროშად გამყიდველ ნაციონალურ მოძრაობას!

მახსენდება ანეკდოტი კახელზე, რომელიც საკუთარ ეზოში ისვენებდა და ჩამოვლილმა უცხოელმა ტურისტებმა ხან ინგლისურად ჰკითხეს რაღაც, მერე კი ხან ფრანგულ, ხან გერმანულ და ხანაც ესპანურ ენაზე, მაგრამ ვერაფერი გააგებინეს. კახელს ცოლმა უსაყვედურა: ხომ გეუბნებოდი ერთი უცხო ენა მაინც ისწავლე, გაიგებდი მაინც რას გეკითხებოდნენ უცხოელებიო.

– დედისმაგათამ, ხუთი ენა თუ იცოდნენ, რაში გამაადგათ რო? – არხეინად უპასუხა კახელმა და ჭილოფზე გვერდი იცვალა.

ზუსტად ასე არ გამოადგათ არც მოქალაქეთა კავშირელებსა და არც ნაციონალებს **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, რადგან, რუსების ერთი მოსწრებული თქმისა არ იყოს, **რაში სჭირდება მღვდელს აკორდეონი?**

წერა-კითხვა მათ არ იციან, ქვეყნის ნგრევას კი, ეს უმეცრები, ისედაც, ყოველგვარი იდეებისა და იდეოლოგიის გარეშე ახერხებდნენ ამერიკიდან მიღებული ვერაგული დაშნაკური გეგმით?!

მოკლედ, ვერაფერში ვერ დააჯერა უკეთურმა და უღღეურმა პრეზიდენტად წოდებულმა არარაობამ – მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ერი, რადგან მისი ანტიქართული საქმიანობა თანდათან უფრო თვალნათელი ხდება. ამიტომაც, ჯერ კიდევ მორჭმით ზის ეს პოლიტიკური გვამი ავლაბრის რეზიდენციაში და ალბათ სომხური პრონონსით დუდღუნებს:

**“ავლაბარ-ჯან, ავლაბარ-ჯან გშორდები, შორს მივდივარ, შორს მივდივარ, მშვიდობით...”**

შორს კი ნამდვილად ვერ წავა ეს პოლიტიკური მატრაბაზი და პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე, რადგან ავლაბრის რეზიდენციიდან გლდანის ციხემდე სულ რამდენიმე კილომეტრია!

გზაც იქით ჰქონია!

**როლანდ ჯალაღანია,**
**მთავარი რედაქტორი,**
**“აია”ს და “ფაზისი”-ს აკადემიების**
**ნამდვილი წევრი**

# კიდევ ერთი ღია წერილი ჩემს აფხაზ დებსა და ძმებს!

ამას წინათ, გაზეთ **"ილორის"** ერთ-ერთ ნომერში გამოვაქვეყნე წერილი, რომლითაც მივმართავდი ჩემს აფხაზ მეგობრებს, რომ დროა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა მიზეზით დავუშვით გამოუსწორებელი შეცდომა მაშინ, როცა იარაღი მივუშვირეთ ერთმანეთს. არ გადაგღლით ჩემი წერილის ციტირებით, მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთს გავიმეორებ: **"ჩვენ, როგორც მეგობრებმა, ვალდებული ვართ სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს, რადგან სწორედ ორპირობამ და სიცრუემ მიიყვანა ჩვენი ხალხები სამარცხვინო დაპირისპირებამდე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამ სამარცხვინო დაპირისპირებაში არაფერ შუაში არაა არც ქართველი და არც აფხაზი ხალხი და ომისშემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ეს შარი ქართველ და აფხაზ ხალხს თავზე მოახვია ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც წინასწარ მოელაპარაკა რეაქციულ ძალებს და აფხაზეთის დათმობის სანაცვლოდ პუტჩით დაამხო გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება და საიმედოდ დაიბევა საქართველოს პრეზიდენტის პოსტი.**

**გაიხსენეთ, შევარდნაძის ბანდფორმირებებმა, ვიდრე აფხაზეთს შეესეოდნენ, როგორი ცოდვის კალო დაატრიალეს სამეგრელოში, რადგან კარგად იცოდნენ, რომ სამეგრელოს დათრგუნვის გარეშე (მით უმეტეს, დიდი კონსტანტინეს ვაჟის – ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას) ისინი ვერასოდეს მოახერხებდნენ აფხაზეთში იარაღით შეჭრას! ეს ედუარდ შევარდნაძის ბოროტი ნება გახლდათ და არა ქართველი ხალხის მისწრაფება."**

მე არც იმ წერილის ციტირებას დავიწყებ, რომელიც ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა მომწერა, რადგან მასში იმდენი ზიზღი და ბრმა სიძულვილია ჩაქსოვილი, რომ სპეცსამსახურის კაბინეტში შეთხზულ ეპისტოლეს უფრო ჰგავს, ვიდრე პროფესიონალი ჟურნალისტის ნააზრევს. ამდენად, მისი დაწვრილებითი ციტირება მხოლოდ დაძაბავს სიტუაციას და სასურველ შედეგამდე ნამდვილად ვერ მიგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მიუხედავად წერილის გამაღიზიანებელი ტონისა და ყოვლად საძრახისი შინაარსისა, მაინც გამეხარდა მისი შემოპასუხება, რადგან, თუნდაც მძაფრი და დაძაბული პოლემიკა სჯობს უბრობასა და ერთმანეთისადმი ზურგის შექცევას!

რაც შეეხება ჩემს მეგობარს (მე იგი კვლავაც ჩემს მეგობრად მიმაჩნია, რადგან მეგობრობის ბედი არ შეიძლება თუნდაც რამდენიმე საფუძვლიან წყენაზე იყოს დამოკიდებული), იგი იმდენად გაერთო ჩემთვის გულსატკენი პოლიტიკური კაზუისტიკით, რომ გენერალი კვინიტიძე და ლავრენტი ბერიაც კი ამოიღო საფლავებიდან, როგორც აფხაზთმოძულეები. ნაკლებ სარწმუნოა, რომ იგი გაცნობილი იყოს იმ პერიოდის პუბლიცისტიკას, თორემ დარწმუნდებოდა, რომ კვინიტიძე დენიკინის ჯარებს ებრძოდა და აფხაზეთი არ აუოხრებია. არავითარი სურვილი არა მაქვს, ვინმეს ვაიძულო მისთვის არასიმპათიური პიროვნებისადმი პატივისცემა, მაგრამ, რაც შეეხება ლავრენტი ბერიას, არავინ უარყოფს, რომ მას გარკვეული ცოდვები აქვს ჩადენილი ქართველთა და აფხაზთა მიმართ, მაგრამ, როცა ავს ვიხსენებთ, არც კარგი უნდა დაგვავიწყდეს – სწორედ ბერიას სახელს უკავშირდება კოლხეთის ჭაობების დაშრობა, რომლის განუყოფელი ნაწილია დღეს აფხაზეთს შემადგენლობაში მყოფი სამურზაყანო. ამ მასალების გაცნობა რუსული ისტორიული წყაროებითაც შეიძლება. ამიტომ არის აუცილებელი, რომ ჟურნალისტმა ისარგებლოს ობიექტური ლიტერატურული წყაროებით და არა რაღაც ინსტრუქციებით!

მესმის, რომ ომი სისასტიკეს შობს და კიდევ ერთხელ მინდა მივუსამძიმრო იმ აფხაზ დედას, რომელსაც ვიღაც არაკაცმა შვილი ააკლა ხელში! მაგრამ, განა იგივე არ მოხდა ზუგდიდში, როცა ვიღაც გამხეცებულმა მხედრიონელმა დედას ჩააკლა ხელში შესანიშნავი მოქალაქე და არქიტექტორი გოჩა ფიფია?! ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ამგვარ არაკაცს, თუნდაც ეთნიკურად ქართველს, ჩვენ როდისმე გვერდში ამოვიყენებთ? ისინი ხომ შევარდნაძის მიერ დაგეშილი მკვლელები იყვნენ, რომელთაც აფხაზეთზე არანაკლები ცოდვა დაატრიალეს საქართველოში!

იმასაც ვიტყვი, რომ მეგობრებისათვის გულის ტკივილის სურვილი არასოდეს მქონია და არც მექნება. ერთადერთი, რაც მახასიათებს, მეგობრებისადმი ჩემი გულისტკივილის გაზიარებაა, რადგან მტერი ვერასოდეს გამიგებს და არც სამართლიან რჩევას მომცემს. სწორედ ამან გამაბედინა, რომ აფხაზი კოლეგისათვის გულახდილად გამეზიარებინა ჩემი გულისტკივილი, რაც მისმა ხსენებულმა პუბლიკაციამ გამოიწვია. დამერწმუნეთ, ჩემს წერილში არავითარი ფარული აზრი არ იმალებოდა და, ამდენად, არ შეიძლება ჩემზე არაკორექტულობის დაბრალება!

ფაქტია, რომ ვიღაცას სასტიკად არ სურს ქართველებსა და აფხაზებს შორის კეთილმოყვრული ურთიერთობების აღდგენა და ყოველნაირად ცდილობს ჩვენი საზოგადოებების გათიშვას, რისთვისაც არჩეული აქვს ხალხთა შორის ზიზღისა და უნდობლობის თესვის საძრახისი მაგალითი. ჩვენი ტრადიციული სიბრძნე კი იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ არ ავყვეთ ამგვარ პროვოკაციებს და ვეცადოთ ნორმალური ურთიერთობების აღდგენას, რადგან მიუხედავად ჩვენს თავს დამტყდარი უბედურობებისა, მაინც გრძელდება შერეული ოჯახების შექმნა ქართველებისა და აფხაზების მიერ.

გავიხსენოთ, თუ რას ამბობდა ჯერ კიდევ 1996 წლის დეკემბრის ინტერვიუში ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში **"Завтра"**:

**"ომმა ათასობით სიცოცხლე იმსხვერპლა. აფხაზეთი დატოვა 200 ათასზე მეტმა ქართველმა, ბევრმა აფხაზმა, რუსმა, უკრაინელმა, ბერძენმა. ვიღაც დაბრუნდება, სახლს აიშენებს და ხელახლა დაიწყებს იქ ცხოვრებას, მაგრამ ბევრი, ახალ ადგილზე ვაი-ვაგლახით მოწყობილი და მიჩვეული, ვფიქრობ, აღარ დაბრუნდება. ეს საშინელებაა, რადგან დაირღვა შესანიშნავი სოციოკულტურული ერთიანობა. აფხაზეთის ხალხმა ორგანულად გააერთიანა თავისი ეროვნებებისა და ხალხების გამაერთიანებელი ტრადიციები, ადათ-წესები, ხასიათი და თავისებურებანი, შექმნა ადგილობრივი ადამიანის ერთიანი კოლორიტული ტიპი, უნიკალური ყოფითი კულტურა, ურომლისოდაც ვერ წარმოუდგენიათ საკუთარი თავი ვერც ადგილობრივ ქართველებს და ვერც აფხაზებს. აფხაზეთის დღევანდელი ხელმძღვანელების განცხადება, რომ სისხლით, ტრადიციებით და ადათებით აფხაზები უფრო ახლოს დგანან ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, – არასწორია. არაბებიც და ებრაელებიც სემიტები არიან, მაგრამ მოძმე ხალხს ვერაფრით უწოდებ. ავიღოთ იგივე ნათესაური კავშირები: ადიღეელებსა და ყაბარდოელთაგან აფხაზების დანათესავების შემთხვევები უკიდურესი იშვიათობა იყო, იმ დროს, როდესაც ადგილობრივ ქართველებსა და აფხაზებს შორის ქორწინება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ".**

ყველამ უნდა შეიგნოს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ადამიანების ურთიერთობას ვერც მავთულხლართები შეაკავებენ და ვერც ზიზღითა და სიძულვილით გაჟღენთილი რიტორიკა. ადამიანთა ურთიერთობა საკუთარ ეზოში მწვადის შეწვისას გავრცელებულ არომატს შეიძლება შევადაროთ, რომელსაც ვერცერთი მაღალი მესერი ვერ აკავებს და თავისუფლად გადადის მეზობლის ეზოკარში. ასევე არ გააჩნია მკაცრად შემოფარგლული საზღვრები ადამიანთა ურთიერთსიყვარულსა და ნდობას.

სწორედ ეს აშინებს ჩვენს საერთო მტერს და ამიტომაც გვამარაგებს უხვად იმ **"კონსპექტებით"**, რომელიც კვლავაც უნდობლობის, სიძულვილისა და სისხლის არომატითაა გაჯერებული!

იმან იკითხოს, ვისაც ნაღდ აფხაზთან არასოდეს უმეგობრია, თორემ ჩემი აფხაზეთი მე სახლში მაქვს – ჩემმა შვილისშვილმა ახლახან შეირთო მეუღლე, რომლის ბებია – ქალბატონი ჯულიეტა მარშანია გახლავთ ნაღდ აფხაზ თავადთა ღირსეული შთამომავალი, დიდებული ქალბატონი, რომელმაც იცის მხოლოდ აფხაზური და რუსული ენა. მან ბინა გაყიდა მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა, ჩამოვიდა თბილისში, აქ დასახლდა შვილისშვილებთან და მალე აფხაზი მეგობრებიც გაიჩინა. ასე რომ, ჩემს ოჯახშიც ხშირად ვხვდები ძირძველ აფხაზებს – შერვაშიძეებს, მარშანიებს, ემხვარებს, აფაქიძეებს, ლაკერბაიებს. ესენი არიან აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებული, მაღალინტელექტუალური, ფაქიზი გრძნობადობის მქონე პრინციპული ადამიანები, რომლებიც წამით არ გაჩერდებიან იქ, სადაც მათ მიმართ იდიასინკრაზიასა და უნდობლობას იგრძნობენ! ესენი ის ზნემაღალი ადამიანები არიან, რომელთან მეგობრობას მრავალი აფხაზიც ინატრებდა (განსაკუთრებით ის გააფხაზებული ქართველები, რომელთაც პირმოთნეობით სურთ დაამტკიცონ, რომ რომის პაპზე მეტი კათოლიკეები (ანუ – ძირძველ აფხაზებზე დიდი აფხაზები) არიან და ვიღაცეების გულის მოსაგებად მხოლოდ ბრმა სიძულვილის ენით საუბრობენ ქართველებთან), რათა თვალნათლივ დაინახონ, თუ როგორი ამაღლებული სულით გამოირჩევიან სხვებისაგან ნამდვილი აფხაზები!

მე, **"ჩემი აფხაზეთისათვის"**, ესეც მყოფნის, რადგან, ზოგიერთებივით, სხვისი მიწის დაუფლებაზე არასოდეს მიფიქრია! კარგად ვიცი, რომ ადამიანს მცირეოდენი მიწა ჰყოფნის – ერთი მეტრი ორ მეტრზე (ბევრს – უფრო ნაკლებიც) და ამ, ღმერთის მიერ მიჩენილ ფართს, უნდა დასჯერდეს! ხოლო ვინც სხვის მიწას მუდამ მტაცებლურადაა მიჩერებული, ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს აფხაზეთში და მალე ექცევათ თავისტკივილად ჩვენს მოძმეებს!

რაც შეეხება ჩემზე ნიანგის ცრემლების დაბრალებას, ამაში ნამდვილად ვერ დავეთანხმები წერილის გამომგზავნ მეგობარს, რადგან ყველამ იცის, რომ ფარისევლობა და მაცდურად ცრემლის ღვრა არ მჩვევია, ყოველთვის პირში ვეუბნები სათქმელს ადამიანებს, რაც ხშირად მიჩენს ხოლმე მტერს, მაგრამ მტრების სიუხვე ნამდვილად არ მაშინებს და ვერავინ მაიძულებს წავიდე საკუთარი ნების წინააღმდეგ და დავთანხმდე იმ პოლიტიკური სუფლიორების ნაკარნახევს, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, არც აფხაზებს აკლიათ და არც ქართველებს!

მე ჩემი მოძმე აფხაზები იმ უმადურობასთან დაკავშირებულ საფრთხეზე გავაფრთხილე, რომელიც მაშინ დაგვატყდა თავს ქართველებს ჩვენს მიერ კეთილმოყვრულად შეფარებული თურქეთიდან სიკვდილს გამოქცეული ადამიანებისაგან, როცა მათგან მადლობას ველოდით.

დანარჩენი კი თქვენ იცით, ჩემო აფხაზო ძმებო და დებო...

დამერწმუნეთ, არ შეიძლება ქართველების გაიგივება შევარდნაძესთან, კიტოვანთან, იოსელიანთან, სააკაშვილთან და იმ სხვა ნაძირალებთან, რომელთაც აფხაზებზე არანაკლებ დააზარალეს ქართველი ხალხი და რომელთა გასამართლებას (თუნდაც მათი ამ ქვეყნიდან გადასვლის შემდეგაც) და სამაგალითოდ დასჯას მოითხოვს ქართველი ხალხი, რათა მომავალში ვერავინ გაბედოს და წაეპოტინოს თავისი ბინძური ხელებით საქართველოს სახელმწიფოებრიობას!

როგორ შეიძლება იმ დაშნაკი მიხეილ სააკაშვილის გაიგივება ქართველ ხალხთან, რომელმაც თავის ამასწინანდელ საზღვარგარეთულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა: **"აფხაზეთში იმ პირობებში ხდებოდა ომი, როცა ჯერ ჩვენ მოგვცეს იარაღი ახალციხეში, ახალქალაქში ბაზა დახურეს, მთელი იარაღი გადმოგვცეს, ბედნიერი კიტოვანი მოახტა ამ ტანკებს და გაიქცა სოხუმში. მერე მოულოდნელად აფხაზები თავს დაესხნენ გუდაუთის ბაზას, გაიტაცეს მთელი იარაღი იქიდან და შემდეგ რუსეთი უყურებდა, ცოტა წავიწევდით წინ – დაგვბომბავდა, არ წავიწევდით წინ – რაღაცებს კიდევ აქეთ გადმოგვიგდებდა, თვალებს ჩაგვიპაჭუნებდა. და ასე მიიყვანა საქმე იქამდე, რომ ორივე ნელ-ნელა სისხლისგან დაცალა... და მერე დაიჭირა აფხაზების მხარე იმიტომ, რომ აფხაზები ვერასდროს სახელმწიფოს ვერ შექმნიდნენ".**

განა შეიძლება ეთნიკურად არაქართველი დაშნაკის ასეთი შეურაცხმყოფელი ფრაზა სრულიად საქართველოს მივაწეროთ და სწორედ ამგვარი გამონათქვამებით ვთესოთ ხალხებში ბოღმა და სიძულვილი? გამოდის, რომ ვერ ვართ იმ ჩვენს დიდებულ წინაპართა ღირსეული შთამომავლები, რომლებიც მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინში!

ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს ჭკუა დავარიგო. უბრალოდ, მინდა, რომ სიძულვილის ენით აღარ ველაპარაკოთ ერთმანეთს, იმიტომ, რომ სიძულვილს კარგი არაფერი მოუტანია ჩვენთვის და არც არასოდეს მოგვიტანს. წარსულს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ, მიუხედავად დიდი გულისტკივილისა, მაინც არ შეიძლება წარსულში ჩარჩენა, ამიტომ, ჩვენც ნუ ჩავრჩებით მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. წარსულში ჩარჩენა ხომ ბარბაროსობისა და პერსპექტივის ხედვის დეფიციტის მიმანიშნებელია!

არსებობს სიტყვა **"მომავალი"**, რომელიც იმ იმედთან ასოცირდება, რომ ჩვენს ხალხებს შორის ვიღაცის ბოროტი ნებით აღმართული ხელოვნური ბარიერები როდისმე აუცილებლად გადაილახება, ამას კი დიალოგი სჭირდება, რომელიც, ადრე იქნება თუ გვიან, აუცილებლად შედგება ჩვენს შორის. და რაც უფრო მალე დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, მით უფრო კარგი იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის! ჩვენს შორის არსებულ გაუგებრობებს ვერც რუსები აღმოგვიფხვრიან და ვერც ამერიკელები – ეს ჩვენ თვითონ უნდა გავარკვიოთ. ნუთუ ძნელი განსაჭვრეტია ის ამბავი, რომ ჩვენს შორის დიალოგს ეწინააღმდეგებიან სწორედ ის **"ძლევამოსილი"** (არა)ადამიანები, რომელთაც დიდძალი ფული და ქონება მოიხვეჭეს ჩვენს შორის ატეხილი საძრახისი ომისას და ახლა ეშინიათ, რომ აფხაზებისა და ქართველების მშვიდობიანი მოლაპარაკებებისას გამოაშკარავდება მათი შავბნელი საქმეები. სწორედ მათ აძლევთ ხელს, რომ ჩვენ კვლავაც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს ვიდგეთ და ერთმანეთს გამუდმებით ვუღრინოთ მანამ, ვიდრე გული ფურუნკულად არ გვექცევა!

ნუთუ ასე ძნელია ჭეშმარიტების დადგენა?

პროფესიონალი ჟურნალისტისათვის ჭეშმარიტების მხარეს დგომა ღვთისაგან ნაკურთხი კეთილშობილური პოზიციაა! ჭეშმარიტების უგულვებელყოფა კი არაკეთილმოსურნეთაგან დადგენილი ის საყარაულო პოსტია, რომელსაც ნაკლები სულიერებისა და ინტელექტის მქონე თოფიანი კაცი იცავს! ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თოფი ჟანგდება, ჭეშმარიტების საყრდენად ქცეულ მაღალ სულიერებას კი ჟანგი არასოდეს მოერევა!

როგორც არ უნდა ვეცადოთ წარსულის სიკეთეების წარხოცვას ხალხების მეხსიერებიდან, ისტორიის ანალები მაინც უტყუარად ღაღადებენ, რომ ჩვენი ჰარმონიული თანაცხოვრების პერიოდში როგორც საქართველოში, ასევე აფხაზეთში თანაზომიერად ვითარდებოდა ორივე მშობლიური ენა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში აფხაზებს ყოველთვის ეკავათ უმაღლესი საკვანძო თანამდებობები. ამიტომ არის ჭეშმარიტებას მოკლებული ზოგიერთი დუჟმორეული ვაი-პოლიტიკოსისა და ვაი-ჟურნალისტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ამ პერიოდში ქართველების მიერ ადგილი ჰქონდა აფხაზთა რასობრივ სეგრეგაციას, ითრგუნებოდა აფხაზი ხალხი და ილახებოდა მათი სასიცოცხლო ინტერესები, მაშინ, როცა საქართველოში, აფხაზისათვის, არასოდეს არავის არ აუკრძალავს მშობლიურ ენაზე საუბარი... ნაკლებ ერკვევა ზოგიერთი **"პროფესიონალი"** ჟურნალისტი პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, თორემ კარგად უნდა იცოდეს, რომ შოვინიზმი და სეგრეგაცია გახლავთ მშობლიური კერებიდან განდევნილი ხალხისათვის მათ საცხოვრისში დაბრუნების მოთხოვნაზე კატეგორიული უარის თქმა, მათი ეთნიკური კუთვნილების გამო, მათთვის არასასურველად მიჩნეულ ენაზე სკოლებში სწავლის აკრძალვა, მაშინ როცა დაშვებულია სხვა არააფხაზური ენების სწავლება და სხვა...

სეგრეგაციაზე მეტი სიბნელე და ბარბაროსობა მართლაც რომ არ არსებობს!

ეს პოლიტიკური ანბანური ჭეშმარიტება კარგად უნდა იცოდეს საზოგადოების ყველა წევრმა, მით უმეტეს იმ საზოგადოებისა, რომელსაც საერთაშორისო ინდივიდუალიზმის კუთხით გარკვეული პრეტენზიები გააჩნია!

ამიტომ, არა მგონია, ჩვენს ხალხებს შორის სრულიად უსარგებლო, მახინჯ რუდიმენტად შემორჩენილი კონფლიქტის ამოწურვის სხვა გზა არსებობდეს, გარდა პირდაპირი დიალოგისა. ამიტომ, კიდევ უფრო ნუ დავძაბავთ ურთიერთობებს ზოგჯერ უაზრობაში გადასული სიძულვილის ნაძალადევად თესვით!

ახლა, როცა საქართველოს დაეხსნა სააკაშვილის დაშნაკური ხელისუფლება და ქვეყნის სათავეში დღეს თუ არა, ხვალ მაინც უეჭველად მოვლენ პატრიოტული ძალები, გვეძლევა იმის რეალური საშუალება, რომ მშვიდად განვსაჯოთ ყოველივე და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ეს იქნება პირველი გარღვევა და იმ გზის დანახვის პერსპექტივა, რომელიც პოლიტიკური ჩიხიდან ამოიყვანს აფხაზებსაც და ქართველებსაც!

შევეშვათ უაზრო კინკლაობას და ნუ გავუშვებთ ხელიდან ამ შანსს!

შენ კი, ჩემო მეგობარო, უნდა იცოდე, რომ მავანთა სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ჭეშმარიტი აფხაზებისა და ჭეშმარიტი ქართველების საბოლოოდ გათიშვა და ისინი მაინც ჯიუტად მიიწევენ ერთმანეთისაკენ სამეგობროდ და საახლობლოდ!

რაც შემეხება პირადად მე, ჭეშმარიტი კოლხების შთამომავალი ვარ და ქვის ზურგს უკან დამალვა არ მჩვევია – თუ ვმეგობრობ ადამიანებთან, ამას პირადი გრძნობების კარნახით ვაკეთებ და არა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე – ვიღაცის მიერ მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად! ამიტომ, იოლად ვერ ველევი იმ ადამიანებს, რომელთანაც ჭიქა ამიწევია და მეგობრულად განმისჯია ავ-კარგი.

**როლანდ ჯალაღანია,**
**მთავარი რედაქტორი**

# ამბები სამეგრელოდან

## ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, ზუგდიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა

ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, ზუგდიდის მრავალპროფილურ საავადმყოფო **"რესპუბლიკაში"** გარდაიცვალა. 40 წლის ლევან წულაიას, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია ორი დღის წინ გაუკეთდა წარუმატებელი აღმოჩნდა. ის ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობა სცადა. მან საკუთარი ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა და გულ-მკერდის არე დაიზიანა. ახალგაზრდა პაციენტს ზუგდიდის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაციია ჩაუტარდა, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ მოახერხეს. მოგვიანებით ლევან წულაიას ცხედარი საკუთარ სახლში გადაასვენეს. ჯერჯერობით დაუდგენელია თუ საიდან ჰქონდა გარდაცლილს ცეცხლსასროლი იარაღი. ასევე უცნობია რა გახდა თვითმკვლელობის მიზეზი.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალი ხიდი გაიხსნა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის თემში ორი სოფლის დამაკავშირებელი ხიდი ოფიციალურად გაიხსნა. სატრანსპორტო ხიდი, რომელიც სოფლებს – კორცხელსა და ჭკადუაშს დააკავშირებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. სოფელ კორცხელის მოსახლეობამ სოფლის კრებაზე პრიორიტეტად სათორდიო-საჭითანაოს უბნის ხიდის მშენებლობა დაასახელა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 22 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფელ კორცხელის თემში ბაშისა და ნაცატუს უბანში უახლოეს დღეებში მოხდება შიდა გზების მოხრეშვა და საბავშო ბაღის რეაბილიტაცია. რეგიონალური განვითარების ფონდიდან კი სოფლის ხუთი ჭაბურღილიდან 150-მდე ოჯახი მიიღებს წყლის უწყვეტ ნაკადს.

## ჩემპიონატი მოკლე ნარდში

ახლახან სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 2013 წლის ჩემპიონატი მოკლე ნარდში ორგანიზაციებს შორის. აღნიშნულ ტურნირში წელს 18-მა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა შეხვედრები ოლიმპიური სისტემით გაიმართა და დასკვნით დღეს ნახევარფინალში **„კონსტანტა", „დევნილთა გაერთიანება", „სასპორტო გაერთიანება"** და **„სილქნეტის"** გუნდები დაწყვილდნენ. საბოლოოდ პირველი ადგილისათვის შეხვედრებში **„კონსტანტამ"** დაამარცხა **„სასპორტო გაერთიანება"**, ხოლო მესამე ადგილისათვის კი **„სილქნეტმა"** დევნილთა პოლიკლინიკის გუნდი. გამარჯვებულებსა და პრიზიორ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი სიგელები და ფასიანი ქაღალდები.

## მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი სტუმრად სენაკში

რეგიონალური პროგრამის განვითარების ფარგლებში, ბოლო თვეების განმავლობაში სენაკს უკვე მეოთხედ სტუმრობდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანია ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის აქტიური თანამშრომლობა. ამჯერად, 7 აგვისტოს მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ–გრუზინსკი და მინისტრის მჩეველი გიორგი გეგეჭკორი ესტუმრნენ სენაკს. სტუმრები სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან გოჩა დგებუაძესთან და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში იმყოფებოდნენ. რეგიონალური პროგრამის ფარგლებში უახლოეს მომავალში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი აღიჭურვება კინოს უახლესი აპარატურით, რაც ხელს შეუწყობს კინოჩვენებების აღდგენასა და პოპულარიზაციას. ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები გადაეცემა სენაკის სამუსიკო სკოლას. ამასთანავე გაგრძელდება მასტერ კლასები და საგანმანათლებლო კონცერტები კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობით. კიდევ ერთი დაწესებულება, სადაც სტუმრები იმყოფებოდნენ, სენაკის სამხატვრო სკოლა იყო. არსებული პრობლემების ადგილზე გაცნობის შედეგად გადაწყდა, რომ სამხატვრო სკოლას გადაეცემა ის აუცილებელი ძვირადღირებული რეკვიზიტები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების დონის ამაღლებას. ვიზიტის დასასრულს სტუმრებმა დაათვალიერეს ქ. შარტავას სახელობის მუზეუმი, სადაც მათ მეგზურობას უწევდა მუზეუმის მეცნიერ მუშაკი ნანა ფირცხალავა.

## ახალი სასწავლო წლისთვის ზუგდიდში საბავშვო ბაღების უმრავლესობა გარემონტდა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშისა და დიდინეძის საბავშვო ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლებმა გიორგი თოდუამ და გიზო სართანიამ დაათვალიერა. კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს სოფელ ცაიშის საბავშვო ბაღში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის სპეციალურად შეიქმნა პანდუსები და სველი წერტილები.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გარემონტებული ბაღები ახალ ავეჯსა და ინვენტარს მიიღებენ. ნარაზენის №2 საბავშვო ბაღში უახლოეს დღეებში დაიწყება ძირეული სარემონტო სამუშაოები და სასწავლო წლის დასაწყისში შენობა თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბაღების სარემონტო სამუშაოები ორგანიზაცია „NEO"-ს თანადაფინანსებით ხორციელდება.

## საკრებულოს თავმჯდომარე საინფორმაციო სააგენტო smo.ge-ს სიცრუეში ადანაშაულებს

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბელქანიას კომენტარი ვრცელდება **smo.ge**-ში გამოქვეყნებულ მასალაზე. საკრებულოს თავმჯდომარე საინფორმაციო სააგენტო **smo.ge**-ს მტკნარ სიცრუეში ადანაშაულებს.

**"ეს მედიასაშუალება წერს, რომ პაატა ჭანტურია განიხილებოდა "ქართული ოცნების" შტაბის ხელმძღვანელად, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადა. ის მოხსენიებულია შპს "პირამიდის" დირექტორად, რაც ტყუილია. ამ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მას 5 ათასი ლარი გადაუხადა და მიწის ნაკვეთი მისცა, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. ჟურნალისტი წერს, რომ სასოფლო სამეურნეო ბარათების განაღდება მხოლოდ ჭანტურიას კომპანიებში ხდებოდა. სინამდვილეში, მისი კომპანიები ამაში საერთოდ არ იყვნენ ჩართულები",** – განაცხადა ბელქანიამ.

საინფორმაციო სააგენტოს მხოლოდ ერთი შეცდომა გაეპარა, სადაც პაატა ჭანტურია გამოქვეყნებულ მასალაში დასახელებულია როგორც შ.პ.ს **"პირამიდას"** დირექტორი. ამ მცირე შეცდომისთვის სააგენტო იხდის ბოდიშს და აქვე გთავაზობთ მასალაში შესწორებას.

შ.პ.ს **"პირამიდა-03"**-ის დირექტორი ამავე შ.პ.ს-ს 50%-ის მფლობელი გიორგი აბულაძეა, რაც შეეხება თავად პაატა ჭანტურიას, ის შ.პ.ს **"პირამიდა-03"**-ის 50%-ის მფლობელია. საინფორმაციო სააგენტო **smo.ge**-მ აღნიშნულის შესახებ ამონაწერი საჯარო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან მოიპოვა. ჩვენს მიერ მოპოვებულ ამონაწერში შ.პ.ს **"პირამიდა-03"**-ის იურიდიული მისამართი და პაატა ჭანტურიას სახლის მისამართი ერთმანეთს ემთხვევა (საქართველო, წალენჯიხა, შ.რუსთაველის ქ., №16).

რაც შეეხება დავით ბელქანიას მიერ მიცემულ განმარტებას, რომ საინფორმაციო სააგენტო იტყუება იმაშიც, რომ თითქოს **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** პაატა ჭანტურიას დახმარების სანაცვლოდ წალენჯიხაში 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 5.000 ლარი გადასცა მცდარი აზრია. დავით ბელქანიამ შეცდომაში შეიყვანა სააგენტო **"პირველის"** ჟურნალისტი, რადგანაც სმო.გე-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალაში ნათქვამია, რომ **"ნაციონალურმა მოძრაობამ" "ღვაწლი"** დაუფასა არა პაატა ჭანტურიას, არამედ მის ბიძას, ვალერი ჭანტურიას. რაც შეეხება ხდებოდა თუ არა ჭანტურიას კომპანიებში სასოფლო-სამეურნეო ბარათების განაღდება, **smo.ge** შესაბამის ვიდეო და აუდიო მასალებს უმოკლეს ხანებში გამოაქვეყნებს.

## სააკაშვილის ტრადიცია გრძელდება: მსოფლიოს 39 ქვეყანაში გახსნილია 55 საარჩევნო უბანი, რუსეთის გარდა! მილიონზე მეტ ქართველს – ყველაზე დიდ საზღვარგარეთულ ქართველ დიასპორას – საქართველოს პრეზიდენტის არჩევის უფლება ჩამორთმეული აქვს!



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოებში შექმნილი საარჩევნო უბნების სია.

ჩამონათვალი ასეთია: ავსტრია, ვენა (1), აზერბაიჯანი, ბაქო (3), აშშ, ვაშინგტონი, ნიუ იორკი (3), ბელარუსი, მინსკი (1), ბელგია, ბრიუსელი (1), ბულგარეთი, სოფია (1), გერმანია, ბერლინი (1), დანია, კოპენჰაგენი (1), დიდი ბრიტანეთი, ლონდონი (1), ეგვიპტე, კაირო (1), ესპანეთი, მადრიდი, ბარსელონა (2), ესტონეთი, ტალინი (1), თურქეთი, ანკარა, ტრაპიზონი, სტამბოლი (3), იორდანიის ჰაშიმტური სამეფო, ამანი (1), ირლანდია, დუბლინი (1), ისრაელი, თელ-ავივი (1), იტალია, რომი (1), კანადა, ოტავა (1), კვიპროსის რესპუბლიკა, ნიქოზია (1), ლატვია, რიგა (1), ლიტვა, ვილნიუსი (1), მოლდოვა, კიშინიოვი (1), ნიდერლანდების სამეფო, ჰააგა (1), პოლონეთი, ვარშავა (1), პორტუგალია, ლისაბონი (1), რუმინეთი, ბუქარესტი (1), საბერძნეთი, ათენი. სალონიკი (7), საფრანგეთი, პარიზი (1), სლოვაკეთი, ბრატისლავა (1), სომხეთი, ერევანი (1), უზბეკეთი, ტაშკენტი (1), უკრაინა, კიევი, დონეცკი, ოდესა (3), უნგრეთი, ბუდაპეშტი (1), ქუვეითი, ალ-ქუვეითი (1), ყაზახეთი, ასტანა (1), შვედეთი, სტოკჰოლმი (1), შვეიცარია, ბერნი (1), ჩეხეთი, პრაღა (1).

ავღანეთში გახსნილ 2 საარჩევნო უბანზე კენჭისყრა ვადაზე ცოტა ადრე გაიმართება.

როგორც ხედავთ, ძვირფასო საქინფორმის მკითხველებო, ამ სიაში რუსეთი არ არის. ანუ, მსოფლიოს 39 ქვეყანაში გახსნილია 55 საარჩევნო უბანი, ავღანეთში – ორიც კი, რუსეთის გარდა! მილიონზე მეტ ქართველს – ყველაზე დიდ საზღვარგარეთულ ქართველ დიასპორას – საქართველოს პრეზიდენტის არჩევის უფლება ჩამორთმეული აქვს! ამრიგად, სააკაშვილის საძრახისი ტრადიცია გრძელდება...

**საქინფორმი**

## ზურაბ ტყემალაძე: „რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35,3%-ით გაიზარდა"

არჩევნებიდან ერთი წლის თავზე პარლამენტარებმა პირველად გამართეს თემატურ დებატებს, რომლებიც 4 საათის განმავლობაშ გაგრძელდა. პოლიტიკურ დებატებზე გადასვლამდე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ საზოგადოებას 1 ოქტომბერი მიულოცა.

**„1 წელი გავიდა არჩევნებიდან და ვფიქრობ, ნამდვილად მოსალოცია ეს დღეს და ყველას ერთად გილოცავთ. ეს მთელი ქვეყნის გამარჯვებაა",** – აღნიშნა მანანა კობახიძემ.

დებატების დაწყებამდე ბიურო სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობამ მოითხოვა, რომ მომხდარიყო სპეციალური საჩვენებელი დაფების წარმოდგენა საკანონმდებლო ორგანოს მისაღებში ეკონომიკური პარამეტრების შესახებ, რაზეც მმართველი გუნდის მხრიდან უარი მიიღო.

დებატებზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე საკუთარი მოხსენებით გამოვიდა, სადაც აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციაში ქართული პროდუქციის გასვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35,3%-ით გაიზარდა და 426 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა.

**„საქართველო-რუსეთის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის ნაწილობრივი აღდგენის შემდეგ, 2013 წლის მაისიდან რუსეთის ფედერაციაში გავიდა 15 მილიონი დოლარის ღვინო და 13 მილიონი დოლარის მინერალური წყალი. რუსეთის ფედერაციაში ამ პროდუქციის გასვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდას. 2013 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20%-ით გაიზარდა და 383 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა",** – აღნიშნა ტყემალაძემ.



### პოეზიის კუთხე

## რჯულის გამყიდველი

შემოხვევიხარ ვით სარეველა
კეთილად ნაზარდ ჯეჯილს,
მამა-პაპათა რჯულს ისე თელავ,
სინდისიც არა გქეჯნის.
ქადაგებ რაღაც უცხო მოძღვრებას,
მთელ ქალაქს ფეხით უვლი,
იქ, ღმერთმა იცის, რა გელოდება,
მგმობელო ქრისტეს რჯულის!!!
ამ წუთისოფლის ჩვენ ვართ სტუმრები,
შევყურებთ ამ მზეს, ამ ცას,
შენ კი დადიხარ ბიბლიით ხელში,
სახარება კი არ გწამს!
თავს რატომ მახვევ სხვა რელიგიას,
თითიდან გამოწოვილს,
მე იმას ვაქებ ვინც შემიქია, –
ქრისტეს – მხსნელს არსთა ყოვლის.
შენ ჯვარი არ გწამს, არც ღვთისმშობელი
და არც სანთელი. ვიცი,
ძე-ცდომილი ხარ და ცოდვებისგან
ისევ იესო გიხსნის!

**უშანგი ხანთარაშვილი**

## მეღუმურგილე

მითინ ვაუძახ, მარა იშენით
ვარკ დიარას დო ვადაკორდ ნგარას,
სოთინ ვემშეღანს აკაბცხა ფარას,
არძაშ უმოსო ეიფშან ქვარას...
"...აშო ვემნორთას, თე ურძღაფელაქ,
არქა მალას სი, კარ ქუმაკილე",
გინაძახანა ართი მაჟიას:
"მეღუმურგილე, მეღუმურგილე!.."

**რამაზ კუპრა**

# ლტოლვილებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს

### *სიტყვა წარმოთქმული ბიზნეს-აკადემიის საქტო დარბაზში*

ბატონებო, ჩემს გამოსვლაში ახალს ვერ გეტყვით. მაგრამ რასაც ახლა მოგახსენებთ გასაკეთებელია, თუ გვინდა, ერი და ქვეყანა დაწყნარდეს. თუ ვერ გავაკეთებთ, მაშინ ზოგიერთემა მოეშვან ბრტყელბრტყელ სიტყვებს იმის შესახებ, რომ ერს – ქვეყანას გადაარჩენენ, შეუქმნიან ცხოვრების საუკეთესო პირობებს და ა.შ. ტყუილია, ერი ისევ იქნება გაურკვევლობაში – გათიშული შევარდნაძისტებად, ზვიადისტებად და სხვების მომხრეებად.

ერთი ხსნა სამართლის აღდგენაშია – დაუსჯელობის სინდრომის მოხსნაშია – ერის სირცხვილია, რომ ასე ჭიანურდება ჟვანიას, გირგვლიანის, ვაზაგაშვილისა და სხვათა მკვლელობების გამოძიება.

ვიცით თუ არა ჩვენ, როგორ დაიწყო აფხაზეთში ომი? რომ მას წინ უძღოდა 1989 წლის აფხაზეთის მოვლენები – მხედველობაში მაქვს ქართველთა და აფხაზთა სისხლიანი შეტაკება I საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა გულანთებული პატრიოტის ვოვა ვეკუას მკვლელობა და სხვა. არა ვართ გარკვეული.

როგორ გავერკვეოდით, როცა საქართველოს პროკურატურიდან გამოგზავნილმა საგამოძიებო ჯგუფმა (სახელს არ დავასახელებ, ამჟამად მუშაობს რუსეთის პროკურატურაში და რაზედაც ხელი მიუწვდება ფულით აგვარებს ყველაფერს) ეს ჯგუფი ერთ თვეზე მეტი იმყოფებოდა სოხუმში, ამ დროის განმავლობაში საკმაოდ ბლომად მოაგროვა ფული და თბილისში დაბრუნებისთანავე ორი აბხაზი, რომლებიც ვლადიმერ ვეკუას მკვლელობის ბრალდებით იყვნენ დაკავებულები გაათავისუფლეს – გასაგებია ვისგან აიღეს ფული. ამიტომაა გამოძიების დაწყება საჭირო 1989 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

სირცხვილია, დღესაც ხალხმა არ იცის როგორ მოკლეს ზვიად გამსახურდია – ცხადია, ვიღაცას არ აძლევდა ხელს, რომ ის ცოცხალი ყოფილიყო – ამ საკითხის ირგვლივ საკმარისი იქნება ბატონი იგორის – ყოფილი საქართველოს უშიშროების მინისტრის დაკითხვა. ჩვენ ერთად გვიხდებოდა მუშაობა, ის არ იყო ცუდი მინისტრი.

ნურავინ იფიქრებს, რომ მე მომინდა მემუარების წერა. არა მეგობრებო მე მინდა თქვენი სახელით – ქართველი ერის სახელით ვთხოვო იმ პრეზიდენტს, რომელსაც ავირჩევთ, შეასრულოს ხალხის ნება და ბოლოს და ბოლოს ამ ოცი წლის განმავლობაში ახლა მაინც დაიწყოს გამოძიება და ბოლო მოეღოს მარჩიელობას. ბოლოს და ბოლოს საჭიროა ხალხმა გაიგოს ჭეშმარიტება თუ როგორ დაიწყო აფხაზეთში ომი და რა მიზნები ჰქონდა ამას.

სასაცილოა – სატირალი რომ არა, რომ დასავლეთ საქართველოს რკინიგზის სადგურებში წესრიგის დასამყარებლად საჭირო გახდა ჯარის გაგზავნა – ტანკებზე ამხედრებულების – წესრიგის დასამყარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს გზავნიან და არა ჯარს.

სოხუმში შესულებმა პირველი რაც გააკეთეს, ლენინის ძეგლს ესროლეს ტანკიდან და დაანგრიეს, აფხაზეთის დროშა ჩამოხსნეს მინისტრთა საბჭოს შენობიდან – ვითომ თბილისს გააგზავნეს – ეს მოწმობს, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოთა სიმბოლიკები მოსპეს და ომი დაიწყეს აფხაზების წინააღმდეგ.

როცა ჩვენი ჯარი 1993 წლის სექტემბერში გამოიქცა და უიარაღო მოსახლეობა დატოვა სოხუმი თითქმის აღებული იყო. მინისტრთა საბჭო – მისი თავჯდომარე შარტავა დაცვით და აპარატით იმიტომ ხომ არ უნდა დარჩენილიყო სოხუმში – მინისტრთა საბჭოს შენობაში, რომ სიკვდილს შეხვედროდნენ.

რატომ არ იქნა გამოყვანილი ქართული მოსახლეობა – ეს ხომ არ იყო მიზანმიმართული ქმედება აფხაზეთის ქართველობის გასაწყვეტად? – ნამდვილად არ მინდა, მაგრამ ჩნდება ასეთი კითხვა, სხვას ამას ვერ დაარქმევ.

რატომ ვერ მოხერხდა კოდორის გახსნა ოჩამჩირისკენ. იქ ხიდს მდინარე კოდორზე იცავდა სულ 150-მდე კაცი. რატომ გაუხსნეს გოლგოთის გზა სვანეთით?

რაც შეეხება სამაჩაბლოს აქაც ღალატი ღალატზეა. ვითომ უნდა დაწყებულიყო გამოძიება, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს.

– ვინ დაიწყო ომი ჩვენ ვიცით, მაგრამ ვინ მისცა საბაბი რუსეთს აშკარად დაეწყო ომი? – ვიცით ეს ამჟამინდელი პრეზიდენტის მოქმედებით მოხდა, მაგრამ რა მერე? – ეს კაცი ახლაც გვმოძღვრავს ჩვენ.

– რატომ დაერქვა დალის ხეობას ზემო აფხაზეთი და რამ განაპირობა მისი ჩაბარება? რატომ დგას რუსის ჯარი გორიდან რამოდენიმე კილომეტრში? ამ და მრავალ სხვა კითხვაზე დღეს პასუხი გაუცემელია – დასკვნა: წინა მთავრობა იყო ანტიქართული და ანტიქართულ საქმეს აკეთებდა.

ყველაფერ ამას თავისი მსვლელობა უნდა მისცეს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა – ვიმეორებ: გამოძიება უნდა დაიწყოს 1989 წლიდან და დამთავრდეს 2012 წლის 1 ოქტომბრით, რათა საბოლოოდ ყველას და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი, დაწყნარდეს ხალხი და დამშვიდდეს ქვეყანა – სხვა ამ ქვეყანას არაფერი უშველის.

და ბოლოს ჩვენ ლტოლვილობაში შევქმენით აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი. ცოტა ხანში ამ კავშირთან ჩამოვაყალიბეთ ქართველ უხუცესთა საბჭო – აფხაზეთიდან – კავშირის შემქმნელები არიან: **ოლეგ ჯოლია** (თავმჯდომარე), წევრები – **ჯუმბერ ხუბუტია** – უნივერსიტეტის პროფესორი და **მერაბ მაღლაკელიძე** – მეწარმე-ტექნოლოგი.

სამი წელია გაზეთებში, ტელეარხებში თუ რადიო თავისუფლებაში ისმის **“ქართველ უხუცესთა საბჭო – აფხაზეთიდან”** – მაგრამ მის წევრებს არავინ იცნობს და ალბათ თქვენც გაინტერესებთ. აი, ისინი:

**გურამ გვეტაძე** – ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს ომის შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ბიზნეს-აკადემიის აკადემიკოსი;

**მამანტი ჯოლია** – უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე. ყოფილი საბჭოთა კავშირის საპატიო ჩეკისტი, პოლკოვნიკი;

**ნაპო მესხია** – ნეიროქირურგი – აფხაზეთში ნეიროქირურგიული ცენტრის დამაარსებელი, პროფესორი – წიგნის **“როგორ გასხვისდა აფხაზეთი”**-ს ავტორი. – ვისაც უნდა გაიგოს რა მოხდა აფხაზეთში ეს წიგნი უნდა წაიკითხოს;

**ნოდარ ემხვარი** – კარდიოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი, სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი, აკადემიკოსი;

**ოთარ ვახანია** – სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი;

**ბიქტორ ზარქუა** ყოფილი სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის მთავარი ქირურგი;

**მირიან ჯალაღონია** – აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, მოძრაობა **„შერიგების“** უხუცესთა საბჭოს წევრი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების **„ქალდეას“** და **„ფაზისის“** ნამდვილი წევრი, მწერალი, პროფესორი;

**კოტე მარშავა** – უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე, ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე. აფხაზეთის **“სოფლელექტროს”** მმართველი;

**არჩილ ანთელავა** – სოხუმის ყოფილი პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

**შერმადინ ბაძაღუა** – მშენებელი ინჟინერი;

**ვაჟა თოდუა** – ინჟინერ-მშენებელი;

**ბორის პაპასკუა** – სწავლული აგრონომი;

**ბორის დიდიშვილი** – სოხუმის რკინიგზის მილიციის ყოფილი უფროსი;

ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია, მაგრამ იმედი გვაქვს ნდობის აღდგენის საქმეში ამ მოკლე ხანში ერთ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ – თქვენთან პირველად განვაცხადებთ, რომ ამ რამოდენიმე დღის წინ სატელეფონო საუბარი გვქონდა აფხაზეთის პრეზიდენტთან ბატონ ალექსანდრე ანქვაბთან, რომელიც ეხებოდა ჩვენი წინაპრების საფლავების შეუფერხებლად მონახულებას დათქმულ დროს. მისი სიტყვებია: **“ცოტა რთული საკითხია, მაგრამ ვფიქრობ დადებითად გადაწყდება – მე თქვენ ამ ტელეფონზე მოგნახავთ!”** – ეს იყო მისი სიტყვები.

ამას წინ უძღოდა კავშირის თავმჯდომარის ოლეგი ჯოლიას გამგზავრება მოსკოვში, აფხაზ ვეტერან-უხუცესებთან შესახვედრად, რომელმაც ძალიან თბილ ვითარებაში ჩაიარა – ოლეგი შეხვდა იაკუბ გუნბას, რომელმაც დადო პირობა საფლავების ჩვენს თხოვნას შესახებ გადასცემდა პრეზიდენტს. ყველაფერი ეს განხორციელდა ბატონების რეზო ნაცარიშვილის და გურამ გვეტაძის ხელშეწყობით.

დაბოლოს, უნდა ვთხოვოთ ახლადარჩეულ პრეზიდენტს – ლტოლვილებს მიექცეს მეტი ყურადღება. სასაცილოა ლტოლვილებს ეძლეოდეს 28-ლარიანი დახმარება. ეს არსად არ არის, საქართველოს გარდა.

როგორც სააკაშვილის მთავრობას, ისე აფხაზეთის დევნილ მთავრობას აფხაზეთის საკითხზე თითი არ გაუნძრევიათ.

ახლადარჩეული აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია ალბათ გაითვალისწინებს ჩვენს მოსაზრებებს, აფხაზეთის შერიგების და ნდობის აღდგენის საქმეს თავს დაადგამს და ჩვენც შეგვაშველებს ხელს.

**მამანტი ჯოლია,**
უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე

# ბიძინა ივანიშვილი: “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები – ეკონომიკასა და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაშია, და არა მათ შემდგომ განვითარებაში, როგორც ამერიკელები მიგვითითებდნენ!“

ამას წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუ მისცა მიხეილ სააკაშვილის აღიარებით მის საკურებაში მყოფ ტელეკომპანია **“რუსთავი-2“**-ს, სადაც პოლიტიკურ შოუ **“პოზიციაში“** ნინო შუბლაძესთან ერთად პირდაპირ ეთერში დააფიქსირა თავისი პოზიცია ქართველი ხალხისათვის საინტერესო ყველა საკითხზე.

გადაცემის წამყვანის, ჟურნალისტ ნინო შუბლაძის შეკითხვაზე – ელის თუ არა ის რაიმე კარგს რუსეთის მხრიდან იმ ფონზე, რომ როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისთვის არსებობს **“წითელი ხაზები“** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით? – ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა:

**“ვფიქრობ, რომ დასაწყისი ცუდი არ გვაქვს, ის, რასაც საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის მოკლე პერიოდში მივაღწიეთ... ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რუსეთის ბაზარი, რომელიც თავისი რიტორიკით მიხეილ სააკაშვილმა საქართველოსთვის დახურა, ჩვენ, ასევე ჩვენი მშვიდი რიტორიკით, გავხსენით.**

**რაც შეეხება ჩვენს მთავარ პრობლემას – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას – ამასთან დაკავშირებით არ ვარ ეიფორიაში, რომ ეს უახლოეს დროში დადებითად გადაწყდება... ამ პრობლემის გადაჭრის უტყუარი გასაღები საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაში და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაშია. არა შემდგომ განვითარებაში, როგორც ევროპელები ან ამერიკელები მიგვითითებდნენ, არამედ სწორედაც მათ ჭეშმარიტ, და არა ფასადურ შექმნაში – ჭეშმარიტი დემოკრატიის აშენება ხომ ძლიერი ეკონომიკის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია...**

**და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ რუსეთი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოწესრიგებას ვერ შესძლებს – ჩვენს ძმებზე, აფხაზებსა და ოსებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მათ უნდა გაუჩნდეთ ასეთი სურვილი – ჩვენთან დაბრუნდნენ... ამისათვის საქართველო მათთვის საინტერესო ქვეყანა უნდა გახდეს, მიმზიდველი მათთვის და ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის“.**

სრული ჭეშმარიტება გახლავთ – არავის გაუჩნდება სურვილი იცხოვროს იმ ქვეყანაში, რომლის დაღდასმული ხელისუფლის მთავარი ემბლემა გახლდათ ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება, მიწების უცხოელებზე მიყიდვა, საკუთარ მოსახლეობაზე ძალადობა, განუკითხაობა, სიცრუე, ელიტარული კორუფცია, პატიმართა ცოცხებით წამება და პოლიტიკური ქაოსი, რამაც რამდენიმე ათეული წლით დახია ქვეყანა უკან!

**საქინფორმი**

# „ნაცმოძრაობა“ შეეცდება, არჩევნები ჩაშალოს და ბათილად გამოაცხადოს!

საქინფორმში შემოვიდა ინფორმაცია, რომლის ამნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ პრევენციული ზომები მივიღოთ და მოსახლეობა გავაფრთხილოთ – არ წამოეგონ ხრიკს, რომელიც, როგორც ერთ-ერთი წყარო ირწმუნება, **„ნაციონალური მოძრაობის“** ცენტრალურ ოფისში გაყალბებებში გაწაფული ხათუნა გოგორიშვილის და მიშა მაჭავარიანის მიერ არის მოფიქრებული!

საქართველოში დღეს საიდუმლო არავისთვის არის, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე **„ნაციონალები“** შეეცდებიან, თავისი კანდიდატი ბაქრაძე მე-2 ადგილზე გაიყვანონ და **„ნაცმოძრაობას“** სახელმწიფოში მე-2 (მმართველის შემდეგ) პარტიის და, ამით, ერთადერთი რეალური ოპოზიციის სტატუსი დაუმკვიდრონ. მერე შეიძლება კოალიციური მთავრობის მოთხოვნაც, ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება და მასზე ბაქრაძის დანიშვნაც, ხოლო პარლამენტში, ძალოვან სტრუქტურებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში **„ნაცმოძრაობა“**, სამწუხაროდ, ისედაც უაღრესად შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი...

მაგრამ, თუ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მონიტორინგი დაადასტურებს, რომ ბურჯანაძის გასწრება და მე-2 ადგილზე გასვლა შეუძლებელია, არჩევნების გაყალბების ზემოხსენებული სპეციალისტები გეგმა **„ბ“**-ს აამოქმედებენ, კონკრეტულად: კოორდინატორების, კურატორების, რწმუნებულების და სხვა აქტივისტების მეშვეობით მოსახლეობის, განსაკუთრებით ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, მოსყიდვას ეცდებიან – აგიტაციას გაუწევენ, რომ ბიულეტენები შემდეგნაირად გააფუჭონ – ყველა გვარი გადახაზონ და მსხვილი ასოებით დაწერონ: **„მიხეილ სააკაშვილი“**, თითქოს ხმის მიმცემი საყვარელი პრეზიდენტის მხურვალე მხარდამჭერი იყო! ამის სანაცვლოდ თითოეულ ამომრჩეველს დაჰპირდებიან როგორც გარკვეულ თანხას, ისე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის მოგვარებას იმ შემთხვევაში, თუ **„ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა“** და **„ნაცმოძრაობა“** ძალაუფლებას დაიბრუნებს.

შედეგად, თუ გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა, საერთაშორისო დამკვირვებელთა დასკვნით, კრიტიკულ ნიშნულს გასცდება, არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, ხოლო სააკაშვილი გამოაცხადებს, რომ **„ივანიშვილის მთავრობას, რომელიც წინა ხელისუფლების – „ნაცმოძრაობის“ მიერ ორგანიზებული არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, თვითონ არა მარტო სახელმწიფოს მართვის უნარი არ აქვს, არამედ ერთი წლის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების სათანადოდ ორგანიზება და ჩატარებაც ვერ მოახერხა!“.**

შემდგომ მოვლენები საქართველოში ალბათ გაუთვალისწინებელი სცენარით განვითარდება, რადგან გამწარებულ ხალხს ვერავინ შეაკავებს და ისინი გარეკავენ **“ნაციონალებად”** წოდებულ იმ საზიზღარ ანტიქართულ ძალას, რომელმაც დაღუპვის პირას მიიყვანა ჩვენი ისედაც მრავალტანჯული სამშობლო!

იმედია, ყველა პატრიოტი ქართველი ავადსახსენებელი **“ნაცების”** წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს დაუდგება გვერდით. ამიტომ, ქართველებო, მზად ვიყოთ ნაცთა ჩვეული მზაკვრობის წინააღმდეგ საბრძოლველად!

**საქინფორმი**

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით!

საზოგადოება **"ზუგდიდელი"** წარმოადგენს მოქალაქეთა წევრობაზე დაფუძნებულ ნებაყოფლობით გაერთიანებას. წესდების მიხედვით მისი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა, ზნეობრივი და ეთიკური ქცევის ნორმების დამამკვიდრებელი ღონისძიებების გატარება და მხარდაჭერა.

სწორედ ამის გამო, საზოგადოება **"ზუგდიდელის"** ინიციატივითა და ძალისხმევით 24 მაისს შეიკრიბნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის თითქმის ყველა სფეროსა და სტრუქტურის წარმომადგენლები, რათა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება გეი-აღლუმებისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდასთან დაკავშირებით და დაგმეს მიმდინარე წლის 17 მაისს თბილისში მოწყობილი გეი-აღლუმი. შეკრების მონაწილეებმა დააფიქსირეს, რომ ზუგდიდი კატეგორიულად ემიჯნება **"ლგბტ"** პირთა უზნეო მოქმედებებს, რაც ბღალავს ადამიანის რწმენას და ღირსებებს და იგი აღკვეთილ უნდა იქნას ყოველგვარი ძალადობის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოება **"ზუგდიდელი"** მოგმართავთ შემდეგი წინადადებით:

– არ დაუშვათ ერთსქესიანთა ქორწინების კანონის განხილვაც კი;

– მიღებულ იქნას კანონი, რომელიც აკრძალავს ქვეყნის ნებისმიერ დასახლებაში გეი-აღლუმების ჩატარებას;

– მიღებულ იქნას კანონი მოზარდი თაობების უცხო ტენდენციებისა და გავლენისაგან მათი ეროვნული მსოფლმხედველობის დაცვისა და ჯანსაღი წესით აღზრდისათვის ოჯახის, საგანმანათლებლო სისტემებისა და საზოგადოების მიერ ერთობლივი ძალისხმევით საჭირო აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებაზე, რადგან მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის და ერის შენარჩუნება;

– კატეგორიულად აიკრძალოს მედიის საშუალებით ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ანომალიური გადახრების ყოველგვარი პროპაგანდა და ყურადღება მიექცეს ეროვნული ფასეულობების გაშუქებას;

– მიღებულ იქნას კანონი საზღვარგარეთიდან ფინანსირებად იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგზე, რომლებიც ღიად თუ ფარულად ეწევიან არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობათა პროპაგანდას.

ბატონო დავით,

ვფიქრობთ, ჩვენი მიმართვა პარლამენტისადმი არა მხოლოდ ზუგდიდელთა, არამედ მთელი სამეგრელოს მოთხოვნაა, იმ სამეგრელოსი, რომელზეც დიდმა ილიამ ბრძანა: **"სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვიხილე"**-ო.

გთხოვთ შესაბამის რეაგირებას!

ღრმა პატივისცემით,

**ოთარ ფაცაცია,**

**საზოგადოება "ზუგდიდელის"**

**თავმჯდომარე**

## პოეზიის კუთხე

### ჰიმნი მეგრულ ენას

*ღმერთის და ადამიანის*
*გენიის ხელით ნაგები*
*სიტყვათა კონსტრუქციები*
*მეგრული ენით ნაგები.*
*პითაგორას ნააზრევს ჰგავს*
*მოზაიკურ განწყობით*
*ბგერა და ფერთა ტონები*
*ქმნილი ხვთაებრივ განწყობით.*
*ქურუმ-მისტების ენაა;*
*კვებავდა ეზოთერია.*
*მისტერიებით ნაწრთობი*
*ხედავთ, რა ეგზომფერია.*
*მეგრული ენის ცოდნა კი*
*აუწონავი განძია,*
*ენათა იდუმალების*
*დასტურ გორდიას განძია.*
*თეომისტიკურ კულტურის*
*საუფლო თეონიმების:*
*ამ ენისთვის ტაბუს ახსნა*
*სურვილით ღმერთო მინების.*
*არა არს დაფარული ხომ,*
*რაიცა არ გაცხადდების.*
*იწია ჟამმან ღმრთისაგან*
*რაიც ვთქვით არ გაცხადდები.*
*მედიტერანულ ტომების*
*ლექსიკის მარგალიტები*
*კოლხურში დავანებულა*
*მეგრულად განაფილტრები.*
*კოლხურიდანაც მეზობლებს*
*რამდენი რამ აუღიათ.*
*სიფრთხილის მიზეზით მავანთ*
*სისწორე ვერ გაუგიათ.*
*ამდენ ღმერთს დღეს მზისქვეშეთში*
*რომელ ენაზე იხილავთ?*
*მათ სძინავთ მეგრულ ენაში,*
*ძველი დიდების ხიბლი აქვთ.*

**მურთაზ ჯანჯღავა**

## პრემიერ-მინისტრის უმნიშვნელოვანესი განცხადება

პრინციპში პირველად ბოლო 20 წელიწადის მანძილზე, 1994 წელს **დსთ**-ში საქართველოს გაწევრების შემდეგ, საქართველომ, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პირით, განაცხადა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ინტეგრაციულ პროექტებში საკუთარი მონაწილეობის თეორიული შესაძლებლობის შესახებ. ეს უნიკალური შემთხვევაა, ასეთი რამე ჯერ არ მომხდარა, ქვეყნის ყველა ხელმძღვანელი მხოლოდ დასავლეთისკენ იყურებოდა, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის წამყვანი როლის შემთხვევაში ინტეგრაცია კი გამოირიცხებოდა, როგორც **„ღალატი"**. პრაგმატიკოსმა ივანიშვილმა კიდევ ერთი კლიშე, კიდევ ერთი სტერეოტიპი დაამსხვრია, რომ ყოველივე, რაც რუსეთს უკავშირდება, თითქოს-და **„ცუდია"** საქართველოსათვის. ივანიშვილის სიტყვები – **„რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ყურადღებით ვუყურებ და ვსწავლობ. ამ ეტაპზე არანაირი პოზიცია არ გაგვაჩნია, თუმცა, თუ პერსპექტივაში ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს იქნება საინტერესო, რატომაც არა?"** – კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის პრაგმატიზმს. არავითარი ემოცია, არავითარი კლიშე. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესები.

ზოგიერთი **„ყოვლისმცოდნე"** ექსპერტი, თბილისში წარმოდგენილ დასავლურ საელჩოებთან ფლირტით გართული, უკვე აცხადებს, რომ ივანიშვილის სიტყვებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლება. მაგრამ ასეთი **„ექსპერტების"** დაჯერება სისულელე იქნებოდა. ივანიშვილის მხრიდან იმის თეორიული შესაძლებლობის დაშვებაც კი, რომ საქართველომ, შეიძლება, მოსკოვის პროექტში მიიღოს მონაწილეობა, ნიშნავს ღია თუ ლატენტურ ანტირუსულ პოლიტიკაზე საბოლოოდ უარის თქმას. მეტიც, პრორუსულმა ტრენდმა საქართველოს შიდაპოლიტიკურ დისკურსში, შესაძლოა, წამყვანი პოზიციებიც დაიკავოს.

ახლა ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვში ივანიშვილის სიტყვებს სწორი შეფასება მისცენ და არ დაუშვან თემის მარგინალიზაცია, საქართველოში არსებული ცალკეული ოდიოზური პირების მხრიდან, რომლებიც რუსებს **„სიყვარულში"** ეფიცებიან. სამწუხაროდ, არის ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მოსკოვის ისტებლიშმენტის ნაწილი მარგინალთა იაფფასიან ტრიუკებს არის წამოგებული და მათ ფულად თანხებს უყოფს. ამ შემთხვევაში, საჭირო თემა განხილვის საგნიდან სწრაფად გადაიქცევა უპერსპექტივო ლაპარაკად.

**ევრაზიის ინსტიტუტი**

# ღია წერილი ქალბატონ ეკა ბესელიას

ქალბატონო ეკა!

მოგმართავთ ხუთი, უკიდურესად დამცირებული და აბუჩად აგდებული პენსიონერ მასწავლებელი, რომლებმაც, ორი წლის უშედეგო წანწალის შემდეგ, თქვენ ჩაგთვალეთ ერთადერთ გარანტად უსულგულო და გულქვა ადამიანების მიერ ჩვენთვის მიყენებული მოურჩენელი ტკივილის მოშუშებისა.

სადაც კი მივედით: ზუგდიდის რესურსცენტრში, განათლების სამინისტროში, თუ სხვადასხვა რედაქციებში – ყველგან მოქმედებენ ერთი პრინციპით: **"რატომ ავიტკივოთ აუტკივარი თავი?"**, ან – **"სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია"**. მაგრამ მაინც შეგვრჩა იმის რწმენა, რომ თქვენ მაინც მიიტანთ გულთან ჩვენს სატკივარს!

ჩვენი პრობლემები დაიწყო მას შემდეგ, რაც 2011 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის სკოლის დირექტორი ნატო ქანთარია გაანთავისუფლეს თანამდებობიდან, საატესტატო გამოცდებზე მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო. დირექტორის სკოლიდან ჩამოშორების ინიციატორი გახლდათ ზუგდიდის რესურსცენტრის ხელმძღვანელი აზა ჯოჯუა, რომელიც, როგორც ზუგდიდში ამბობენ, დახარბებული იყო საჩუქრებს, ქალბატონმა ნატომ კი მისი მოსყიდვა არ იკადრა. სამაგიეროდ, ქალბნატონ აზას **"გულის მოლბობა"** შესძლო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, რომელიც მოსწავლეების დაბალი აკადემიური მაჩვენებლების გამო ბევრად უფრო იმსახურებდა სკოლიდან გაგდებას, ვიდრე დირექტორი.

თუ არა ანგარებით ფაქტორს, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ გამოცდილი და ყველასაგან პატივცემული პედაგოგი ნატო ქანთარია სკოლიდან დაითხოვეს, ყველასაგან დაწუნებული ნანა ჯინჯოლავა კი თანამდებობაზე დატოვეს და დირექტორის მოვალეობის შესრულებაც კი დააკისრეს!

ეს ის ნანა ჯინჯოლავა გახლავთ, რომელმაც ფრიად საეჭვო გარემოებებში მიიღო ლტოლვილის სტატუსი (იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სკოლაში სათანადო საბუთის წარმოდგენის გარეშე, მისი დიპლომით **"აღჭურვა"** კი საეჭვოდ ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ნებისმიერი სპეციალობის დამადასტურებელი დიპლომის ყიდვა შეიძლებოდ ბაზრობებსა თუ მეტროს სადგურებთან).

დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრების შემდეგ ნანა ჯინჯოლავამ უკან მოაბრუნა ჩვენთან ერთად განთავისუფლებული პედაგოგი ზაირა საჯაია, იმ მიზეზით, რომ რუსული ენის სპეციალისტი არ გვყავსო. შემდეგ საათები გაუზარდა თავის რძალს (რომლის დიპლომიც საკმაოდ ეჭვისმომგვრელია). როცა ეს ფაქტები გაჟღერდა და საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია, ჯინჯოლავამ ჩვენი თავიდან მოშორება გადაწყვიტა და წინასწარ დაიმუქრა თურმე ვიწრო წრეში: **"მე ნანა ჯინჯოლია არ ვიყო, თუ ეგენი აქედან არ გავყარო!"**-ო.

ამ საძრახის საქმეში მას მხარი აუბა რესურსცენტრიდან გამოგზავნილმა სკოლის ახალმა დირექტორმა, ტიპიურმა დოქსოპულომ მანუჩარ ხარებავამ, რომელმაც თავიდანვე არაობიექტურად დაიყო საქმიანობა, როცა ეცადა სხვა პედაგოგის ხარჯზე გაეზარდა საკუთარი სასწავლო საათები, მაგრამ ვერაფერს გახდა. სწორედ ამის შემდეგ შეუდგნენ დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე სკოლიდან პენსიონერ მასწავლებელთა დათხოვნას... რამდენიმე დღეში, თითქოს ეს სამინისტროს გადაწყვეტილება ყოფილიყო, სამსახურიდან დაგვითხოვა.

როდესაც ჩვენი განთავისუფლების ბრძანების ამონაწერი მოვითხოვეთ, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და გამოგვიცხადა, რომ პოლიციას გამოვუძახებო. ნამდვილად შეურაცხმყოფელი იყო ჩვენთვის ის, რომ დამსახურებული პედაგოგები პატივით კი არ გაგვიშვეს სკოლიდან, არამედ მაწანწალებივით გამოგვყარეს!

სამწუხაროდ, ჩივილის საშუალებაც კი არ გაგვაჩნდა, რადგან განთავისუფლების ბრძანების აღებას ვერ ვეღირსეთ! ეს ბრძანება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოგვცეს, გასაჩივრების ვადა კი უკვე გასული იყო. არაკაც მანუჩარ ხარებავას ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენ საკუთარი განცხადების საფუძველზე გავნთავისუფლდით სკოლიდან!

მსგავსი უნამუსობა ალბათ ძნელად თუ მოხდება სადმე!

ამრიგად, ზნედაცემულმა მანუჩარ ხარებავამ სამსახური დაგვაკარგვინა, ზუგდიდის რესურცენტრის თანამშრომელმა, პიწავარდნილმა **"ნაციონალმა"** ქებურიამ კი გამოგვიცხადა: ეს ჩემი საქმე არ არისო!

იგივე პოზიცია დაიკავა განათლების სამინისტრომაც, რომელმაც ჩათვალა, რომ ჩვენ განთავისუფლებას სარჩულად პოლიტიკური მოტივი არ ედო!

ხარებავას სხვა პედაგოგების სკოლიდან გაძევებაც უნდოდა, მაგრამ 2012 წლის ოქტომბერში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და გამორიცხული არ არის, რომ საციხედაც გაუხდეს საქმე!

განცხადებით მივმართეთ ზუგდიდის პროკურორ იოსავას, რომ გაერკვია თუ რა გზებით **"გაიჩალიჩა"** ბინა ქალაქ ფოთში ნანა ჯინჯოლავამ, მაგრამ პროკურორმა აბუჩად აგვიგდო – **"სამართლიანობაზე ზრუნვით დაკავებულ ქალბატონზე"** ამას როგორ ამბობთო და დააყოლა: **"თქვენ რომ ვინმემ ბინა მოგცეთ, უარს იტყვითო?"**

ამრიგად, 2011 წლის 20 სექტემბრიდან სამართლის საძებრად დავდივართ, მაგრამ ჩვენს სატკივარს არსად არავინ იზიარებს!

ახლა თქვენ, როგორც საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, დაგვრჩით უკანასკნელ იმედად, ქალბატონო ეკა!

იქნებ დაავალდებულოთ ვაჟბატონი ხარებავა, თუ სამი დღის განმავლობაში როგორ დაასკვნა, რომ ჩვენი საქმიანობა დამღუპველი იყო სკოლისათვის? ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მისი გადაწყვეტილება გახლდათ ლოგიკური გაგრძელება სააკაშვილის და ავადსახსენებელი ნაციონალების მიერ ნასროლი დევიზისა: **"ჩარეცხილები უნდა განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან"!**

ქალბატონო ეკა, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დაუშვებთ, რომ ღვაწლმოსილი პედაგოგები საეჭვოდიპლომიანმა ჯინჯოლავამ და უსულგულო დოქსოპულო ხარებავამ ასე დაუნდობლად გაგვსრისოს!

თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომის დიდი იმედი გვაქვს!

პატივისცემით, პედაგოგები

**ბედიშა მებონია,**
**ვარდო დადვანი,**
**ნონა ესებუა,**
**როენა კვარაცხელია,**
**დუნია ყალიჩავა**

## თურქეთის სკოლებში ლაზური ენა არჩევითი საგანი გახდება

თურქეთის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ლაზური ენა არჩევითი საგანი გახდება თურქეთის საშუალო სკოლებში 2013-2014 სასწავლო წელს. ამის შესახებ თურქული გამოცემა **„ჰერეთი"** იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეებს ლაზურ ენას **„ცოცხალი ენებისა და დიალექტების"** კურსის ფარგლებში შესთავაზებენ. კურსი ასევე შეიცავს ქურთულ, ჩერქეზულ და აფხაზურ ენებს.

თურქეთის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მეხუთე კლასის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, აირჩიონ ჩამოთვლილი ენებიდან ერთერთი და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შეისწავლონ ის. გავრცელებული ინფორმაციით, ლაზური ენის კურსი ასევე მოიცავს ინტერვიუების, ფილმებისა და მულტფილმების ყურებას ლაზურ ენაზე, – წერს **„ინტერპრესნიუსი"**.

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი "ილორი" №171-239*

როგორც ითქვა, ანმარეს თავზე ებურა ერთიანი ქიმეთის სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც ტრადიციულად მომდევნო ათასწლეულებშიც ამკობდა აქაურ მეფეებს. ნათელა ფოფხაძეს მიაჩნია, რომ **„ეს გვირგვინი ებურა ჩვენი დიდი წინაპრის მეფე რატის ასულს თათუს, (ეს გარკვევით ჩანს ეგვიპტეში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოქვეყნებულ თათუ-ნეფერტიტის სურათებიდან.), რომელსაც დედოფლის ტახტზე აღსაყდრების შემდეგ – ნეფერტიტი"** (ნიშნავს **„ლამაზი ქალბატონი მობრძანდება"), რომელსაც მთელი მსოფლიო ამ სახელით იცნობს"**. ნათელა ფოფხაძე საჭიროდ თვლის, რომ **„გზა, რომელიც თათუ ბატონიშვილმა განვლო ქიმეთის (ეგვიპტე) დედაქალაქამდე, სათანადო ღონისძიებებით უნდა გაცხოველდეს"**. ნ. ფოფხაძე თხოულობს ამ საქმის საფუძვლიან შესწავლას, რომელიც მას დადასტურებულად მიაჩნდა, ნამდვილად დადასტურებულია.

ვიმეორებ კითხვას: საიდან მომდინარეობს სიტყვა **„კოლხა"**, რომელიც სამეგრელოს მეფემ ანმარემ დაარქვა თავის სახელმწიფოს – ენგურის დედაქალაქს, სად მდებარეობდა ძველი ქალაქი კოლხა? (კოლხა, კოლხეთის სახელწოდების შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი).

**ხელმწიფე ანმარემ დედაქალაქს კოლხა დაარქვა, რომელიც მდებარეობდა თავისი ვრცელი სახელმწიფოს შუაგულში, მდინარე იდიგნასა და მდინარე „ძაბ"-ის შესართავთან, ანუ ხერთვისში. დედაქალაქი კოლხა რამდენჯერმე ნახსენებია ყურანშიც. კვლავ ვამბობ რომ, ათასწლეულების შემდეგაც ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, კერძოდ, ნაბუქალდე-ნეცარის – მენცარის – მეცნიერის – წინასწარმეტყველის მეფობისას, რომელსაც უცხოელები მცდარად „ნაბუქოდონოსორად" მოიხსენიებენ. მან წლების განმავლობაში შეძლო თავისი სამშობლოს დამპყობლებისაგან განთავისუფლება – ეს თავისი ქვეყნის თავდადებული და ერთგული მეფე მტრებმა მტარვალად წარმოაჩინეს. ამ მეფეზე, ხელისუფლების დაკვეთით, ჯუზეპე ვერდიმ ოპერა დაწერა და შემოკლებით „ნაბუქო" დაარქვა. ოპერა მრავალ ქვეყანაში დაიდგა, საქართველოში არ დადგმულა, მიუხედავად იმისა, რომ ნაბუქო ხალდეს, ჩვენი ქვეყნის მეფე იყო და ოპერაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაკვეთია აღწერილი** (ნათელა ფოფხაძე, ქიანა ენგურ..., გაზ. **„დიოსკურია"**, 2004, დეკემბერი, №19.).

2009 წლის 4 და 6 იანვარს თბილისში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტი სახელმწიფო თეატრში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის **„ნაბუქოს"** პრემიერა. თეატრის რეპერტუარში ეს ვერდის მეექვსე ოპერაა. **„ბიბლიურ"** ისტორიაზე დაფუძნებული პიესის მიხედვით, ჯუზეპე ვერდის მიერ შექმნილი **„ნაბუქოს"** პრემიერა 1842 წლის 9 მარტს შესდგა მილანის (იტალია) **„ლა სკალაში"**, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. საქართველოს, ქართველი ხალხის, ასევე ოპერის დამსწრეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის (ვინც იცის ისინიც არ ამბობენ), რომ აღნიშნულ ოპერაში აღწერილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი, წარმატებული ნაკვეთი. ჩანს თეატრის ხელმძღვანელობამ და ოპერის დამდგმელებმა შეგნებულად შეარჩიეს ვერდის **„ნაბუქო"**.

როგორც ცნობილია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნის წინ დაინგრა სემირამიდას დაკიდული ბაღები, რომელიც მეფე ნაბუხათ ნასრმა (ნაბუქოდონოსორ მეორემ (ძვ. წ. 605-562 წწ.) ტერასებზე გააშენებინა თავისი მეუღლის პატივსაცემად.

როგორც როდოსელი აღნიშნავს, კოლხმა მედეამ მამის შემდეგ ტახტზე აიყვანა თვისი შვილი მედოსი, რომლის მიხედვით საბრძანებელს ეწოდა მიდია (მედაია). ეტყობა, რუსული ენის ზეგავლენით, დროთა განმავლობაში, ქართველმა მეცნიერებმაც ქვეყანას მედიას ნაცვლად მიდია უწოდეს. ეს ქვეყანა ერთ დროს კოლხებს ჰქონდათ **„დაპყრობილი"** (ალინა ბაღაშვილი, ეგვიპტური საოცრებანი, გვ. 25.) – ეს ფაქტი აღნიშნული გვაქვს ზემოთაც.

ნ. ფოფხაძე აღნიშნავს: რომ **„მეგრელები (ანუ „შუმერები") პოეტურად აზროვნებდნენ, ყველაფერს გალექსილად წერდნენო"**.

შუმერების გარდა, როგორც ზემოთ ითქვა, საყურადღებო და საინტერესოა უკანასკნელ პერიოდში მრავალი მკვლევარის (მათ შორის პროფესორ თეიმურაზ მიბჩუანის, ნათელა ფოფხაძის და სხვ.) მიერ გამოქვეყნებული მოსაზრება, რომ **„ამჟამადაც" „ქართ"**-ს უწოდებენ თავიანთ ენას, კუნძულსა და ქვეყანას კორსიკელები – ნაპოლეონ ბონაპარტეს მოდგმის ხალხი. ნაპოლეონი ქორთუ იყო და მის სამშობლოს ხალხი დღესაც **„ქორთუს"**-ს უწოდებს (ინტერნეტის მონაცემებითაც); ჩვენ მას **„ქორთუ"** უნდა ვუწოდოთ ხოლმე და არა **„კორსიკა"**. იქაურმა ქორთუებმა შეინარჩუნეს ჩვენი საერთო წინაპრებისეული მრავალხმიანი მუსიკა, კეთილშობილი ქცევა, სილამაზე (ნათელა ფოფხაძე, ქიანა ენგურ..., გაზ. **„დიოსკურია"**, 2004, დეკემბერი, №19).

ვიმეორებ, ნაპოლეონ ბონაპარტეს რომ არ ცოდნოდა თავისი წარმომავლობა, მაშინ თავის დაცვის უფროსად არ დანიშნავდა ტყვედ აყვანილ ოფიცერს როსტომ რაზმაძეს, რომელსაც ყოველმხრივ ენდობოდა და ახლოს ჰყავდა: იმასაც კი მიუთითებენ, რომ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მცხოვრებ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს შენარჩუნებული აქვთ ქართული ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, მეგრული კულინარია, მეგრული სამზარეულო, როგორც კორსიკაში მცხოვრებთა ნაწილს.

საყურადღებოა ანდრე კარბელაშვილის მიერ მოხმობილი დოკუმენტალური მასალა, თუ როგორ ურთიერთობაში იყო ნაპოლეონი ქართველებთან:

ნაპოლეონის ჯარის უფროსი კონსტანი იხსენებს: **„იმპერატორის მამლუქის სახელით ცნობილი რუსტანი კარგი ოჯახის შვილი იყო. საქართველოდან 6-7 წლისა მოუტაცნიათ და ქაიროში გაუყიდიათ. სრულწლოვანებამდე ისე იზრდებოდა, როგორც მონა. შემდეგ, მამლუქი გახდა. ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას შაჰმა იმპერატორს ძღვენად მიართვა რამდენიმე ბედაური და ორი მამლუქი – რუსტანი და იბრაჰიმი. ნაპოლეონმა რუსტანი თავის ამალაში დაიტოვა, ხოლო იბრაჰიმი, შემდგომში ალის სახელით ცნობილი, ჟოზეფინას მხლებლად გაამწესა.**

**იმპერატორმა ისე დაიახლოვა რუსტანი, რომ იგი ყველგან ახლდა მას. რუსტანი მონაწილეობდა ნაპოლეონის ყველა ომში. ნაპოლეონის შტაბის წევრებზე თავისი იერით და აღმოსავლური ჩაცმულობით ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ახდენდა. ხელმწიფე უსაზღვროდ ენდობოდა მას. ერთხელ რუსტანმა მტრის მოქნეული ხმალი ააცილა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.**

**რუსტანმა ცოლად შეირთო დედოფალ ჟოზეფინას კამერდინერის, დუვილის მშვენიერი ქალიშვილი, მას შემდეგ ყოფილ მამლუქს ნაპოლეონის ამალაში ვერ ვხედავთ.**

**საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ფუშეს ცხოვრების მკვლევარის, ლუი მადლენის მოწმობით, ნაპოლეონს ფუშეს ადგილას რუსტანის დანიშვნა უნდოდა.**

**1827 წელს ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოწმედ ყოფნისას რუსტანმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ის წარმოშობით ქართველია, დაიბადა საქართველოს დედაქალაქ ტფილისში, არის 44 წლის, მაშასადამე, იგი ალბათ დაბადებულა 1783 წელს, ტყვედ გაუტაცნიათ 1789 წელს.**

**ნაპოლეონის ბრწყინვალე მამლუქი, ნაპოლეონის ნეშთის პარიზში გადმოსვენების შემდეგ, გარდაიცვალა 1845 წლის 7 დეკემბერს, პარიზის მახლობლად, პატარა ქალაქ დურდანში"**.

ნაპოლეონის ქართველი მამლუქის ამბავი დიდი ხანია ცნობილი იყო საქართველოში. მიხეილ ჯავახიშვილის **„არსენა მარაბდელში"** მასზეც არის ლაპარაკი. არსენა დარწმუნებულია, რუსტან-როსტომი მისი დეიდაშვილია, ბავშვობაში ლეკთაგან გატაცებული ბიჭი და ახლა სახელიან ნათესავს წერილს წერს, დაგვეხმარე ქართველებსო... (იხ. საქართველოს კალენდარი (კედლის), **„კვირის პალიტრის"** გამოცემა. 2008, 7 დეკემბერი.).

საფრანგეთის ხელისუფლებას არ სურს გაიხსენოს, რომ დიდი იმპერატორი ნაპოლეონი ბასკი იყო. მას, როცა სჭირდებოდათ ფრანგი **„კორსიკელ ურჩხულს"** უწოდებდნენ. ნაპოლეონს ორბისებრი თვალები და არწივისებრი ცხვირი ჰქონდა, საოცრად ემოციური და ფიცხი იყო. ნაპოლეონი საუბრის დროს ხშირად იხსენებდა, რომ მის ძარღვში კავკასიური სისხლი ჩქეფდა. მან კარგათ იცოდა, რომ წარმოშობით ბასკი-კოლხი იყო.

შემთხვევით არ იყო, რომ ნაპოლეონს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს თავად დადიანების ოჯახთან, დადიანების ყოფილ საგვარეულო მუზეუმში ახლაც ინახება ნაპოლეონის მიერ ნაჩუქარი ჭადრაკი. ის წმინდა ელენეს კუნძულზე მოწამლეს და მოკლეს, მას აუღეს სახის ორი ნიღაბი, რომელთაგან ერთი პარიზში ინახება, მეორე კი ზუგდიდში, დადიანების საგვარეულო მუზეუმში. ისიც ცნობილია, რომ აშილ მურატი დადიანების სიძე იყო – სალომე დადიანის მეუღლე.

ნაპოლეონი დიდ პატივს ცემდა პეტრე ბაგრატიონს, რუსეთის ჯარის უნიჭიერეს ქართველ გენერალს. როდესაც ნაპოლეონმა ბაგრაიტონის გარდაცვალების ამბავი უთხრეს, მან გლოვის დუმილი გამოაცხადა და მუხმოდრეკილი სცა პატივი მის ხსოვნას.

უთუოდ არც ის იყო შემთხვევითი, რომ ნაპოლეონმა იმპერატორისთვის საჩუქრად მორთმეული, მძევალი რუსტანი (როსტომი) რაზმაძე თავის დაცვის უფროსად დანიშნა.

როდესაც 1840 წლის 15 დეკემბერს, წმ. ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის ცხედრის გადმოსვენებისას, დამსწრე საზოგადოების ყურადღებას იქცევდა, წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი განსხვავებული აღმოსავლური ტანისამოსში გამოწყობილი. ეს იყო უსაზღვროდ დანაღვლიანებული როსტომ რაზმაძე, რომელმაც ნაპოლეონის ნეშთს უკანასკნელი პატივი მიაგო, ხუთი წლის შემდეგ თვითონაც აღესრულა. რუსტანმა კარგად იცოდა რომ ნაპოლეონი წარმოშობით ბასკი, იბერიელი იყო. ალბათ ამიტომ ნაპოლეონისა და რუსტანის ურთიერთობა იმპერატორისა და იმპერატორის დაცვის უფროსის ურთიერთობას კი არ გავდა, არამედ ეს იყო ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა. რუსტამმა (როსტომა) კარგად იცოდა, რომ რომანი **„კლისონი და ეჯენი"** ნაპოლეონ ბონაპარტეს დაწერილი იყო.

* * *

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიანობის საკითხებზე, ზემოთ აღნიშნულ ავტორთა შეხედულებების – შრომების და ასევე წყაროების გარდა, მკითხველს ვთავაზობთ, ზოგიერთი სხვა მკვლევარის თვალსაზრისსაც.

ყურადღებას იმსახურებს მკვლევარ-ეთნოგრაფის, ქართველური და უცხოური (ბერძნული და სხვა) ენების კარგად მცოდნე ბათლომ სართანიას შრომები, განსაკუთრებით **„ძველი კოლხეთი"**, რომლიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა (კომუნისტური რეჟიმის დროს ამ ნაშრომებს მას არავინ გამოუქვეყნებდა).

ბ. სართანიას მიაჩნია, რომ **„ქალდებმა წარმოშვეს კოლხეთის მეგრელი ხალხი, სპერული კოლხური გაერთიანებებით, საკუთარი ენოვანებით და საკუთარი სამეფოს წარმოქმნით"**. (ბევრ სხვას ჰგონია, რომ კოლხები ქალდების წინარე ხალხია, ეს უფრო სარწმუნოა).

აღმოსავლეთ საქართველოს ქორთუ ხალხი, დასავლეთ სპერულ-კოლხურ ერთეულის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

**„დროთა განმავლობაში, ეს ნებით მოხდა თუ უნებლიედ, აღმოსავლეთ საქართველოს ქორთუ ხალხი და დასავლეთ საქართველოს კოლხ-მეგრელი ხალხი ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანდა – ქართველი ერის სახელწოდებით. ქორთუ იგივე მეგრელია. ასევე, მეგრელი იგივე ქორთუა, ქართველია. ძველი კოლხეთი ქართველი ერის ფუძემდებელია"** (ბათლომე სართანია. ძველი კოლხეთი..., ჟურ. **„აია"**, 1998, №1, გვ. 47-49.).

ქალდები ასურეთის საზღვართან იყვნენ განლაგებული და წარმოქმნეს დიდი სახელმწიფო, რომელიც რამდენიმე სამეფოს აერთიანებდა. ქალდები შედგებოდა ურთიერთ მონათესავე რამდენიმე ტომისაგან – ტაბალები, ტამალები, ტაბელები, კასკები, მუსკები, მოსინიკები, ჰენიოხები, კარდუხები, ტიბარები... (ივ. ჯავახიშვილი). ისინი მეგრულ-კოლხური ტომები იყვნენ. ბ. სართანიას მიაჩნია, რომ ქალდების სადამწერლო ენა იყო მეგრული ენა – უძველესი მეგრული ენა. **„ქალდების მთელი შემადგენლობა თავიდანვე მეგრელები ყოფილან – მათი სასაუბრო ენა ძველი მეგრული ყოფილა... მეგრელი ქალდია ახლო აღმოსავლეთში თავის დროზე ძლიერი სახელმწიფო იყო – კულტურით და სამხედრო თვალსაზრისითაც. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მეგრელურ ქალდების „იმპერია" ახლო აღმოსავლეთში, ეს იყო პირველ მეგრელთა საიმპერიო ქვეყანა – მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ იმ პერიოდში სატომო სახელად არ ატარებდა, – წერს ბ. სართანია და აგრძელებს, – „მეგრელმა ქალდებმა 500 წელიწადზე (სხვებს მიაჩნდათ – რამდენიმე ათასი წელი) გაცილებით მეტხანს იბატონეს მეზობელ ქვეყნებზე – ბაბილონზე, სირიაზე, პალესტინაზე და იერუსალიმზე, რომ ამ ქვეყნებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცადეს მეგრელიზაცია – ისინი გამეგრელდნენ. ამრიგად, მეგრული ქალდია ვეებერთელა იმპერიის მფლობელი ქვეყანა იყო უძველეს დროში... ყველაფერი ეს იმდროინდელი ამბავია, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხები არ არსებობდნენ"**, – მიაჩნია ბ. სართანიას.

ავტორი ასკვნის: საზოგადოების განვითარების ფორმაციათა ყველა ეს პროცესი, კოლხთა სამეგრელოში, მეგრულ ქალდეური და ქორთუ აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა, ბრინჯაოს და რკინის პერიოდთა მიჯნებზე!

ამასთან დაკავშირებით ბ. სართანია მიუთითებს, რომ ერთი ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი, რომელიც იხილავს ამ ფაქტებს **„მეგრელებს არ ახსენებს, არამედ მათ ქართველი ხალხების წინაპრებს"** უწოდებს (მუსკებს). კერძოდ, **„მუსკი"** შვილს ნიშნავს, **„მუ ჯგირი სქუა" – „რა კარგი შვილი"**, რაც შთამომავლობის გამომხატველი სიტყვაა. **„მუსკი"** გულისხმობს კარგი წოდების შვილს (გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის **„დათა თუთაშხია"** მეგრელი აზნაური მუსკია.). ლაზეთში არის ამ სახელწოდების სოფელი – **„მაროში სკიში ოფუტე" – „მარუს შვილის სოფელი"**. ყველა მეგრული ტომის სახელწოდებას გააჩნია მეგრული ძირი, ფუძე, რომელითაც განსაზღვრება მათი ადგილმდებარეობა.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ ზოგიერთი მეგრული ტომები, ახლა კი ზოგიერთი ამ ტომის განსახლების საკითხს შევეხებით.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ეთიკა – მომავალი წარმატებების საფუძველი

## შემეცნებითი კუთხე

*"ეთიკა, ზნეობა პოლიტიკის საწყისია"*

**არისტოტელე**

***"ეთიკა მოდის ბერძნული სიტყვიდან "ეთოს", რაც ნიშნავს ზნეს, ჩვევას და ეს ფილოსოფიური მოძღვრება შეისწავლის ზნეობის საკითხებს, ანუ იკვლევს რა არის ზნეობა, სიკეთე, ბედნიერება, პასუხისმგებლობა, მოვალეობა და ა.შ. "ეთიკა" არის მეცნიერება იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ ბედნიერი იყოს"*** (ქ.ს.ე.).

არსებობს **"პრაქტიკული ეთიკა"**, **"პარტიული ეთიკა"**, **"სასამართლო ეთიკა"**, **"პედაგოგიური ეთიკა"** და ა.შ. ამიტომ, მას პრაქტიკული ცხოვრების ფილოსოფიასაც უწოდებენ. ისტორია ასევე მრავალი ავტორის მიერ დამუშავებულ ეთიკის ნორმებსაც გვთავაზობს, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ არისტოტელეს ეთიკა, ქრისტიანული ეთიკა, კანტის, ნიცშეს, სოკრატეს, ვაჟას ეთიკა და ა.შ.

ადამიანთა ისტორიული განვითარების და, განსაკუთრებით, ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ეთიკას ყოველთვის ენიჭებოდა და ენიჭება ქართული სახელმწიფო პოლიტიკის გაკეთილშობილების, ქართული სახელმწიფოს ჰარმონიული განვითარების და ქართველი კაცის სულიერი ამაღლების ფუნქცია. სწორედ ახალ ქართულ სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე და მის მიერ წარმოებულ შიგა და გარე პოლიტიკაზე ზრუნვით არის გამსჭვალული ჩვენი დაინტერესება იმ ეთიკური, ზნეობრივი ნორმებით, რასაც მრავალი ავტორი და განსაკუთრებით დიდი ვაჟა-ფშაველა გვთავაზობს.

ცნობილია, რომ სახელმწიფო პოლიტიკას ქვეყნის შინ და გარეთ არსებული ვითარება განსაზღვრავს, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ხელისუფლებაში მოკალათებულ ცალკეულ მმართველ პირებზე, მათ პიროვნულ თვისებებზე, ზნეობასა და მორალზე, ასევე იმ ძირითად ფაქტორებზე რაც ხალხის, საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებშია გამოხატული. ასევე, სახელმწიფოს და მისი ხელისუფლების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ქვეყნის წარმატება – წარუმატებლობა, ქვეყნის ეკონომიკა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა და ა.შ. თვით ქვეყნის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, რის საფუძველსაც ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვა წარმოადგენს. ყოველივე ეს უდიდეს მნიშვნელობას იძენს ქვეყნის განსაკუთრებული ცხოვრების პირობებში, სადაც დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, მილიონობით მცხოვრები გასულია საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად, გაპარტახებულია ქვეყნის ეკონომიკა და ა.შ.

ადამიანის არსი, მისი ბუნებრივი ყოველდღიური მოთხოვნილებები განსაზღვრავს მის გარემოს, მთლიანად საზოგადოების ავ-კარგიანობას, როგორიც არის ადამიანი, ისეთი არის საზოგადოება და შესაბამისად მისი შექმნილი სახელმწიფო მასში არსებული პოლიტიკით.

ჩვენს ყოფაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ზნეობის ფსიქოლოგიურ ფაქტორს და ზნეობის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ზნეობის კავშირს პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, რელიგიასთან, მეცნიერებასთან და ა.შ. როგორც ჩვენი ყოფაცხოვრების საფუძველთან. **"ეთიკა ჩვენი ყველა სწრაფვისა და ქმედების მსაჯულია"**. (თ. ბუთხუზი).

ადამიანის ქცევა დამოკიდებულია მის მსოფლმხედველობაზე, აზრებზე, სურვილებზე, თუ როგორ უყურებს და აღიქვამს გარე სამყაროს, საზოგადოებას, როგორ ესმის მცნება ღირსება, სიყვარული. უსიყვარულო, უთავმოყვარეო ადამიანს არა აქვს ზნეობა და ამდენად არც საზოგადოებისთვის მისაღები ეთიკა, რომლის ჩამოყალიბება და დახვეწა საუკუნეებს საჭიროებს.

ადამიანის ქცევის ნორმები, რომელიც ქართველის აღზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა, ყოველთვის სამაგალითო იყო მტერ-მოყვარესთვის, ეს საკითხები ჯერ კიდევ არჩილ მეფეს აქვს ჩამოყალიბებული ნაშრომში **"საქართველოს თხზულებანი"** და იოანე ბატონიშვილს **"კალმასობაში"** ოდითგან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართულ ოჯახში და საერთოდ საზოგადოებში ყოფაქცევის ესთეტიკას, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეტიკეტის დაცვას, რამდენადაც კარგად იცოდნენ, ეს ადამიანთა შორის ურთიერთობებს აკეთილშობილებს და საამურს ხდის, კაცს ღირსებას მატებს.

ოჯახში როცა ბებია-პაპის, და-ძმის, უფროს-უმცროსის სიყვარული სისხლში და ხორცში აქვთ გამჯდარი, შვილებსაც ამ ტრადიციით ზრდიან. მოზარდი როგორც სულიერად ისე ფიზიკურად და მორალურად 10-12 წლის ასაკამდე ყალიბდება როგორც სრულყოფილი ადამიანი და მოქალაქე, როგორც საფუძველი მის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოების სიჯანსაღისა და სიძლიერისა.

ქართველებს როგორც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ ხალხს საუკუნეების მანძილზე არა მარტო ხორბლის, ვაზის, ხეხილის სხვადასხვა ჯიშები გამოჰყავდა, არამედ ხვეწდნენ და აწრთობდნენ თავის თავს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად.

ქართველი კაცის ბუნება, მოთხოვნილებები, მისწრაფებები, მნიშვნელოვნად არის შეცვლილი დღეს, საფუძველი მრავალსაუკუნოვანი წარსული და 20-23 წლოვანი დღევანდელობაა, რამაც ჩვენს ხალხს უზნეობის ბაცილა და მონის ფსიქოლოგია შესძინა, მახსოვრობა და აზროვნება წაჰგვარა, მადლიერების გრძნობა დაუჩლუნგა, გულგრილობის ბურუსში გახვია. არც თუ იშვიათად ოჯახიდანვე იწყება ადამიანის დეგრადირება, ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც ძველი ქართული ტრადიციების მოშლა, ისე არსებული სკოლამდელი აღზრდის და უმაღლესი განათლების სისტემა.

ყველაფრის ამის ნათელი დასტურია ჩვენს ირგვლივ არსებული დალეწილი, დაჭრილი, დანაგვიანებული გარე სამყარო, რომელიც სადარბაზოებიდან იწყება, სკოლებით, ტრანსპორტით, სკვერებით, ქუჩებით გრძელდება და დაუფარავი უზნეობით, არა ეთიკური ქცევით, საქმისა და ერთმანეთისადმი არა ადამიანური დამოკიდებულებით ქართული პოლიტიკის სათავეებს სწვდება, რასაც თვითმკვლელობამდე მიჰყავს ერი და სახელმწიფო.

კომუნისტების დროს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყო რა კორუმპირებული, მექრთამე და სახელმწიფოს ქონების მპარავი, მიდიოდა პროპაგანდა, ადამიანი ყოფილიყო უტყვი. მ. სააკაშვილის დროს ამოქმედდა ჩაშვების ინსტიტუტი, რამდენადაც კორუფცია, ქურდობა, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დამკვიდრდა და მოცილეები არ უნდა ჰყოლოდათ. დღეს იცვლება რა მდგომარეობა ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ, საჭიროა დამკვიდრდეს მხილების ინსტიტუტი, რათა უზნეო მორალისაგან დაცლილ, ქვეყნის მტრად მოვლენილ ადამიანებს მოქმედების არეალი შეეზღუდოთ, ეს მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა საქმე არ არის, ამაში საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს ერთიანი ძალისხმევა.

დიდი ხანი არ არის რაც საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული ხელისუფლება მართავდა, მაგრამ გამოიყენეს რა ხალხის გულგრილობა, გულუბრყვილობა, რაც მთავარია უზრუნველი ცხოვრებისადმი მიდრეკილი სიხარბის გრძნობა, ცრუ დაპირებებით გაბრიყვებულებმა (შევადაროთ დღევანდელ სიტუაციას), ქვეყნის გარე ძალებმა შინაური მტრების მეშვეობით ქვყნის მართვა ჯერ ე. შევარდნაძეს ჩააბარეს, შემდეგ ამავე ნიადაგზე მ. სააკაშვილს. შედეგად სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა ქვეყნის გარედან მართული ხელისუფლება რომლისთვისაც უცხოა ზნება, მორალი, თავმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, ყოველივე სიკეთე.

ქართველი ერის ზრუნვის მთავარი ობიექტი იყო და არის სამშობლო, აქედან გამომდინარე მიზნებით, ამოცანებით, ერის ლიდერის საზოგადოებასთან ურთიერთდამოკიდებულებით და ა.შ. რაზედაც ადრე მქონდა ჩემს ხალხთან საუბარი (იხ. გაზეთი **"ილორი"** №225, 2013 წ., **"სამშობლო – ზრუნვის მთავარი ობიექტი"**), თუმცა დიდი გამარჯვების შემდეგ ხალხს ეგონა რა ბრძოლა მომთავრებული, ქვეყნის წინაშე მოიხსნა პასუხისმგებლობა და ყველაფერი ლიდერს გადააბარა. მასას არ ძალუძს გააცნობიეროს, ბატონ ბიძინას დღეს უფრო უჭირს და მეტი პრობლემები აქვს თავის საქმიანობაში თუ არჩევნებამდე ჰქონდა, იქნებ მას ისევე სჭირდება საზოგადოების მხარში ამოდგომა, როგორც ის და მისი ოჯახი დაუდგა მხარში თავის ხალხს არჩევნებამდე, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ, რასაც ბევრი ვერ ან არ ხედავს, ავისმქნელთ, უმეცართ და უმადურთ რა დალევს ქვეყანაზე.

ცხოვრებამ, დაგვაყენა ბუნებრივი კანონზომიერების შეცნობის წინაშე. ღმერთმა მოგვივლინა ლიდერი, ჩვენ კი კვლავ ბელადსა და დიქტატორს ვითხოვთ. ლიდერმა ქართულ პოლიტიკაში შემოიტანა მომავლის აზროვნება ქართული ტრადიციული დიპლომატიის ელემენტებით, მაგრამ ამბიციური და პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი უმრავლესობა მოსახლეობისა, განსაკუთრებით ბუნებით თანდაყოლილი ადამიანური თვისებით **"მე ვარ და ჩემი ნაბადის"** პოზიციიდან გამომდინარე საკუთარი თავის მტრად გვევლინება, კვლავ ადრე დაშვებულ შეცდომებს იმეორებს და ვერ აღიქვამს საჭიროს.

1 ოქტომბრის შემდეგ საზოგადოება მოდუნდა, ბრძოლისუნარიანობა დაკარგა. ნაციონალების უხვად დაფინანსებული მხარდამჭერები, მათივე შექმნილი თუ საზღვარგარეთიდან მართული არასამთავრობო ორგანიზაციები, უცხო ქვეყნების მრავალრიცხოვან აგენტებთან ერთად, ერთ მიზანს, ქართული სახელმწიფოს მოსპობას ემსახურებიან. ქართველი ხალხის უნიათობით, ჩვენი გულგრილი დამოკიდებულებით და უპასუხისმგებლობით სამშობლოსადმი, წარმატებებს აღწევენ მტრულ საქმიანობაში.

ქართული პოლიტიკური სპექტრი, 20-25 წლიანი პოლიტიკური სტაჟით, რომელსაც უმწიფარი ნამდვილად არ ეთქმის, ორ ათეულ წელზე მეტია პოლიტიკური აზროვნების და ცხოვრების მნიშვნელოვან წარმმართველ ძალას წარმოადგენს ქვეყანაში, საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს. გამოჩენილი ადამიანების, ჩვენთვის პატივსაცემი, ავტორიტეტული ან ე.წ. **"ცნობადი სახეების"** პროპაგანდისტული გამოსვლებით მასმედიაში თუ საზოგადოებაში, მათი მხრიდან პოლიტიკური ძალების ან ცალკეული პოლიტიკოსების მხარდასაჭერად წარმოებული ბლადერი (ე.წ. პიარი) უზრუნველყოფდა მათ ხელისუფლებაში მოსვლას, რომელთა მოღვაწეობის შედეგიც არის საქართველოს მოსახლეობის ბოლო 20-23 წლიანი ყოფა-ცხოვრება. პოლიტიკოსთა დიდი სპექტრი დემაგოგიისა და თავხედური მეთოდების გამოყენებით, პროგრესული, პატრიოტული ძალების დისკრეტაციის ფონზე დღეს უფრო მაღალი პოზიციების დაკავებისთვის იბრძვის. ამის ნათელი გამოვლინებაა პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა-არწასვლის, წინა საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაზე და ა.შ. პოლემიკა. თუ დავაკვირდებით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საბოტაჟის გარკვეული გამოვლინებების მიუხედავად დაპირებები გადაჭარბებითაც კი შესრულდა. წინასაარჩევნოდ ბ. ივანიშვილის და მისი მხარდამჭერების დაპირებებმა ჩაუსახა ხალხს იმედი, ზოგჯერ შეიძლება მცდარიც, მაგრამ ამ იმედმა გადაარჩინა ერი. რომ არა ადამიანის მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი დაპირებები და ციხის კადრები, ვიქნებოდით დღეს თავისუფალნი, თუ კვლავ მეცოცხეებთან გვექნებოდა საქმე?

შემთხვევით, ხომ არ ჰგავს ამ დაპირებების შედეგები ე. შევარდნაძის მ. სააკაშვილის ან ზოგიერთი დღევანდელი საპრეზიდენტო კანდიდატის დაპირებებს? ჩვენ კი ამის გააზრება და შეცდომების აღიარება, მხილება არ გვსურს, ზოგიერთ მტრად მოვლენილს შეხვედრებს ვუწყობთ და ხელსაც ვართმევთ. თუ მეხსიერება არ გვღალატობს გავიხსენოთ ჯერ გუშინდელი დღე ნაციონალების ბატონობისა და შემდეგ დღევანდელი ყოფა, ასევე ჩვენი ისტორია, დღევანდელ კოჰაბიტაციას, იგივე თანაცხოვრებას, (ყველა თავისებურად რომ იგებს), როგორ ახერხებდნენ ჩვენი დიდი მეფეები დაუძინებელ მტრებთან, ხოლო ბრძენმა ერეკლემ ტრაქტატიც კი გააფორმა მეზობელ სახელმწიფოსთან და სამშობლო განადგურებას გადაარჩინა.

იქნებ გვაქვს რამე გარანტია იმისი, რომ ნაციონალებს წანასწარ არ ექნებათ მუხანათური შეთანხმება **"ცნობად პოლიტიკოსებთან"**, ნათესავ-მეგობრებთან ან არ ექნებათ მაკომპრომენტირებელი მასალები, თუნდაც ფირების სახით და ისინიც ისევე გადააბარონ ხელისუფლებას ნაციონალებს როგორც შევარდნაძემ გადააბარა.

მიაქციეთ ყურადღება იმ ბინძურ, არაეთიკურ ლექსიკას, დღეს ქართველ პოლიტიკოსებს თუ მათ მხარდამჭერებს რომ ახასიათებთ (მცირე გამონაკლისის გარდა). გააცნობიერეთ მათი მისწრაფებები ადამიანური ბუნება და მოთხოვნილებები, გულმოდგინედ რომ ნიღბავენ თავის წარსულს თუ დღევანდლობას, უკადრებელს კადრულობენ რათა სახელი გაუტეხონ პატიოსან ადამიანებს, განსაკუთრებით კონკურენტს ახალი ოცნებიდან. ამგვარი სიბინძურისათვის პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის სახელის გამოყენებასაც არ ერიდებიან, სხვა შემთხვევაში ბ. ივანიშვილის გამონათქვამებს მცდარ ინტერპრეტაციას არ მისცემდნენ. მათ აინტერესებთ პლასტელინის თვისების მატარებელი და ძაღლით მოსეირნე პრეზიდენტობის კანდიდატი, თითქოს შეუძლებელია ადამიანის ერთგული მეგობარი ცხოველი ქართველსაც ისე უყვარს როგორც ამერიკელს, გერმანელს ან ინგლისელს, ხოლო პლასტელინის თვისების, ელასტიური, მოქნილი, ტრადიციული ქართული დიპლომატიის მქონე (მსგავსად გიორგი ბრწყინვალესი) ხელისუფალი, რომლის მოღვაწეობასაც სახელმწიფოებრივი აზროვნება, გონიერება, პროფესიონალიზმი და პატიოსნება ახლავს მიუღებელია საქართველოსთვის.

არ შეიძლება 30 ვერცხლმა და მონურმა ფსიქოლოგიამ რომელსაც ასეული წლები გვინერგავდნენ მტრები, ჩვენზე გაიმარჯვოს. მონტესკიე ამბობს: **"მონებმა ათასი გადატრიალება რომ მოაწყონ, ათასმეერთედ ისე ახალ მჩაგვრელს მოიყვანენო"**, მაგრამ ჩვენი თაობა არ შეიძლება გახდეს საქართველოს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მესაფლავე, რისი აღკვეთაც სურს ბ. ივანიშვილს, ერთგულ ქართველ მამულიშვილებთან ერთად.

მისასალმებელია როდესაც ქართველი მამულიშვილების მხრიდან შეიმჩნევა გარკვეული მცდელობა ქართულ საზოგადოებას მისცეს გამოფხიზლების, გაერთიანების, საერთო ძალის გამოვლენის სტიმული და შესაძლებლობა, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯია ვაჟკაცი ქალბატონის ი. ინაშვილის და მისი გუნდისა, ტ. წითელაშვილის, ი. ვაზაგაშვილის, გ. კორკოტაშვილის და მათი მეგობრებისაგან. მედიაკავშირ **"ობიექტივს"** თავის შესაძლებლობიდან გამომდინარე გარკვეული, კარგად გააზრებული თვითკრიტიკული მიდგომისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში, როგორც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნის ცხოვრებაში. ეს საშუალებას მისცემდა ქართულ საზოგადოებას დაეფიქსირებინა თავისი ნება ქვეყნის ხელისუფალთა და უცხოელთა წინაშე ქვეყანაში არსებულ მოვლენებზე, გაეწია შესაბამისი ბლადერი და შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო საზოგადოების ჩართულობა ქართულ პოლიტიკაში, რამდენადაც **"თუ სუბიექტს არ აინტერესებს პოლიტიკა, ის უკვე მონაა"** (არისტოტელე). საზოგადოების გააზრებული, ღრმა ანალიზზე დაფუძნებული ყოველი ქმედება, დიდი მხარდაჭერა იქნებოდა ოქტომბრის გამარჯვების მესვეურებისა ქართული სახელმწიფოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში, საზოგადოების კონტროლს დაქვემდებარებული ხელისუფლება ვერ გაბედავდა იმ გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმას, რაც გამოიხატება თუნდაც პარლამენტისა და მთავრობის წევრთა ხელფასების ზრდით. რბილად რომ ვთქვათ ეს არის არაეთიკური, უპასუხისმგებლო და უპატივცემულო დამოკიდებულება საკუთარი ხალხის მიმართ, ხოლო გრძნობა უფრო მძაფრდება თუ მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისის დედოფლის ჩამქრალ ბუხარს გავიხსენებთ.

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, როგორც საქართველოს გონი, შეძლებისდაგვარად ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას სათანადო დონეზე, რაც პირველ რიგში კანონშემოქმედებაში პრიორიტეტების აღრევაში, ზოგჯერ იგნორირებაშიც გამოიხატება, ეს საფუძველმოკლებულს ხდის აღმასრულებელი ხელისუფლების სრულყოფილ მუშაობას მართვის მთელ ვერტიკალში, სადაც ნაკლებად არიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, თავისი საქმის პროფესიონალი ადამიანები. მათ არ შესწევთ უნარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად გაართვან თავი მინდობილ საქმეს. ამასთან ერთად მიზეზთა გამო პარლამენტს არ ძალუძს გაუწიოს შესაბამისი კონტროლი მთავრობას. აღნიშნული ხარვეზები შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეული იძულებითი ნაბიჯებით, მაგრამ უყურადღებოდ დარჩეს ძველი ხელისუფლებიდან შემორჩენილი დამნაშავე ელემენტები, რომლებიც ინერციით აგრძელებენ ძველ საქმიანობას, ყოვლად დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, რომ **"დრაკონის მოსაცილებლად საკუთარი დრაკონის ყოლაა საჭირო"** (ევგენი შვარცი). სათანადო კონტროლის არსებობის შემთხვევაშიც კი მათი უმრავლესობა ქვეყნისთვის საშიშროებას წარმოადგენს, განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში, თანაც მაშინ როდესაც ვერ აცნობიერებენ, საკუთარ სამშობლოსთან რომ აქვთ საქმე.

სახელმწიფო სტრუქტურებში ვაკანსიების შევსების დროს ხდება ღირსეული, პროფესიონალი კადრების იგნორირება, რაც საქვეყნო საქმეს აზიანებს. იქაც კი სადაც სამართლიანობის აღდგენის საკითხებში პრობლემები არ უნდა არსებობდეს, საეჭვოდ ჭიანურდება.

ქართულმა საზოგადოებამ თქვა თავისი ღირსეული სიტყვა 1 ოქტომბერს და იმის უნარიც შესწევს დაარწმუნოს ქვეყანა, რომ ჩვენ მხოლოდ ამომრჩევლები არა ვართ, ერთად დგომით და ბრძოლისუნარიანობით ქვეყნის წარმმართველ ძალას წარმოვადგენთ. პასუხს ვაგებთ მომავალი თაობის და წინაპრების ხსოვნის წინაშე, წინაპრებისა რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყვნენ უმაღლესი ღირსების, კულტურის და მორალის მატარებლები, რომლის დამადასტურებელი ფაქტები შუმერულ და ეგვიპტურ კულტურათა სიღრმეებშიც მოიპოვება.

**"კულტურა"** ლათინური სიტყვაა და დამუშავებას ნიშნავს, იგი ცოდნას, ერუდიციას და გრძნობების სიღრმეს ემყარება. როგორი დამუშავება და გაჩარხვა განიცადა ქართულმა სულმა, რა ეთიკური და ზნეობრივი ნორმები უმაგრებს საფუძველს ჩვენს დღევანდელობას აისახება თითოეული ქართველის სახელმწიფოებრივ აზროვნებაში, პასუხისმგებლობაში სამშობლოს წინაშე.

სიტყვა ჩვენზეა ქართველებო!

**ა. ციხისთავი**

# პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

*სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.*
**ბალზაკი**

*ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.*
**შილერი**

დაინტერესებულ პირებს, ვთხოვ, წაიკითხონ ჩემი წიგნი და იქ მიიღებენ ამომწურავ პასუხს აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე, გაიგებენ – ვინ ვინ იყო და რას სჩადიოდა, გადაეყრებიან გმირებსა და ანტიგმირებს, დაუფარავად შეიტყობენ სიმართლეს, მწარე სიმართლეს. ასე რომ, არ ღირს და არც ვაპირებ ამ **„ფსევდოავტორებთან“** პოლემიკაში ჩაბმას. არც პრეზიდიუმის წევრებთან ღირს კამათი, მიუხედავად იმისა, რომ არ დაიკავეს ღირსეული პოზიცია – ყველაზე მცირე, მათ შეეძლოთ მოეთხოვათ და მიეღწიათ იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხის განხილვაში მეც მიმეღო მონაწილეობა, როგორც წიგნის ავტორს. არ გააკეთეს! რა ვუყოთ, მათ შორის ისეთებიც არიან, პატივისცემას რომ იმსახურებენ. ზოგიერთი, ალბათ, ვერ გაექცა ჯოგურ ინსტინქტებს და წეს-ჩვეულებას, ვერ გაუძლო ცდუნებას, **„ქორწილის გენერლის“** ზეწოლას. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც გივი ლომინაძის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მიღწეულ **„კავშირებს“** და **„ვალდებულებებს“** ვერ უღალატეს.

უფალმა შევუნდოს, ჩვენც მივუტევოთ ყველას!

მაგრამ ადამიანური პოზიციიდან ძლიერ მაინტერესებს, რა დაემართათ იმათ, რომელთსაც ამგვარი **„კავშირები“** და **„ვალდებულებები“** არ ამძიმებთ? რა დაემართა ჯემალ გამახარიას? ნუთუ მისი საქციელი იმ **„წინდახედულების“** შედეგია, რომელიც თადარიგის დაჭერას გულისხმობს და ითვალისწინებს, რომ მას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების დროს თითოეული მათგანის ხმა დასჭირდება?

ნებისმიერ შემთხვევაში, იგი ვალდებული იყო სწორი პოზიცია დაეჭირა! მასზე უკეთ ვინ იცის, რას ვაკეთებდი ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ, როგორ ვწირავდი ყოველივე პირადულს საერთო საქმისთვის: ეს რომ არა, ორი ტრაგედიიდან ერთს ხომ მაინც ავიცდენდი? საკუთარი ოჯახისთვის არ მეცალა და ამიტომაც ვერ გავუფრთხილდი პატარას... სხვებს თუ არა, მას ხომ მაინც უნდა ხსომებოდა ეს! ერისკაცს მიწოდებდნენ, მერე კი რა დაემართათ? სად არის ბატონი აკაკი გასვიანი, რომელიც სულ იმუქრებოდა, რომ იტყოდა სიმართლეს?! როდის იტყვის? და თუ იტყვის საერთოდ?!.

ვაგლახ, რომ ჩვენს შორის აღარ არის კიმი ჯაჭვლიანი, თორემ მას ვერაფერი შეაკავებდა, ალბათ!...

ძალიან არასოლიდურია ყოველივე ეს, ძალიან არასიმპათიურად გამოიყურებით ჩემო **„ძვირფასო“** კოლეგებო! ინტელიგენტი კაცი არ უნდა დაეცეს ასე და არ უნდა კადრულობდეს ამდენ სიცრუეს და ასეთ ბინძურ საქმეს!

გულისწყრომას და სინანულს იწვევს ის, რასაც თქვენ, ეროვნულ იდეებს ამოფარებულნი, პატრიოტული პათოსით სჩადით – შურს **„იძიებთ“** და იმაზე სულ არ ფიქრობთ, რომ უფრო აღრმავებთ უფსკრულს თქვენსა და საზოგადოებას შორის, თქვენი ყოველი სიტყვა ხომ სიძულვილის სახით გიბრუნდებათ უკან? რა საწყენია, რომ ამას ვერ გრძნობთ! რაც არ დაუმადლია მაღლიდან ღმერთს, რა საკვირველია, იმას თქვენ ვერ შეიძენდით! რა ვქნათ?! უნდა შეგინდოთ!..

არა უშავს, ღმერთი დიდია, ყველაფერს ხედავს, ყველას თავისას მიუზღავს! არც მე ჩავიდებ გულში წყენას იმათ მიმართ, ვინც ამას ოდნავ მაინც იმსახურებს, ვისი პატიებაც შეიძლება. ხოლო ჩემი **„მეგობრები“** თუ არ იკმარებენ იმ სიბილწეს, რაც ჩაიდინეს და კვლავაც გააგრძელებენ წვრილმანკაცობას, ჩემგან დანდობას ნუღარ მოელიან – მაშინ უკვე ბოლომდე გაიხსნება **„პანდორას ყუთი“!**

ახლა კი, მოვუწოდებ ყველას – მოვეშვათ ძიძგილაობას, შევჩერდეთ! ნუ მივეცემით საღათას ძილს, გამოვფხიზლდეთ! მოვინანიოთ დაშვებული საბედისწერო შეცდომები, დავუდგეთ გვერდით ქვეყნის სათავეში მოსულ პროგრესულ ძალებს, ჩვენს დაბეჩავებულ და გაწამებულ ხალხს!

დაახლოებით ასეთ განწყობაზე ვიყავი და ამ შინაარსის წერილის გამოქვეყნებას ვაპირებდი მოახლოებული დევნილთა ყრილობის წინ. იქ ვაპირებდი უფრო ღია (მოურიდებელ) საუბარს. ის იყო, ამ წერილს ვამთავრებდი, რომ დევნილთა დაგეგმილი ყრილობის საორგანიზაციო საბჭოს წევრებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ ისინი ამზადებდნენ საპასუხო წერილს და მთხოვეს წერილის გამოქვეყნებისგან თავი შემეკავებინა. მათი თხოვნა გავითვალისწინე და განზრახვა განზე გადავდე. მართლაც, 9 თებერვალს, გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** დაიბეჭდა პროფ. ზაურ კვარაცხელიას წერილი სათაურით **„ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“**. მას ავტორთან ერთად ხელს აწერდნენ აფხაზეთის სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები.

მეგონა, რომ ამით **„საბრალდებულო დასკვნის“** გამოქვეყნება დასრულდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა – რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ **„განმათავისუფლებელში“** (2013 წლის თებერვალი, 34, გვ.16) გამოქვეყნდა ჯერ ნუგზარ მგალობლიშვილის წერილი სათაურით **„თანამედროვე შადიმანი“**, ხოლო ცოტა მოგვიანებით (2013 წ. 20 თებერვალი 32), ჯემალ გამახარიას წერილი გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“**, სათაურით **„როგორ სხვისდებოდა თუ გასხვისდეს“...**

ერთი სიტყვით, შემოტევაც ამას ჰქვია! შევეცდები ზედმეტი ემოციების გარეშე, დინჯად და აუღელვებლად გავარკვიო მკითხველი ჩემი ოპონენტების **„სიმართლესა და ზნემაღალი“** მოქმედებების შესახებ. წინასწარ გპირდებით, რომ ვიქნები გულწრფელი. ჩემი პასუხი იქნება არგუმენტირებული, ფაქტებით გაჯერებული, ყოველგვარი შეფუთვისა და მაღალფარდოვნების გარეშე, რითაც ასე გამოირჩევა თქვენი პასკვილები, **„პატივცემულო“** ოპონენტებო. მკითხველი გაიგებს, თუ რაოდენ კეთილსინდისიერად და ობიექტურად მოექეცით თქვენ ჩემს წიგნში მოცემულ ტექსტობრივ მასალას. თითოეული ამონარიდი წარმოდგენილი იქნება იმ ენაზე და იმ ფორმით, როგორც ეს ორიგინალშია, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ ტექსტი არ არის ადაპტირებული. მაშინ გამოჩნდება, ჰქონდა თუ არა ადგილი ფრაზებისა და წინადადებების კონტექსტიდან ამოგლეჯას და მიკერძოებულ, დამახინჯებულ ინტერპრეტაციას, იმისდა მიხედვით, თუ ყოველივე ეს რა მიზანს ემსახურებოდა. მაშ, ასე, დავიწყოთ, მივყვეთ **„ინფორმაციის“** ტექსტს:

ზემოხსენებულ საგაზეთო პუბლიკაციაში რუსულ ენაზე გამოცემული ჩემი წიგნის (**„Как отторгалась Абхазия“**) მე-20 გვერდიდან დამოწმებულია ამონარიდი შემდეგნაირად: **„ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ იჩაგრებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები, მათ შორის ქართველებიც, მაგრამ გვავიწყდება, თუ (უნდა იყოს „ან“ ნ.მ.) მხედველობაში არ ვიღებთ საქმის ვითარებას ყოფილ ავტონომიებში, გული მოგვდის, როდესაც მცირე იმპერიას გვიწოდებენ, თუმცა მისი დამახასიათებელი ნიშნები უპირობოდ სახეზეა. მათი დანახვა შესაძლებელი იქნებოდა, თუკი ყურადღებითა და გულისყურით ჩავხედავთ საქმეს თვალებში!“**

აქ ჩემი ოპონენტები პარალელს ავლებენ ანდრეი სახაროვის ცნობილ მოსაზრებასთან, რომელმაც თავის დროზე სამართლიანი ვნებათაღელვა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში და ქილიკობენ ჩემზე, როგორც მკურნალ ექიმზე (ვაგლახ!), რომ მე, ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგული, სამკურნალო პრეპარატის ანოტაციასავით ვთავაზობ მათ ამ **„ჭეშმარიტებას“**, თანაც ისეთი აბსურდული სახით, რომ თვით აფხაზ და რუს ფალსიფიკატორებსაც კი შეშურდებოდათ. ახლა კი, ვნახოთ, რამდენად ზუსტად გვაწვდიან ისინი ამ ამონარიდს და რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს!

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ იგი მხოლოდ ერთი შეხედვით გახლავთ რუსული ორიგინალის იდენტური, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ტექსტის მიზანდასახულ დამახინჯებასთან. ზემოთ მოყვანილი ამონარიდი იქ არ მთავრდება, სადაც მას ჩემი **„კეთილმოსურნე“** ოპონენტები ამთავრებენ. ტექსტი იქვე გრძელდება და არა აბზაციდან, აი, ასე: **И вряд ли следует здесь чему-либо удивляться. Такова была политика повсеместно, и, какая была политика по всей стране** (მხედველობაშია საბჭოთა კავშირი ნ.მ.), **такова была она и в отношении автономий и к их малочисленным народам!“**

ახლა შევხედოთ ტექსტს მთლიანობაში! როგორც ხედავთ, აქ საუბარია არა კონკრეტულად ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე, არამედ ზოგადად საბჭოური იმპერიის ნაციონალურ იდეოლოგიაზე მოკავშირე რესპუბლიკებსა და მათ ავტონომიებთან მიმართებაში.

შეიძლება ჩვენში ეს უფრო საგრძნობი და მტკივნეული იყო და ხანდახან უხეშ ფორმასაც კი იძენდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის ისეთ პროვინციულ და მივარდნილ კუთხეებს, როგორებიც იყვნენ ყუმურდო, მორდოვეთი (და არა მოლდავეთი!), ჩუვაშეთი, ყალმუხეთი და სხვ., თითქმის ათი წლით ადრე ჰქონდათ საკუთარი უნივერსიტეტი და ტელევიზია, ხოლო ჩვენში ამ საკითხის მოგვარებისთვის აფხაზეთის 1978 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენები და, ამასთან დაკავშირებით, ავადსახსენებელი საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროსა და მთავრობის მიერ სპეციალური დადგენილების მიღებაც კი გახდა საჭირო. განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ყოველივე ეს თავის დროზე მოეწესრიგებინა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და ამგვარი ვნებათაღელვა თავიდან აეცილებინა?

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ აფხაზეთის 250-ათასიანი ქართული მოსახლეობა არ იმსახურებდა ასეთ ყურადღებას? რა, ეს მარტო ეთნიკური აფხაზებისთვის იქნებოდა და ჩვენ არ ვისარგებლებდით ამით? თუკი შეიძლებოდა, რომ **„მრგვალი მაგიდა-ერთიანი საქართველოს“** აფხაზეთის დაჯგუფების თავკაცების – ნუგზარ მგალობლიშვილის, თემურ მჟავიას, თემურ ლორთქიფანიძის და სხვათა მხარდაჭერით შეგვექმნა ქართული სულიერებისა და აზროვნების, ვითომცდა, კიდევ ერთი კერა აფხაზეთში და ამისთვის ორად გაგვეხლიჩა ახალდაარსებული სოხუმის უნივერსიტეტი, ის რატომ არ შეიძლებოდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ და სხვა მსგავს საკითხებზე დროული გადაწყვეტილება მიეღო და საქმე დესტაბილიზაციამდე და მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დაპირისპირებამდე არ მიეყვანა? მაგრამ აქ ის გახლავთ საყურადღებო, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად უნივერსიტეტის ორად გაყოფას! დააკვირდით, რა აბსურდამდე მიდის ყოველივე, როგორ ფარისევლობასა და თავხედობასთან გვაქვს საქმე! – აფხაზეთის მოსახლეობა, პირველ რიგში კი მისი 95%, რომელსაც ადგილობრივი ქართველები შეადგენდნენ, თურმე, ეროვნული სულისკვეთებისა და აზროვნების დეფიციტს განიცდიდნენ (!!!).

სინამდვილეში კი, ჩემო **„ძვირფასო“** ოპონენტებო, სულ სხვა ჩანაფიქრთან გვქონდა საქმე. მე არაერთხელ დავსწრებივარ თათბირებს (მათ შორის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აწ განსვენებული ოთარ ზუხბაიას მიერ მოწვეულს), სადაც აღნიშნული საკითხი იხილებოდა. ამისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, ზურაბ პაპასკირი, ჯუმბერ ხუბუტია, აწ განსვენებული მურმან ბერია და სხვები. მათ აქტიურად უჭერდით მხარს სწორედ თქვენ, **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“** აფხაზეთის ფილიალის თავკაცები. ეს არის სიმართლე და ამან ქვეყანას, პირველ რიგში კი აფხაზეთის მოსახლეობას, რაც მოუტანა, ყველამ კარგად იცის. 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებში, სხვებთან ერთად, თქვენც მიგიძღვით ბრალი, რაც დღემდე ვერ შეგიგნიათ! თქვენს მიერ ჩადენილი **„საქმენი საგმირონი“** ყოველთვის იყო ეროვნული, პატრიოტული ლოზუნგებით შეფუთული, რასაც დღემდე ვერ ღალატობთ. ხალხმა კარგად იცის – ვინ ვინ არის, ვინ რითი იყო დაკავებული და რას სჩადიოდა აფხაზეთში. ნუ ფიქრობთ, რომ ხალხი მართლა ბრბოა! დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის ორად გაყოფა მავანთა კომერციულ მიზნებს ემსახურებოდა. **„აფხაზები ისე ირიცხებიან უნივერსიტეტში, რომ მადლობასაც არავინ გვეუბნება. თუ ვინმე იხდის, ეს ისევ ჩვენები არიან და რატომ უნდა ილექებოდეს ეს თანხა აფხაზების ჯიბეებში“?** – ასეთი ფრაზები არაერთგზის მსმენია ჩემი მეგობრებისგან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის წამყვანი თანამშრომლებისგან. ნუთუ თქვენც ასეთ მიზნებს ისახავდით, ბატონო ნუგზარ და ბატონო თემურ?! **„არა მგონია“**, თქვენც ასეთივე მიზნები გამოძრავებდათ! მე რომ მითხრან, ამას **„არ დავიჯერებ“**, სხვებზე კი რა მოგახსენოთ!..

აი, ასეთია ჩემი კომენტარი თქვენი პირველი, რბილად რომ ვთქვათ, შენიშვნის ირგვლივ. ეს, მერწმუნეთ, თქვენი პირველი კონფუზია!

მესმის, რომ სიმართლე ხელს არ გაძლევთ და გაღმა შედავების ტაქტიკაში ხართ მეტად გაწაფულნი. ფიქრობთ, რომ ამით საკუთარ შეცდომებს გადაფარავთ და განურჩევლად, სწორია ის თუ არა, სხვას ესვრით ტალახს. თქვენ, უბრალოდ, სიმართლეს თვალს ვერ უსწორებთ და გგონიათ, რომ მას ისე და იმ დროს გამოიყენებთ, როგორც დაგჭირდებათ, მანამდე კი საიმედოდ მიჩქმალავთ. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის! სიმართლე, პირველ რიგში, ეკუთვნის და სჭირდება ხალხს!

ახლა, მოდით, ისევ ჩვენს ძირითად საქმეს მივუბრუნდეთ. ჩემი ოპონენტები 23-ე გვერდიდან იმოწმებენ შემდეგ ამონარიდს: **„...ნამდვილად იბადება კითხვა, როგორ შეიძლებოდა აფხაზეთი ყოფილიყო საქართველოს ისტორიული ოლქი, როდესაც ცნება „საქართველო“, როგორც ასეთი, ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო, ხოლო „ქართული“ და „ქართველი“ შეიქმნა აგერ ახლახან, თითქმის გუშინ, მე-15 საუკუნის შუაგულში“.** ამას ისინი სრულ სიყალბეს უწოდებენ.

ჯერ ერთი, როგორც წინა შემთხვევაში, ისინი გვაწვდიან ტექსტის დაჩეხილ ვარიანტს. მათ მიერ მოყვანილი ამონარიდი წიგნში ასე გრძელდება: **„Другое дело, что они, абхазы являлись и являются неотьемлемой частью Колхиды или Лазики, как ее древные римляне называли, а уж через нее и вместе с ней позже стали частью „Сакартвело“**.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სულ სხვა სიტუაციასთან. აქ შეიძლება ვიკამათოთ ეპოქაზე, დროზე, თუ როდის გახდა აფხაზეთი საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, მაგრამ უდავოა, რომ იგი მის შემადგენლობაში კოლხეთთან ერთად შევიდა და ეს მოხდა, ალბათ, ქვეყნის პირველი გამაერთიანებელი მეფის, ბაგრატ III-ის დროს, XI საუკუნეში. მანამდე არსებულ ისტორიულ წყაროებში ეს არ ჩანს. ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად დოკუმენტში, **„ქართლის ცხოვრებაში“**, ცალკე აფხაზეთი კი არა, კოლხეთიც არ არის მოხსენიებული. თუ რამდენად სანდო ისტორიული წყაროა ის და შეიძლება თუ არა მთლიანად მასზე დაყრდნობა (იხ. გვ. 308), ეს სულ სხვა საქმეა. მაგრამ არც მასში და აღარც სხვა წყაროებში არსად ილანდება აფხაზეთის კვალი საქართველოსთან მიმართებაში. ვიგებთ მხოლოდ, რომ ქართველები თავდაპირველად საუბრობდნენ თურმე სომხურ ენაზე. ასეთ და სხვა მსგავს აბსურდულ ლეგენდებთან ერთად, მისი ავტორი, ლეონტი მროველი გვამცნობს, რომ საქართველო ოდესღაც გადაჭიმული ყოფილა ნიკოპსიიდან დარუბანდამდე. თუ **„ქართლის ცხოვრება“** სანდოა, რასაც ეჭვქვეშ აყენებენ თვით ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი (იქვე, გვ. 308), მაშინ ბატონი ჯემალ გამახარია სწორია, როდესაც უაპელაციოდ ამტკიცებს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ისტორიული ნაწილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ მროველის ეს ლეგენდა არ არის გამყარებული რაიმე ისტორიული დოკუმენტებით, ხოლო ნიკოფსია, ავტორთა ნაწილის აზრით, არა ტუაფსე, არამედ ის ადგილია, სადაც განისვენებს სვიმონ კანანელი და ეს ადგილი, როგორც მოგეხსენებათ, ახალი ათონია. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო დაქუცმაცებული იყო სხვადასხვა სამეფოებად და სამთავროებად. ამიტომაც, ჩემს წიგნში შეგნებულად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბოლო ხანებში აფხაზეთი ფაქტობრივად არ შედიოდა ერთიანი (გაერთიანებული) ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო უკვე არ არსებობდა, როგორც ერთიანი სახელმწიფო და მისი ადრინდელი შემადგენელი ნაწილები, სამეფოები და სამთავროები, მათ შორის აფხაზეთი, ცალ-ცალკე აღმოჩნდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

**ნაპო მესხია,**
**აკადემიკოსი**

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

მე ძლიერ ამაღელვა ამ ღვარძლიანმა წერილმა და გადავწყვიტე საჩქაროდ მომენახა ბახმეტიევი და პასუხი მომეთხოვა მისთვის. აფორიაქებული და ამ ფიქრებში გართული რომ ვიყავი, შემხვდა ჩემი კარგი მეგობარი იურისტი პატუშინსკი, დიდით ქართველი, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენს ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს. ვუამბე ჩემი აღელვების მიზეზი. მან ასე მიპასუხა – რას იზამ, ჩემო გვანჯი, ის სახელმწიფო კორესპონდენტია, რომც მოსთხოვო პასუხი, თავს გაიმართლებს, შესძლებს ფელეტონში მოყვანილი ფაქტების დამტკიცებას, რადგან შენ თვითონაც ვერ უარყოფ, რომ ხარ გადმოსახლებული, აქაურ საზოგადოებაში კარგად მიღებული, ახალგაზრდა ქალებში გართული და სხვა ასეთი. ისე კი, როგორც ვატყაცემა, თუ შესაფერი შემთხვევა მოგეცემა, ერთი მაგარი სილა უნდა აჭამო და თუ საქმე სასამართლოს გადაეცემა, იქ მე დაგეხმარებით. თან იმასაც შემპირდა, მაგ ბახმეტიევს სახით მე გაგაცნობო. პატუშინსკის ნათქვამმა დიდად გამახარა და გამამხნევა, ცოტაათი დამამშვიდა კიდეც და მადლიერების ნიშნად გადავკოცნე. მეორე დღისთვის დავთქვით შეხვედრა გალელის თეატრში. მართლაც, დავინახეთ, რომ ბახმეტიევი, თავის მეგობრებთან ერთად ლოჟაში იჯდა. მე კარგად დავაკვირდი და დავიმახსოვრე მისი სახე, საერთო გარეგნობა. ამის მერე ვეძებდი ხელსაყრელ შემთხვევას, რათა პირისპირ შევყროდი ამ ავყია ჟურნალისტს. თითქმის ერთმა თვემ გაიარა და ვერსად ვერ დავიმარტოხელე, პირისპირ ვერ შევხვდი.

ერთ საღამოსაც ჩემთან სასწრაფოდ მოვარდა პატუშინსკი და გამაგებინა – ჩემო გვანჯი, ხვალ 12 საათზე ბახმეტიევი პეტერბურგში მიემგზავრებაო. ძლიერ აღელდი. ვკარგავდი სამაგიეროს გადახდის ბოლო შესაძლებლობას. მაშინვე ვინახულე ნესტორი და ვუთხარი – რაც არ უნდა გადამხდეს, დილით გავალ სადგურში და ჩემს შეურაცხმყოფელს ანგარიშს გავუსწორებ-მეთქი. ნესტორს ჭკუაში არ დაუჯდა ჩემი განზრახვა, მირჩია – თავი დაანებე, ზედმეტ ხლაფორთს აიტეხავ და თანაც, ეს იმდენად პრინციპული საკითხი არ არისო. მე გულში მქონდა ამოჭრილი, რომ ჯავრი ამომეყარა და ვთხოვე ნესტორს, ამის გაკეთებას ნუ დამიშლიდა.

დილის 11 საათზე გავედი სადგურზე და ბაქანზე სეირნობა დავიწყე. თან მახლდა მიხეილ დიდიძე, რომელსაც პატუშინსკისთვის უნდა შეეტყობინებინა, რაც იქ მოხდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ სადგურს ეტლით მოადგა ბახმეტიევი. იგი ზორბა ტანის, ასე, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცი იქნებოდა. ამხანაგებმა კეთილი მგზავრობა უსურვეს და გამოემშვიდობნენ. ბახმეტიევი თავისი ვაგონისკენ გაემართა. მე მას გზა გადავუჭერი. გაოცებული შემომაჩერდა და მკითხა:

– უკაცრავად, ბახმეტიევი თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, ბახმეტიევი ვარ! – ამაყად მიპასუხა მან.

– მე თუ მიცნობთ? – ახლა უკვე ცივად შევეკითხე.

– არა, მე თქვენ არ გიცნობთ! – მოკლედ მოსჭრა.

– მაშ, რაღაზე დაგჭირდათ გაზეთში ჩემზე იმ ფელეტონის გამოქვეყნება?! – ვუთხარი და სახეში ელვის სისწრაფით სტკიცე სილა. გარტყმა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ პეტერბურგელი კორესპონდენტი მოქრილ ხესავით დაეცა ძირს. წამოაყენე და მეორედაც შემოვკარი. ისევ დაეცა. მოცვივდა ხალხი, შეიყვანეს მედპუნქტში – მოასულიერეს, სახე შეუხვიეს და მალევე ჩასვეს თავის ვაგონში. ჩემთან მოვიდა ჟანდარმი და მითხრა, სამორიგეოში გაგყოლოდი. მიხეილ დიდიძე ხელად გაქანდა პატუშინსკისთან და რამდენიმე წუთში კიდევაც მოიყვანა. პატუშინსკიმ მანიშნა, ჟანდარმთან როგორ გამეფორმებინა საქმე და გავიდა. ჟანდარმს ჯიბეში ოცდახუთმანეთიანი ჩავუდე და ვთხოვე, რომ ოქმში რკინიგზის წესრიგის დარღვევა არ აღენიშნა და ეს შემთხვევა გაეფორმებინა, როგორც კერძო ჩხუბი. ჟანდარმი დამეთანხმა. მალე ისევ შემოვიდა პატუშინსკი და თავის მხრივ სთხოვა ჟანდარმს, საქმე მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოსთვის გადაეცა. ჟანდარმმა გადამახდევინა 10 მანეთი ჯარიმა, მომცა ქვითარი და წამოვედით. მეხუთე დღისთვის დაინიშნა ამ საქმის განხილვა. დამცველად გამოვიდა პატუშინსკი. ორი საათი მაინც ილაპარაკა. საუცხოო მჭევრმეტყველი იყო. თავისი სიტყვის დასასრულს ჩემი გათავისუფლება მოითხოვა. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება – ორი კვირის პატიმრობა ან 15 მანეთი ჯარიმა. მე, რა თქმა უნდა, სიხარულით გადავიხადე 15 მანეთი, კმაყოფილი გამოვედით სასამართლოდან, მეგობრების ჯგუფმა თან გავიყოლეთ პატუშინსკი და მის პატივსაცემად ქეიფს ვიქეიფეთ.

ჩვეულებრივად ვაგრძელებ მშვიდობიან ცხოვრებას. დავდიოდი ჩემი საცოლის ოჯახში. არალეგალური წრე, ნესტორ კალანდარიშვილისა და ყარამან ტუსკიას ხელმძღვანელობით, ფრთხილად განაგრძობს მუშაობას. გადის ორი თვე და ერთ საღამოს ჟანდარმთა სამმართველოში მიბარებენ. ვცხადდები და მხვდება როტმისტრი სამოხვალოვი, რომელმაც პირველად დააპატიმრა ჩვენი ჯგუფი. სამოხვალოვმა ბოროტი მზერა მომაპყრო და მეუბნება: ჩიქოვანო, დადგა დრო, როდესაც შენ მეტს უკვე ველარ ისეირნებ ჩვენს ირკუტსკში, თეატრსა და ლამაზ ქალებში. ამასთანავე უნდა მოგაშოროთ რევოლუციური სენით შეპყრობილ ამხანაგებს... მარომევს ბილეთს და მკაცრად მეუბნება: გაძლევ წინადადებას, სამი დღის განმავლობაში დატოვო ირკუტსკი. ეს პატივსაცემად ჩათვალე. თუკი დღეიდან მეოთხე დღეს აქედან არ გაემგზავრები, მაშინ საგანგებო წესით გაგასახლებთ და ბევრსაც ინანებო. მე შევეკითხე, გთხოვთ მაცნობოთ მიზეზი, რა დანაშაული მაქვს ჩადენილი, რომ ასე მკაცრად მსჯით-მეთქი. მან პასუხი არ გამცა (მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ იმ ჟანდარმს, ვინც ოქმი შემდგინა სადგურზე ბახმეტიევის გალახვის გამო, მაინც გადმოეგზავნა ეს ოქმი ჟანდარმთა სამმართველოში და ჩემს წინააღმდეგ იმიტომაც იყო მიღებული დასაჯელი ზომები). წამოსვლის დროს კიდევ გამიმეორა სამოხვალოვმა – მეოთხე დღეს აქ მოხვალ ბილეთის მისაღებად და გასამგზავრებლადო. მერე ესეც დააყოლა – ამასთანავე, ნებას გაძლევთ, შენი საცოლე, ნიკოლაევას ქალი, სადაც გინდა იქ წაიყვანეო. ამ მოულოდნელმა ამბავმა საშინლად დამალონა. მივედი ჩემი საცოლის ოჯახში. ზოლმით სავსე ვარ, მაგრამ თანაც მრცხვენია და თავმოყვარეობაშელახული ვერავის ვუმხელ ამ ამბავს. ისევ ნესტორს დავეთათბირე, როგორ მოვქცეულიყავი. ნესტორმა დამარიგა, წადი იოსებ მკერვალთან და გააგებინე შენი მდგომარეობაო. მივედი იოსებთან. იოსებმა მითხრა, სასწრაფოდ გამეგზავნა დეპეშა ყარამან მარლანიასათვის, რომელიც იმჟამად ტროიცკო-სავრასკში იმყოფებოდა. დაჯდა და დეპეშის ტექსტი თვითონ შეადგინა. დეპეშა ასეთი იყო: გენერალ ყარამან მარლანიას – მე ამიკრძალეს ირკუტსკში ცხოვრება. არ ვიცი, რა მიზეზით. გთხოვთ დამრთოთ თქვენთან ჩამოსვლის ნება... ეს დეპეშა იოსებმა გასაგზავნად გაატანა თავის დისწულს, ახალგაზრდა ყმაწვილს, კოლიას, რომელიც მასთან სტუმრად იყო.

ამის შემდეგ, მივედი ხან ხასაევთან. ვუამბე, თუ რა მდგომარეობაში ვიყავი. ისა და მისი ცოლი ძლიერ შეაწუხა ამ ამბავმა, მაგრამ ვერაფრით ვერ დამეხმარებოდნენ. ხან ხასაევმა გამისწორა საბოლოო ანგარიში. მერგო ოთხიათას ხუთასი მანეთი. მეორე დღეს, გენერალ მარლანიასგან მომივიდა დეპეშის პასუხი და 100 მანეთი. იგი მწერდა: **"ჩქარა ჩამოდი. გელოდები ყოველდღე. მარლანია"**. ამან ძლიერ გამახარა. ახლა უკვე საცოლესა და მის მშობლებს ყველაფერი ვუამბე. საცოლემ ბევრი იტირა. ვეფერე, დავამშვიდე.

აი, სამი დღეც გათავდა. ხვალ მეოთხე დღე გათენდება და უნდა დავტოვო ირკუტსკი. ოქტომბრის ბოლო დღეებია. თოვს, მაგრამ ჰაერში სიცივე არ იგრძნობა. საცოლესთან მივდივარ. ამ დროს გზაში შემომხვდა გუბერნატორის კანცელარიის უფროსი, ჩემი კეთილისმყოფელი ზაგჟევსკი და გახარებულმა მომაძახა: სად დაიკარგეთ, თავადო? ორი დღეა დაგეძებთ. ნება მიბოძეთ გულითადად მოგილოცოთ დიდი ბედნიერება!.. მითხრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. მე გაოგნებული შევყურებ ამ კაცს და ვეუბნები, ვერაფერი გამიგია-მეთქი. ჩემთვის ეფიქრობა, მოსალოცად კი არა, სატირლად არის ჩემი საქმე.

მას გაეცინა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: მიღებულია მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ხელმოწერილი ბრძანება თქვენს შეწყალებასა და დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. ხვალ 9 საათზე, მობრძანდით კანცელარიაში გუბერნატორთან და დოკუმენტები ჩაიბარეთ.

ამის გაგონებაზე სიხარულისგან ენა დამება და გული ამიჩუყდა. აღარ ვიცოდი, როგორ გამომეხატა ჩემი მადლიერება ზაგჟევსკის მიმართ. სასწრაფოდ გავქანდი ნესტორთან. ნესტორი გადამეხვია, მომილოცა და მითხრა – ვინც თავის შვილს დრომდე არ ქძებს, არც ერთი ადამიანად და კაცად არ ივარგებსო.

მეორე დილით ზაგჟევსკიმ შემიყვანა გუბერნატორ იუგანთან. გალიმებული გუბერნატორი წამოდგა და ნანატრი ქაღალდის მოსვლა მომილოცა. შემდეგ ფეხზე ამდგარმა წამიკითხა, რომ მეფემ შეიწყნარა მამაჩემის მიერ გაგზავნილი თხოვნა, იაპონიის ფრონტზე გამოჩენილი გულადობისათვის მეპატია სასჯელი და მომენიჭა თავისუფლება. გუბერნატორმა იქვე გადმომცა გათავისუფლების ქაღალდი. მე მას ღრმესი მადლობა გადავუხადე და სიხარულისაგან გულაძგერებული გამოვედი.

იქედან ჟანდარმთა სამმართველოში წავედი. შევდიოდი და როტმისტრი სამოხვალოვი დამცინავი ღიმილით მხვდება, ირონიული კილოთი მეკითხება: რაო, ჩიქოვანო, რომელი მხარე ამოირჩიე?! – ამას ამბობს და თან ბილეთს მაწვდის. მე ხმისამოუღებლად გამოვართვი ეს ე.წ. **"მგლის ბილეთი"**, მის თვალწინ ნაკუწებად ვაქციე და ცხვირწინ, მაგიდაზე დავუყარე.

ამას ნამდვილად არ მოელოდა. სახე მთლად მოენგრა. გაფითრებული ტუჩები სიბრაზისგან აუცახცახდა და დამიყვირა: როგორ ბედავთ ამის გაკეთებას?!

მე მშვიდად ამოვიღე იმპერატორის ბრძანება და გავუწოდე. დახედა, თვალები გაუფართოვდა, სმენაზე დადგა და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. შემდეგ შემომხედა, სიმწრით გაიცინა და მომილოცა. ცივად გავშორდი და წამოვედი.

სასწრაფოდ გავუგზავნე დეპეშა გენერალ მარლანიას. იმ საღამოსვე მომივიდა მისი პასუხი მილოცვითურთ და 100 მანეთი. ყარამან მარლანია მთხოვდა, სამშობლოში ირკუტსკიდან თან წამეყვანა მიშა სიამაშვილი, რომელმაც იქ დაამთავრა სამთო სასწავლებელი და ჩარჩა, ქალებზე იყო გადაყოლილი. მიშას დავულაპარაკე, დამიჯერა და მართლაც, წამოვიყვანე სამშობლოში.

წამოსვლამდე ჩემი საცოლის მშობლებთან მივედი და სრულიად გულწრფელად განვუცხადე, რომ მათი ქალიშვილი ნადეჟდა მიყვარს და გადაწყვეტილი მაქვს მასზე ქორწინება. მათ ისიც ვუთხარი, რომ ახლა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა წავსულიყავი სამშობლოში, სადაც დავიბადე და აღვიზარდე. ვთხოვე, თუკი მენდობით და თქვენს ქალიშვილს შეინახავთ ჩემს სახელზე, პატიოსან, ვაჟკაცურ სიტყვას ვდებ თქვენთან, ჩემს საცოლესთან და ყველა ჩემს მეგობარ-ახლობელთან, რომ როგორც კი მოვაგვარებ ოჯახურ საქმეებს, მაშინვე გაცნობებთ ან მე თვითონ ჩამოვალ და ჩემს საცოლეს წავიყვან...

ისინი დამთანხმდნენ. მე სამშობლოში გასამგზავრებლად დავიწყე მზადება. მეგობრები სათითაოდ ვინახულე. შეძლებისდაგვარად, ყველას პატივი ვეცი. მეცხრე დღეზე წამოვედი ირკუტსკიდან. სადგურზე გამომაცილეს როგორც მეგობრებმა, ასევე ჩემმა საცოლემ და მისმა ძმებმა. კარგად ვიმგზავრე. მშვიდობით დავუბრუნდი დედმამას. ჩემმა გათავისუფლებამ და დაბრუნებამ აუწერელი სიხარული გამოიწვია ჩემს ოჯახსა და ნათესავ-მეგობრებში. რამდენიმე კვირის განმავლობაში განუწყვეტელი ქეიფი იყო ჩვენთან, ჩემი აღმზრდელის და ახლო ნათესავების ოჯახებში. ყველას ვასაჩუქრებდი და მეც ბევრი საჩუქარი მივიღე.

ცოტა ხანმა გაიარა, დედ-მამას გავუმხილე ჩემი გადაწყვეტილება ნიკოლაევის ქალის ცოლად შერთვის თაობაზე. მათ, რა თქმა უნდა, არ სურდათ, უცხო ეროვნების ქალი რომ შემერთო, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და მითხრეს, როგორც თავად გიჯობს, ისე მოიქეცი, ამ ამბავში ჩვენ მხოლოდ დაგეხმარებით და ხელს არ შეგიშლითო.

ჩემი ჩამოსვლის ექვსი თვის თავზე ირკუტსკში დეპეშა გავაგზავნე და საცოლეს შევატყობინე, ჩამოსულიყო. ერთ კვირაში ნადეჟდა ნიკოლაევა ჩამოვიდა და დედაც ჩამოჰყვა. მე და ჩემი ოჯახის წევრები, ახლობლები დავხვდით ზუგდიდში. ჩავედით ჩემს სოფელ ჭკადუაშში, სადაც გადავიხადეთ დიდი, მამაპაპური ქორწილი და დავიწერეთ ჯვარი. რამდენიმე ხნის შემდეგ, სიდედრი დიდად კმაყოფილი დაბრუნდა ირკუტსკში. ნადეჟდა მალე შეეჩვია ჩვენს კუთხეს, შეითვისა ჩვენებური ზნე-ჩვეულებები და ასევე ადვილად შეისწავლა მეგრული და ქართული. თავისი საქციელით, კეთილი ბუნებით, ჩემი დედ-მამისა და ნათესავების დიდი სიყვარული და უსაზღვრო ნდობა დაიმსახურა. არაჩვეულებრივი სიკეთისა და სათნოების გამო, ჩემი მშობლებისა და ნათესავების გარდა, ნადეჟდას მთელი მეზობლობაც დიდ პატივს სცემდა. ჩვენი ტკბილი ცოლ-ქმრული ცხოვრება თექვსმეტ წელიწადს გაგრძელდა, სანამ ულმობელი სიკვდილი ხელიდან გამომტაცებდა საყვარელ მეუღლესა და ძვირფას მეგობარს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*



# საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს

ბ-ნო პრემიერ მინისტრო! ჩვენ, იმ 45 მარტოხელას, რომლებსაც ერთადერთი მარჩენალი შვილი დაგვეღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მოგვცეს დახმარება-კომპენსაცია 45-50 ლარის ოდენობით. ზოგს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაენიშნა.

2005 წლის 23 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს **„სახელმწიფო საპენსიო კანონი“**, სადაც ნათქვამია ორი სახელმწიფო პენსიის მიღების აკრძალვის შესახებ. ის 45-50 ლარი ჩაგვითვალეს სახელმწიფო პენსიად და ჩვენი შრომის პენსია და სტაჟზე დანამატი მოგვიხსნეს – წაგვართვეს, რაც ჩვენ არასამართლიანად, არაკონსტიტუციურად ჩავთვალეთ. 2006 წლის დასაწყისიდან ვიბრძვით როგორც კოლექტიურად, ასევე ინდივიდუალურად, ჩვენი შრომის პენსიისა და სტაჟზე დანამატის აღსადგენად და დასაბრუნებლად, მაგრამ შედეგს ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. არ დარჩენილა საქართველოში არცერთი სახელისუფლებო შტო, რომ არ მიგვემართოს.

სამგზის პარლამენტის თავმჯდომარეებს, მათ მოადგილეებსა და კომიტეტების თავმჯდომარეებს, სამგზის სახალხო დამცველებს, არაერთ ვითომ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ადამიანთა უფლებების დამცველ იურისტებს...

2007 წლის 1 ივნისს სარჩელი შევიტანე საკონსტიტუციო სასამართლოში. საქმე განხილულ იქნა იმავე წლის 7 დეკემბერს. საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებით მაძლევს განმარტებას: **„სამხედრო, შინაგანი საქმეთა ორგანოების და სახელისუფლებო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“** საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნულ და გაცემულ პენსიებს (პენსიის დანამატებთან ერთად) ეწოდება კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდება სახელმწიფო კომპენსაციის სახით.

როგორც ირკვევა, მოსარჩელეს აქვს მარჩენალის დაკარგვის გამო არა პენსიის, არამედ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება. სადავო ნორმა კი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ზღუდავს არა სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო პენსიის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას, არამედ ორი საფუძვლით სახელმწიფო პენსიის მიღებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება (განმარტება) საკმარისი არ აღმოჩნდა ჩვენი შრომის პენსიისა და სტაჟზე დანამატის აღსადგენად. განმარტებისთვის მივმართე საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ავთანდილ დემეტრაშვილს.

მოკლე განმარტება: – საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ თქვენ მარჩენალის გამო უნდა იღებდეთ სახელმწიფო კომპენსაციას, ხოლო ასაკის გამო – სახელმწიფო პენსიას. შესაბამისად თქვენზე არ ვრცელდება **„სახელმწიფო პენსიის შესახებ“** საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კრძალავს ორი სახის სახელმწიფო პენსიის დანიშვნას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესის დროს იყო სიტყვიერი განმარტებაც: – საქართველოს პარლამენტი არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არ აქვს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტს) მიუთითოს ან დაავალდებულოს ცვლილება ან შესწორება შეიტანოს მიღებულ კანონში... ამ განმართებით მიმახვედრეს, რომ მიღებული კანონი არასამართლიანი იყო.

და აი, 2008 წლის თებერვალში ნინო ბურჯანაძემ ოფიციალურად აღიარა, სამარცხვინო კანონი მივიღეთ და ეს უნდა გამოსწორდესო. თვითონ მას, ნინო ბურჯანაძეს თავისი უფლებამოსილების პერიოდში შეეძლო თავისი მიღებული სამარცხვინო კანონი გამოესწორებინა, მაგრამ მან ეს შეგნებულად არ გააკეთა. ბაქრაძემ და მისმა პარლამენტარებმა თავი არ შეიწუხეს. გაზეთ **„რეზონანსში“** დაიბეჭდა წერილი სათაურით: **„ბაქრაძემ, წერეთელმა და თოიძემ უსინდისო კანონპროექტი გააპრავეს“**. ეს წერილი სამარცხვინოა არამარტო ამ სამი პარლამენტარის, არამედ მთელი მაშინდელი პარლამენტარებისა. ამ დროს მათ თავიანთი ხელფასები 250%-ით გაიზარდეს. რისთვის, რა დამსახურებისათვის? საქართველოს გაყიდვა-განადგურებისათვის?

თუ სააკაშვილი ყიდდა და ანადგურებდა საქართველოს, ისინი ხელშემწყობები არ იყვნენ? ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდათ? ისინი საქართველოს გაყიდვა-განადგურებით ხელებს არ ითბობდნენ? არ ეყოთ რაც იშოვეს? ახლა საქართველოს პრეზიდენტობა მოუნდათ?

9-10 წელიწადი დავდიოდით სასამართლოდან სასამართლოში; პროკურატურიდან პროკურატურაში; უსამართლო საქართველოში სამართალი ვერ ვიპოვეთ. შევარდნაძემ და მისმა ბანდამ თუ რამე გვიგროვდებოდა სახელმწიფო შემნახველ ბანკში – წაგვართვა, შვილები დაგვიხოცა. სააკაშვილმა და მისმა ბანდამ შრომის პენსია წაგვართვა. გვითხარით, რა დავაშავეთ?!.

ძნელია, ბურჯანაძის, ბაქრაძისა და უსუფაშვილის მორალსა და ზნეობას შევეხოთ, მაგრამ ჩვენნაირი კატეგორიის მარტოხელებს საარსებო წაართვა, მორალურად და ზნეობრივად არის გამართლებული?..

არ შეიძლება არ შევეხო გაეროს გამოცემას (№8, 2005 წ.), მეტად საინტერესო გამოცემაა და განკუთვნილია პარლამენტარებისათვის. გამოცემა განმარტავს სახელმწიფოთა ვალდებულებას, დაიცვას და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებს და ასევე ამ უფლებათა განხორციელების პროცესში პარლამენტისა და მისი წევრების მხრიდან გასატარებელ ღონისძიებებს. მეტად მნიშვნელოვანია თავი **11. – პარლამენტარების როლი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებში.** ასევე, თავი **13. – რა უნდა იცოდეს პარლამენტარმა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.** ასევე ამ გამოცემაში ნათქვამია, უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე: მოხუცებულობის პენსიაზე, პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო და, რაც მთავარია, უფლება სათანადო კვებაზე. – ჩვენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულების მარტოხელა მშობლებს, საქართველოს ხელისუფლებისა და პარლამენტარების მხრიდან შრომის პენსია და სტაჟზე დანამატწართმეულებს გვაქვს კი სათანადო კვება?

ბურჯანაძეს, ბაქრაძეს, უსუფაშვილსა და ყოფილ და დღევანდელ პარლამენტარებს თუ წაკითხული აქვთ გაეროს ეს გამოცემა, დაუჯერებელია ისეთი დაბალი დონისა იყვნენ და არიან, რომ არ იციან სამართალი და სამართლიანობა! თუ მიზანმიმართული ქმედებაა?

2,5 მილიონი საქართველოს მოქალაქე მეანაბრეები იქნა გაძარცული შევარდნაძის, მისი ახლობლებისა და მომხრეების მეშვეობით. იმ მეანაბრეებთან ერთად გაიძარცვა ის პენსიონერებიც, რომლებსაც პენსიები ყოველთვიურად ერიცხებოდათ სახელმწიფო შემნახველ ბანკში. ზოგი მარტოხელებიც არიან ამ გაძარცულებში. თენგიზ სიგუამ ამ ოპერაციას **„საუკუნის აფიორა ქართულად“** უწოდა.

ამ თემაზე ყოფილი პარლამენტარის გოჩა ფიფიას ინიციატივითა ხელშეწყობით, ჟურნალისტებმა ინაშვილმა და დანელიამ შექმნეს სამსიუჟეტიანი დოკუმენტური ფილმი **„ძარცვა“**, სახელწოდებით: – **„მოტყუებული მეანაბრეები“, „თამაში ჭვავის ყანაში“**, რაც ანზორ ბურჯანაძესა და მის ოჯახს ეხება. და მესამე **„ამბავი ძმები ბეჟუაშვილებისა“**. როგორ და რა მეთოდებით იშოვეს მილიონები. მიუხედავად შანტაჟისა, მუქარისა და დევნისა ფილმები 2006 წლის 18 ივლისს მაინც იხილა მცირედმა მაყურებელმა სასტუმრო **„ქორთიარდ მერიოტში“**.

იმავე დღეს სააკაშვილის პროკურატურის მიერ ფილმები დაპატიმრებულ იქნა. საინტერესოა, ამიტომ არ აწყობდა სააკაშვილს შევარდნაძისა და მისი მომხრე მძარცველების ქმედებები, რომ ენახათ იმ 2,5 მილიონ გაძარცვულ მეანაბრეებსა და პენსიონერებს?..

ამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ტელეკომპანია პირველი არხი, როგორც საზოგადოებრივი არხი, რომელიც ფინანსდება ბიუჯეტიდან, ვალდებულია და ხალხმაც უნდა მოითხოვოს, რომ ტელეეთერით ყოველდღე უჩვენონ ხალხს ეს ფილმები.

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო! თქვენს მიერ შერჩეული და თქვენი ხათრით, ხალხის მიერ პარლამენტის წევრებად არჩეული ზოგიერთი დეპუტატი ჩვენ, პენსიონერებს გონებაჩლუნგებს გვიწოდებენ. იმ მოხუცებს, რომლებსაც მარჩენალი შვილები დაეღუპათ, საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა ორგზის პარლამენტმა საარსებო შრომის პენსია წაართვა. თქვენი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე თუ წინამორბედზე უკეთესია, რატომ არ უნდათ მიღებულ სამარცხვინო კანონში ცვლილებების შეტანა?

2008 წლის 8 აგვისტოს სამაჩაბლოს ომში დაღუპულების 5 წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიალზე ბევრი გულის ამაჩუყებელი სიტყვები ითქვა, ყველამ პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულების ხსოვნას. ყველა გმირებად მოიხსენიეს. იმ გმირებად მოხსენიებულების დედას, მამას საარსებო წაართვა სააკაშვილმა, ბურჯანაძემ, ბაქრაძემ და თქვენმა უსუფაშვილმაც. სამართლიანად მიგაჩნიათ?!

14 აგვისტოს იყო აფხაზეთში ომის დაწყების დღე. სამწუხაროდ, ყველას დაავიწყდა აფხაზეთის ომი და იქ დაღუპული ათასობით ქართველები. ამის დასტურია ის, რომ გმირთა მოედანზე ომში დაღუპულთა მემორიალზე ხელისუფლებისა და მთავრობის არცერთი წარმომადგენელი არ გამოჩენილა. მეგონა პრეზიდენტობის კანდიდატები მაინც გამოჩნდებოდნენ. პრეზიდენტობა ყველას უნდა, არა იმიტომ, რომ ქვეყანასა და ხალხს მიხედოს, არამედ იმისათვის რომ მილიონები იშოვოს, საქართველო **გაყიდოს** და ქართველი ხალხი **ძარცვოს**, როგორც ეს შევარდნაძემ, სააკაშვილმა და მათმა ბანდამ გააკეთეს.

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო! გიგი წერეთელმა თქვა: – რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დამკვირებლები იქნესო მოწვეული.

ჩვენ, მარტოხელა მარჩენალდაკარგულებს გვაწყობს, რაც მეტი იქნებიან საერთაშორისო დამკვირვებლები და ტელერეპორტიორები. და იცით რატომ? თუ დღევანდელი პარლამენტი, უსუფაშვილის მეთაურობით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე არ შეიტანს ბურჯანაძის მიერ მიღებულ კანონში ცვლილებას და არ აღვიდგენენ შრომის პენსიასა და სტაჟზე დანამატს, ჩვენ, მარტოხელები მოვაწყობთ აქციას ქართული და ინგლისურენოვანი პლაკატებით. ამას გავაკეთებთ, რომ მსოფლიომ გაიგოს ვინაა საქართველოს ხელისუფლება...

ყველა დაზარალებულთა სახელით,

**ამირან ნორაკიძე,**
აფხაზეთის ომში შვილდაღუპული,
მარტოხელა, 81 წლის

# მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

დღემდე გაბატონებული აზრის თანახმად, ქართველი ერის ისტორიაში პირველად შეიქმნა ე.წ. ქართული ასომთავრული რომელიღაც უცხოური დამწერლობის პროტოტიპად გამოყენების საფუძველზე, მაგრამ რომელი უცხოური დამწერლობა იქნა გამოყენებული, ამაზე მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ასომთავრული დამწერლობის განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა **ნუსხა – ხუცური**, რომელსაც შემოკლებით, **ნუსხურს** უწოდებენ. ხოლო ნუსხურის განვითარების შედეგად, თურმე, მივიღეთ ე.წ. მხედრული, რომლითაც დღემდე ვსარგებლობთ.

ასე ასწავლიან დღემდე ბავშვებს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

სინამდვილეში კი ე.წ. ქართული ასომთავრულის განვითარება კი არა, ნუსხურში ჩანს ამ უნიკალური დამწერლობის უმოწყალოდ დამახინჯება – გართულება. ასე დამახინჯებულ-გართულებული ნუსხურის მიღება ქართული ასომთავრულის განვითარების შედეგად და შემდგომ მისგან ულამაზესი მხედრული დამწერლობის ჩამოყალიბება, უმარტივეს ლოგიკაშიც ვერ ჯდება.

ელენე მაჭავარიანის აზრით, ასომთავრულის შეცვლა-განვითარება და ნუსხურად ჩამოყალიბება მწიგნობრობის განვითარებამ და ჩქარა წერის მოთხოვნამ გამოიწვია. თითქოსდა, ეს ლოგიკურია, მაგრამ ალოგიკურია განვითარება გართულებისაკენ და არა გამარტივებისაკენ.

შევადაროთ ჩვენი სამივე დამწერლობა ერთმანეთს და გავაკეთოთ ობიექტური დასკვნა: მხედრული დამწერლობა ნუსხურის განვითარების შედეგია, თუ ჩამოყალიბებულია ბუნებრივად, ხატოვანი დამწერლობის თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზით.

ასე დაფრინავენ წეროები ყველგან დედამიწის ზურგზე, მაგრამ ისინი არც რუსულ **Ж-** ს აწერენ ცაზე და არც სომხურ (კ), არამედ ე.წ. ქართულ წ-ს (წეროს რუსულად **Журавль**-ი ჰქვია, სომხურად **კრუნკ**.) ამ ასონიშნის შესაქმნელად სხვა დამწერლობის გამოყენება, ან სხვა დამწერლობის განვითარების გზით მისი ჩამოყალიბება, გამორიცხულია.

განა შეიძლებოდა მხედრული დამწერლობის წარმოშობა რომელიმე სხვა დამწერლობისგან, როცა მისი ჩამოყალიბება საეჭვო არ არის იმ საგნების ხატოვანი ნიშნებისგან, რომელთა სახელწოდებები იმ ერთი თანხმოვნით გამოიხატება, რომელთა აღმნიშვნელი ასონიშნები, ნათელია, ამ საგნების ხატოვანი ნიშნების თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზითაა ჩამოყალიბებული.

მოკლედ, საეჭვო არ უნდა იყოს, ჩვენი მხედრული ანბანი ჩამოყალიბებულია ბუნებრივად, სრულიად დამოუკიდებლად, შესაბამისი ხატოვანი ნიშნების თანდათანობითი ტრანსფორმაციის შედეგად და წარმოადგენს აბსოლუტურად დამოუკიდებელ, ორიგინალურ დამწერლობას, როგორც ამას ნიკო მარიც ვარაუდობდა.

ამ ბოლო წლებამდე პირველი ანბანური დამწერლობის შექმნის პატივდიდებას ფინიკიელებს აკუთვნებდნენ, რადგან **„ფინიკიელთა დამწერლობის უძველეს ძეგლად 1876 წ. კვიპრის კუნძულზე ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის ნაპირზე ამოჭრილი წარწერა ითვლება, რომელიც სიდონის მეფის სირამის მსახურისგან ღვთაება ბაალ – ლებინისადმი მიძღვნილობას შეიცავს. თუმცა ეს წარწერა უთარიღოა, მაგრამ ასოთა მოხაზულობით წააგავს მოამბის მესის წარწერას, რომ, თუ ეს უკანასკნელი ძეგლი 890 წლის ახლო ხანებში ითვლება დაწერილად, კვიპრის ბრინჯაოს ჭურჭლის წარწერაც დაახლოებით 800 წ. უნდა მიეკუთვნოს ქ. წ.“** (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტომი IX, 1996, გვ.21). 2007 წელს ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული წარწერა, რომელიღაც შუა საუკუნეშია შესრულებული ფალსიფიკატორის მიერ.

ამდენად ფინიკიელთა პირველობა დამწერლობის შექმნაში უარყოფილია, მაგრამ, ცხადია, ისიც ჩამოყალიბებულია ხატოვანი დამწერლობისაგან ბუნებრივი ტრანსფორმაციის გზით. ამიტომ ამ ორი დამწერლობიდან ერთერთი უნდა იყოს კაცობრიობის პირველი დამწერლობა. მაგრამ ასონიშანთა მწკრივში გაწყობის თანმიმდევრობა ხატოვანი ნიშნებიდან ჩამოყალიბებული ანბანური დამწერლობისა, როგორც ეს დღეს არის წარმოდგენილი, შეუძლებელი იყო, რადგან რომელიმე ხატოვანი ნიშნისთვის, თუ ამ ხატოვანი ნიშნით გამოსახული საგნისთვის უპირატესობის მინიჭება შეუძლებელია.

ე.წ. ქართულ, ფინიკიურ და ბერძნულ დამწერლობებში ანბანთ მწკრივში ასონიშანთა გაწყობის თანმიმდევრობა თანხვედრილია. ამიტომ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე ქართული ასომთავრულის პროტოტიპად ბერძნულს მიიჩნევს. ბერძნული დამწერლობის შექმნისას, ცხადია, პროტოტიპად გამოყენებულია ფინიკიური დამწერლობა, რადგან ბერძნულ ასონიშანთა სახელდებანი იმეორებენ ფინიკიურის სახელდებებს. ფინიკიური aleф, bet, gimel, dalet და ა.შ. ბერძნულში, შესაბამისად, წარმოდგენილია ოდნავ შეცვლილი ფორმით alфa, beta, gamma, delta და ა.შ. ფინიკიურში არის 22 ბგერა და მისი აღმნიშვნელი 22 ასონიშანი, ბერძნულში კი – 27.

არც ფინიკიურში და, საერთოდ, არცერთ სემიტურ ენაში არ არის ასო – ბგერა **ჟ**, რომელიც ე.წ. ქართულ ანბანთმწკრივში ზის მე-18 ნომრად, არც ბერძნულშია ეს ბგერა. ამიტომ ანბანთ მწკრივში ასონიშანთა მიმდევრობა რომ არ დარღვეულიყო, ფინიკიურში მე-18 ნომრად არის დასმული **შ** ბგერის აღმნიშვნელი ასონიშანი, სახელდებით – შინ, რაც კბილს ნიშნავს. ქართულ ანბანთმწკრივში ასონიშანი (**შ**) ზის 27-ე ნომრად, ხოლო ბერძნულში მე-18 ნომრად ზის პირობითი ასონიშანი, რომელსაც არავითარი ფონემა, ანუ ბგერითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

**კუკური ფიფია,**
აკადემიკოსი,
(გაგრძელება იქნება)

**გაზეთ “ილორის” კომენტარი –** ***სამწუხაროდ, პროგრამული შეუსაბამობის გამო ვერ ხერხდება იმ სხვადასხვა სქემებისა და კრიპტოგრამების გამოქვეყნება, რაც უფრო თვალნათელს გახდიდა ავტორის მიერ განხილულ საკითხებს!***

# ისევ იმ, ტარიელ ფუტკარაძის ავანტურა

ჟურნალ „სამეგრელო“-ს მე-20 ნომერში (2013 წელი) გვ. 14-15, დაიბეჭდა ინტერვიუ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან. ინტერვიუს სათაურშივე გამოტანილია და შემდეგ გაჟღერებულია ცნობა, რომ გერმანიაში მცხოვრები ვინმე ლაზებთან დაახლოებული პირი, ლაზთა საზოგადოების „კაჩკარის“ დამაარსებელი ვოლფგანგ ფოიერშტაინი, ცდილობს თურმე მოქმედებაში მოიყვანოს ქვეყნისთვის მეტად საშიშროების შემცველი მოქმედება. ლაზთა და მეგრელთა თანადგომით გათიშოს ერთიანი საქართველო.

თურმე ეს ფროიერშტაინი, საბჭოთა პერიოდში როცა საქართველოში ჩიტიც კი ვერ შემოფრინდებოდა თბილისში ჩამოვიდა და მას აქ გადასცეს ხელნაწერი „ნანაშინინა“ – ლაზური დედაენა, რომელიც წიგნად გამოვიდა გერმანიაში. ეს დედაენა, მან თურქეთში ლაზებთან ჩაიტანა და რამდენადაც მისთვის ცნობილია, ის ლაზებს, როგორც ქართველთა, ისე თურქების წინააღმდეგ ამხედრებდა. ამის გამო ის თურმე თურქეთიდან გააძევეს.

ძირძველი ქართველები მართლაც საკმაოდ ბევრნი ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, რუსეთში და ასე შემდეგ. თუ მათვის შეიქმნა დედა ენა და მათ ვინმე გერმანელი მოძღვრავდა, რომ თქვენ ქართველები ხართო და ენა არ დაივიწყოთო, რაა ამაში საგანგაშო? იქნებ პირიქითაა, თითოეული ჩვენთაგანს უნდა გვეზრუნა მათთან დაახლოება, რომ არ დავიწყნოდათ, რომელი ფესვიდან მოდიან. ეს საქმიანობა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა ყოფილიყო აყვანილი. ალბათ ტარიელ ფუტკარაძის მსგავს ადამიანებს ელეთმელეთი მოგივიდათ, როცა პრეზიდენტმა ათასამდე თურქეთში მაცხოვრებელ ქართულად მოლაპარაკე ადამიანს, საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან უმრავლესობა, ხომ ლაზია, რომლებსაც დღემდე არ დავიწყებიათ დედა მეგრული და საკუთარი წარსულით ამაყობენ.

იხილეთ ალბათ ტელევიზორში, რამხელა აღტკინება და სიხარული გამოიწვია ჩვენი ძმებისა და დებისადმი ყურადღების გამოჩენამ. ვინმემ დაუშალა თურქეთში პრეზიდენტს არ ჩამოხვიდე და ძირძველ ქართველებს არ შეხვდიო? რაში მდგომარეობს ამ ცრუ განგაშის აზრი ცხადია.

რაც გაკეთდა, ეს უკვე ზრუნვაა, რაც დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. იმისთვისაც უნდა გვეზრუნა, თურქეთში არსებულ სკოლებში ქართული გაკვეთილების ჩატარებისთვის მიგვეღწია.

მოდით, რა, ბატონო ტარიელ, ვისაუბროთ, როგორც საკუთარი ქვეყნის ჭირისუფალ ადამიანებს სჩვევიათ. არ შეუდგები მეცნიერული კვლევებისა და უდაო ფაქტების ციტირებას. მცირე გამონაკლისის გარდა. ფაქტები იმდენად ბევრია და ეჭვმიუტანელი, რომ თქვენ რამდენიც არ გაისარჯოთ, რეალობას ვერაფერს დააკლებთ. ძველი კოლხების პირდაპირი შთამომავლები ეგრისელები, იგივე მეგრელები და ლაზები არიან და მათი სალაპარაკო ენა მუდამ მეგრული იყო. ასევეა სვანურიც. თუ ასე არ არის, მოუხმეთ ფაქტებს, დაამტკიცეთ რა ენაზე საუბრობდნენ ძველი კოლხები?

რატომ გიხარიათ, რომ გერმანელი ფოიერშტაინი ჩვენს საკეთებელ საქმეს, რომ იქმდა და თურქეთიდან თუ გააძევეს? ...თანაც, მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა და რაში გამოიხატა, იმ თქვენგან **„შერისხული“** ადამიანის ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო მოქმედება ვერ გამიგია, ამიხსენით?

დავერიეთ ერთმანეთს? რაიმე სათუო და საეჭვო მოხდა?... არა. პირიქით კი მგონია. უფრო შევდუღაბდით, გავერთიანდით. საერთო ეროვნული ინტერესები გვამოძრავებს.

ხომ ეჭვმიუტანელია, ქართული ერთიანი ეროვნული ცნობიერება, ენა და კულტურა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამიტომ ახალი **„ველოსიპედის“** გამოგონება ანუ საეჭვო და საკირკიტო თეორიების შეთხზვა არ არის საჭირო. არც საკითხის პოლიტიზირება, ეს ძაბავს მდგომარეობას და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ან როგორ შეგიძლიათ ურცხვად მოიტყუოთ და საკუთარ თავს აკადროთ უკადრებელი? ხმამაღლა აცხადებთ **„ფოიერშტაინი შემთხვევითი ფიგურა არ არის: თუმცა, მას ენათმეცნიერებაში საბაზისო განათლება არ აქვს; არც სამეცნიერო ხარისხი აქვს, მაგრამ ძალიან აქტიურია და ცდილობს ლაზები და მეგრელები დააჯეროს, რომ ქართველები არ არიან, მეტიც, მათი მტრები არიან და ქართველთა შორის დაპირისპირების აგორებას ცდილობს“**-ო .

თქვენი ასაკის ვარ, სამეგრელოში დავიბადე. მიუხედავად გაუსაძლისი ყოფისა, ამ ულამაზეს და განსაცვიფრებელ კუთხეში მსურს განსასვენებელი ვიპოვო. აქ თუ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ეწყობა, ჩემს თვალსა და სმენას არ გამორჩება. მე არ მსმენია, გერმანელი ფოიერშტაინი ჩამოსულიყოს და ვინმესთან ჰქონოდა ურთიერთობა. ბრძანეთ ბატონი კონკრეტულად, როდის ჩამოვიდა, ვის შეხვდა? განა პატარა ამბავია, თურმე, ჩვენ თავგზას გვიბნევს და დედა საქართველოსთან გვაპირისპირებს. ამაზე დღემდე რად დუმდით? თუ ხმამაღლა ამის გაცხადების გერიდებოდათ, არსებობს სახელმწიფო საიდუმლო სამსახურები და მათთან გეთანამშრომლათ?

ცხადია, ცილისწამება გამოგდით. მეცნიერისთვის ეს უპატიებელი რამ გახლავთ... არ ვიცი ის ფოიერშტაინი ცოცხალია თუ არა, თუ ფეხზეა და საღ გონებაზე, თქვენი ნალაყბევი, რომ გაიგოს ალბათ აუცილებლად სასამართლოში გიჩივლებთ და ღირსების შელახვისათვის სოლიდურად დაგაჯარიმებთ.

თქვენმა განცხადებამ ჩვენც აღგვაშფოთა და მსგავსი და დემაგოგიური ნაყალბევი თუ განმეორდა, ჩვენ სასამართლოში შევხვდებით ერთმანეთს. თქვენ მოგიწევთ მტკიცება ვინ არიან ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ მოქმედნი სამეგრელოში და ვინ აყვებიან გადამთიელთა პროვოკაციას?

ღმერთო! რა უსინდისობაა, რა უმსგავსოება?

ალბათ ის მაინც ნახეთ, სამეგრელოსა და სვანეთის ენისა და კულტურის უარმყოფელო მეცნიერო, რომ ყველა პრეზიდენტი (კარგი გამოდგა თუ ცუდი) საკუთარ საპრეზიდენტო მარათონს სამეგრელოდან იწყებს. ეს ძველისძველი და დალოცვილი კუთხე მუდამ გამოირჩეოდა დედა საქართველოსადმი ერთგულებით და მარად ასე იქნება. ამას საფუძველი დიდმა წინაპარმა, ქუჯიმ ჩაუყარა. მან ფარნავაზს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში შეუწყო ხელი და იმ მითაჟამიდან დღემდე ერთიანობის ის დუღაბი არ დაშლილა ,არ შელახულა. თქვენ კი ჩასაფრებულივით რაღაცას აკოწიწებთ და ამით ვითომ ერის სამსახურს ეწევით.

ვაი, რომ არ გამოგდით.

იქნებ არ იცით და მინდა მოგახსენოთ, უკვე გადაწყდა სამეგრელოს გულში, ქალაქ სენაკის ცენტრში დაიდგმება ქუჯისა და ფარნავაზის ძეგლები, როგორც სიმბოლო ჩვენი ხალხების ერთიანობისა და სიმტკიცისა.

ცხადია, თქვენ გაღელვებთ, ევროპული ქარტიის ვალდებულებები, რომელიც რეგიონულ და უმცირესობათა ენების დაცვის საკითხს შეეხება. ქარტიაში მოცემული ვალდებულებები **„უკუღმა“** გააცანით ამ საკითხებში გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს.

მეგრული, სვანური და ლაზური ენები, როგორც ქართველური ენები, წარმოადგენენ მცირერიცხოვანი ხალხების უმწერლობო და რეგიონალურ ენებს და არა ეროვნულ ენებს. აქედან გამომდინარე ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიცირებით მეგრულ და სვანურ ენებს, ენის სტატუსი კი არ მიენიჭებათ, არამედ სახელმწიფო ვალდებული იქნება დაიცვას ეს ენები.

ცხადია ენა, რომელზედაც არაფერი იწერება, წირვა-ლოცვა არ მიმდინარეობს, რომელიც არ ისწავლება თანდათან განწირულია გასაქრობად. ეს კი სიკვდილის მომასწავებელია. ენის სიკვდილი დიდი ცოდვაა და ყველამ ერთად ეს ცოდვა არ უნდა ჩავიდინოთ. რადგან საქართველო უნიკალურია თავისი მრავალფეროვნებითა. მის ბრწყინვალე მოზაიკას სწორედ ენობრივი სიუხვეც აფერადებს.

მითხარით, ბატონი ტარიელ, რეგიონალური ენისადმი ზრუნვა დამღუპველია სახელმწიფოსა და რაიმეთი ვნებს დედა-ენას? ხომ ცხადია, ქარტია არ მოგვიწოდებს სვანეთსა და სამეგრელოში, მათი მშობლიური ენა სახელმწიფო ენებად გამოაცხადეთო.

რაშია თქვენი და **„ძმათა“** თქვენთა, ელეთმელეთისა და განგაშის არსი?

დაუფარავი სიძულვილში ხომ არა?

საქართველოში სალიტერატურო, ანუ სამწერლობო ენა ერთი იყო და ასე იქნება.

სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადო, მართლაც შეექმნა პრობლემები მეგრულ და სვანურ ენებს და მიგვაჩნია, რომ საჭიროა მათი დაცვა, როგორც უძველესი მსოფლიოში და უნიკალური ენები. ეს სურვილი, ეს წადილი რატომაა სეპარატისტული გამოხდომა? რა აქვს მას საერთო, ერის გახლეჩასა და თქვენი სიტყვებით, რომ ვთქვათ **„ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებასთან – “გათიშე და იბატონე“... თურმე ფოიერშტაინის მოქმედების ერთ-ერთი ელემენტია: სტალინის დეკლარირებული იდეოლოგია“.**

ამაშიაც ცდებით .აიღეთ ევროპული ქვეყნები და ნახავთ, როგორ იცავენ ისინი უმცირესობათა ენებს. იქ არ ტეხენ უაზრო ყაყანს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, პირიქით, ყველაფრით ცდილობენ ხელი შეუწყონ და ნებისმიერი ენა გადაარჩინონ. მისცენ არსებობისა და მოქმედების საშუალება. ეტყობა ჩვენი ჩამორჩენილობის შედეგია, ამდენ უკადრებელს რომ ვკადრულობთ. თუ გგონიათ, რომ მშობლიური ენის უარყოფა და შეგინება ჩვენთვის მისაღები იქნება, ძალიანაც ცდებით. თქვენ და ყველა ისინი ვინც ცდილობთ, დაასამაროთ, შებილწოთ და უარყოთ სვანური და მეგრული ენები ვერ მოესწრებით. მიმოიხედეთ ოჯახში, თვალი გადაავლეთ თქვენს ახლო ნათესავებს და აღმოაჩენთ, რომ თქვენს ირგვლივ დასახელებული კუთხეების შვილია. დაფიქრდით, რომ მათ გულს სტკენთ და შეურაცხყოფას აყენებთ.

შეურაცხყოფას იმის გამო, რომ თქვენ, მათი მშობლიური ენის კვდომა გინდათ. როცა ენა კვდება, ხალხიც ქრება. ჯალალედინს, შაჰ-აბასს და მურვან ყრუს სწორედ ეს სურდათ. ამას ცდილობდნენ.

კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც ბატონო ტარიელ თქვენ მუდმივად აპელირებთ. ეს გახლავთ ,გასული საუკუნის – 20 წლებში ისაკ ჟვანიასა და გრიგოლ ახალაიას მოთხოვნები სეპარატისტული იყოო. დაგავიწყდათ სხვები. არსებობდა კიდევ ამგვარი ჯგუფი **„მაფშალია“.** მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ვინმე, ივანოვსკი და აშორდია. მათი მოღვაწეობის ამსახველი მასალები ახლა მაგიდაზე მიდევს. გამოდიოდა **„ყაზახის გაზეთი“, „კომუნა“** და სხვა. ეს იყო დროით ნაკარნახევი მოქმედებები. რომელმაც დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალია. ვინ უარყო ის გამოხდომები? თქვენივე სიტყვებს გამოვიყენებ **„ამ მხრივ გამორჩეული როლი ითამაშეს თედო სახოკიამ და კონსტანტინე გამსახურდიამ, ასევე არნოლდ ჩიქობავა და ლავრენტი ბერიამ“.**

გამოგრჩათ უნიჭიერესი ადამიანი, შალვა დადიანის მამა, დიდი ნიკო დადიანი, რომელმაც სხვებთან ერთად, ასევე მიწასთან გაასწორა აშორდია და მწვავე პასკვილი მიუძღვნა მას.

ერთი და ორი ადამიანის მიხედვით მთელ მხარეზე ან ენაზე მსჯელობა და დასკვნების გამოტანა ავანტურაა. მეცნიერული ავაზაკობაა...

ასეა, ბატონო ტარიელ. ჩვენივე ჭირს ჩვენვე ვუვლით, სხვისი კირკიტი და ჩხირკედელაობა არ არის საჭირო. ყური მიუგდეთ ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნიკო მარისა და სხვათა დარიგებებს. მათ არასდროს წამოსცდენიათ, რაიმე აუგი სამეგრელოსა და სვანების მიმართ, რადგან ბრძენი ქართველები იყვნენ. ისინი მეგრულ-ლაზურსა და სვანურ ენებს ძმა ენებად თვლიდნენ, მარგალიტების სალაროდ და ყველას ურჩევდნენ ამ მარგალიტებით ესარგებლა.

ნუ შეეხებით ამ მარგალიტებს ბინძური ხელებით. ქართული ანდაზა გვასწავლის **„სიყვარულს უშენებია და მტრობას დაუნგრევიაო“.** სიძულვილს, გონებას ნუ გადააყოლებთ. თავი მიანებეთ ამ დემაგოგიას, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების ძაგებასა და საეჭვო თათხვას, გირჩევნიათ კეთილშობილურ საქმე იტვირთოთ. ნაკლის პოვნას რა უნდა შე კაცო! საქართველოს ისტორიაში ამის აუარება მაგალითია. ლევან სანიკიძემ აკი გამოსცა წიგნი – **“307 სირცხვილი“.**

ჩვენი ერთიანობის, სიმტკიცისა და თანადგომის მაგალითები მოიპოვე. ეს უფრო მომგებიანი საქმიანობაა. კეთილად გამოადგება საქართველოს მომავალს, ერის წინსვლას ახალი თაობის, გმირულ და ჭეშმარიტ მაგალითებზე აღზრდას.

თქვენი და ეჭვებით შეპყრობილი ადამიანების გასაგონად ხმამაღლა გავიმეორებ. სამეგრელოს გულში ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლს აშენებენ, ჩვენი ერთობის, ჩვენი სიმტკიცისა სიმბოლოდ.

**ბორის დავითაია,**
**ეროვნული მწერალთა აკადემიის წევრი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია „აია„-ს ნამდვილი წევრი**

---

# “ირემო, მთასა მყვირალო!..”

*(ცოტა გავიცინოთ, თორემ გასკდა გული...)*

**ციკლიდან – როგორც მოსვლით გაგვახარე, ისე წასვლით გაგვახარე!**

ჩემო ძვირფასო მკითხველო!

მოულოდნელად გამიჩნდა სურვილი, რომ ცოტათი მაინც გაგამხიარულოთ. უამრავი ჭორ-მართალი დაგროვდა და უთქვენოდ არ მინდა მიმოვიხილო. ჭორი შეიძლება უამრავი აგორდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **“კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს”!** უმთავრესი მოვლენა ის გახლავთ, რომ ჩვენმა **“საამაყო”** პრეზიდენტმა მთას მიაშურა, უფრო სწორედ კი, თავი დაიხსნა საჩიხედან და **“შორენა კოლონკელიძის ნებიერასავით”** თავი მთას შეაფარა. ახლა იქიდან გვმოძღვრავს კლდეს გადმოკიდებული ხარ-ირემივით, გინდ ხარ-ჯიხვივით... გაითვალისწინა რა დელავინის სიტყვები: **“უქმად ყოფნა ჟანგია სულისა”,** სააკაშვილმა დაიწყო ახალი სპეციალობის – მთამსვლელობის ათვისება (თუ არ დავუძახებთ – ბობღიალს), ახლა კი იმასაც ამბობენ, რომ სპალეოლოგიის შესწავლაც სურსო. მაგრამ, მოდით, მოვლენებს ნუ დავასწრებთ!

მთის კორტოხზე მოქცეულ სააკაშვილს მყვირალობის პერიოდმა მოუწია, თანაც გვამცნო, რომ ოცნება აისრულა (ეს სხვა **“ოცნებაში”** არ აგერიოთ), რომ ეს მთაბობღიალობა მიუძღვნა 2008 წლის აგვისტოს თვეში მისივე მიზეზით დაღუპული ნამდვილი საჯიშე ბიჭების ხსოვნას (რომელთა უმრავლესობის ცხედრები უპატრონოდ მოადგეს ყვავ-ყორანთა საჯიჯგნად). ადრე, მცირე სიმაღლიდან – საკუთარი რეზიდენციის ზემო საფეხურიდან თუ დაგვცინოდა, ახლა **“ამაღლდა”** და ისე დაგვცინის. თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემამდე მოაღწია ხმამ იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის მწვრთნელი მთაზე ბობღიალში ე.წ. **“პადოშა”** ყოფილა. ისიც ხომ ყველა ბოთლს მორგებული კლდეძრომიალა ძლოკვია, სააკაშვილისთანა არა, მაგრამ საკმაოდ ენაგაკრეფილი. ამბობენ, სააკაშვილმა იმიტომ მიაშურა მთას, რომ ბარში თანამოაზრე აღარ ეგულება და ახლა **“თოვლის კაცების”** აღმოჩენა და მხარში ამოყენება უნდა, რათა როგორმე პოლიტიკური სანაგვიდან ამოათრიოს ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობა”**-ო. მერე ვიკითხოთ, რომ დაგვესევიან **“იეტები”** პამირიდან, ალტაიდან, ტიან-შანიდან, მონბლანიდან, კილიმანჯაროდან და ა.შ. სხვა გადამთიელები ხომ ისედაც არ აკლია საქართველოს, სააკაშვილისა და ნაცების წყალობით. ეს იდეა სააკაშვილს ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების ფენომენმა გაუჩინა. თოვლის კაცები კი იმისთვისაც სჭირდება სააკაშვილს, რომ მთავრობის სხდომის ქვორუმი შეაგროვოს, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთავრობის სხდომა ჯომოლუნგმაზე დანიშნოს, სადაც მისი ქვეშაფსია მთავრობის წევრები ნამდვილად ვერ ავლენ. მიხეილ სააკაშვილს კი ვერაფერი ვერ შეაკავებს, რადგან სულელია და სულელისათვის არც ზნეობრივი ზღვარი არსებობს და არც გეოგრაფიული. ამიტომ, შემოისვამს ხოლმე სააკაშვილი მაგიდასთან ამ გაბურძგნილ არსებებს (გარეგნულად ხომ ისინი თვალებდაყვლემილ გიგა ბოკერიასა და **“პირბურთა”** მახინჯ გივი თარგამაძეს ნამდვილად სჯობიან) და თქვენგან მოწონებულ სამთავრობო სხდომას გამართავს!

ახლა, რაც შეეხება სააკაშვილის დაინტერესებას სპალეოლოგიით!

იმასაც ამბობენ, რომ სააკაშვილი თავისი მთავრობის წევრებს მთასვლელობაში იმდენად წვრთნის, რომ ბეჩოს გამოქვაბულამდე როგორმე ააღწიონ, სადაც იგი ახალ რეზიდენციას აწყობს. ყოველივე ამის ფონზე დიდ ჭეშმარიტებად მოსჩანს სააკაშვილისა და ნაციონალების მტკიცება იმის თაობაზე, რომ **“საქართველოს ისტორია”** 2003 წლიდან იწყება. დიახ, მათ სწორედაც რომ **“გამოქვაბულის საქართველოს”** დაუდეს სათავე და შექმნეს **“გამოქვაბულის საზოგადოება”**, რომლის წევრებიც, ყველას თვალწინ, **“ბუჩქებში”** იკმაყოფილებდნენ სექსუალურ თუ ბიოლოგიურ მოთხოვნებს და არავის ანაღვლებდა, ამას კაცი აკეთებდა კაცთან თუ ქალი – ქალთან! ყოველნაირად ცდილობდნენ შეექმნათ ის საზოგადოება, რომელსაც არაფრად სჭირდებოდა განათლება, მეცნიერება, კულტურა...

განა სწორედ ეს არ გახლავთ ის **“გამოქვაბულის საქართველო”**, რომელსაც დღესაც დიდი მონდომებით ეტრფიან სააკაშვილი და მისი ლეკვები? ჰოდა, არ უნდა მოაკლდეთ მათ **“მშობლიური გარემო”** და ჩვენ ვალდებული ვართ, სათანადოდ დავაფასოთ ნაცებისა და მათი დორბლიანი ბელადის **“ღვაწლი”** და დიდი პატივით მივაცილოთ ისინი ბეჩოს გამოქვაბულამდე! და, რაც მთავარია, სააკაშვილსა და მის **“ნაცებს”** თან უნდა გავაყოლოთ ნამდვილი გამოქვაბულის ტელევიზია **“რუსთავი-2”**, საიდანაც დღედაღამ ნიაღვრად მოედინება ყოველივე გარყვნილება და ნორმალური საზოგადოებისათვის მიუღებელი სიცრუე...

იმასაც ამბობენ, სააკაშვილი მემუარების წერას აპირესო. რა არის ამაში გასაკვირი? თუ მემუარები დაწერა ცბიერმა მაძებარმა, ჯაშუშმა, დეზერტირმა, ქურდბაცაცამ, მოღალატემ, კატორღელმა ეჟენი ფრანსუა ვიდოკმა, სააკაშვილი ვითომ რითია მასზე ნაკლები? ყველა ამ თვისებებით იგი ხომ ვიდოკზე აშკარად მაღლა დგას?!

თავისი მემურების დევიზად კი სააკაშვილს გაიშელის ოქროს სიტყვებს შევთავაზებდით: **“ჭკვიანია იგი, ვინც დროზე მოვა, უფრო ჭკვიანია ის, ვინც დროზე წავა”!**

**როზმირ გოგენია,**
**ქ.ზუგდიდი**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# წარსულში დარჩენილი ვაჟკაცობა?



იმ საღამოს უსიამო ამბავს შევესწარი, გალეშილი, ყოფილი პატიმრის (როგორც მერე გავიგე) ხულიგნობას. მხოლოდ მისმა საქციელმა კი არა, ფაქტის შემსწრე საზოგადოების გულგრილობამ და ხულიგნის მიმართ ხალხის შემწყნარებულობამ გამაოცა. მთვრალი მამრობითი სქესის არსება ახალგაზრდა ქალს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა იმის გამო, რომ მისგან გაცნობაზე და ტელეფონის ნომრის მიცემაზე უარი მიიღო. ხალხი აღელვებულ ქალს მოუწოდებდა ხულიგნისთვის შეენდო დანაშაული, მთვრალია და ეპატიებაო. დაზარალებული იძულებული გახდა პოლიციისთვის ეხმო დასახმარებლად. მოსეირეებმა ამის გამო ქალის საქციელი დაგმეს, კაცი ციხიდან ახალი გამოსულია და რას უპირებ, გინდა, ისევ ციხეში დააბრუნონო? საბედნიეროდ, იმ ქალის პრინციპულობა ვერანაირმა შეგონებამ ვერ გატეხა. შეურაცხყოფილმა საკადრისად მოითხოვა ხულიგნის დასჯა.

რა გვჭირს? ზნე სულ წაგვიხდა? ზოგი საკუთარ დედას იგინება, ზოგიც სხვას აგინებს და დანარჩენები მაგინებლებს იცავენ? ნუთუ წინათაც ასეთები ვიყავით? მომხდარმა იმდენად იმოქმედა ჩემს განწყობაზე, რომ პოზიტიური განცდებისთვის ჩემს საინფორმაციო სკივრში ქართველთა ვაჟკაცობის ამბები ამოვქექე. ვფიქრობ, სანაქებო ადამიანების შესახებ ხშირად უნდა ვწერო, რომ მათი მაგალითი გადამდები აღმოჩნდეს სხვებისთვის.

ბევრმა არაფერი იცის სპირიდონ (კეჭოუკა) გოცირიძის შესახებ, რომელმაც გულჩვილობის გამო თოფის ხელში აღებაზე და ომში ბრძოლაზე უარი თქვა, მაგრამ იაპონელ ფალავნებს სახალხოდ აჭამა სირცხვილი.

დიახ, 1905 წელს, ბედის უკუღმართობით იაპონელებთან მოხვედრილ რაჭველ მეპურეს ორი, იმ დროისთვის ცნობილი ძიუდოისტი თვალის დახამხამებაში გაუკრავს ტატამზე. ამ ამბავს შესწრებია რუსულ გარნიზონში სამბოს დამამკვიდრებელი ანატოლი ხარლამპიევი და აღფრთოვანებულს მემუარებში ჩაუწერია: **"მე გახლდით პორტ-არტურში, სადაც ქართველი მოჭიდავის ჩატარებული საოცარი ილეთები ვნახე".**

ხარლამპიევის მემუარებში ერთი პატარა აბზაცით გადმოცემულ სპირიდონის თავგადასავალს საქართველოში ძებნას არავინ დაუწყებდა, რომ არა ერთი შემთხვევა: ჩემს კოლეგას, მიხეილ ლაბაძეს, რამდენიმე წლის წინ ბებია გახდომია ავად და საავადმყოფოში დაუწვენიათ. მოსიყვარულე შვილიშვილი თურმე ყოველდღე აკითხავდა მოხუცს. ერთ დღესაც მიხეილს უთქვამს, წავედი ახლა, კარატეზე მაგვიანდებაო. ეგ კარატე რაღააო, – უკითხავს ბებიას და შვილიშვილსაც ორიოდე სიტყვით განუმარტავს, იაპონური საბრძოლო ხელოვნებააო. იაპონიის ხსენებაზე გვერდით საწოლიდან მოხუცს წამოუწევია თავი: **"რაო, იაპონიაო? ბოშო, ეგ იაპონელი მებრძოლები ჩემმა ძამია კეჭოუკამ რაჭული ჭიდაობით ცხვირ-პირით გააკრა მიწას და პირები დააფჩენიაო"**, და ქალბატონ ანეტას წვრილად უამბია სპირიდონ გოცირიძის ამბავი.

**მიხეილ ლაბაძე:** – ქალბატონი ანეტა სპირიდონის ერთადერთი და ყოფილა. სპირიდონ (კეჭოუკა) გოცირიძე ზემო რაჭაში დაბადებულა. ბავშვობიდანვე ღონიერს, მაგრამ მშვიდსა და ალალს არასდროს ჰქონია პრობლემები, თუმცა, ბედს ერთ დღეს რუსის ჟანდარმთან შეუხვედრებია... 1904 წელს ქუთაისში საქმეზე ჩამოსულა კეჭოუკა. ეს ის დრო იყო, რუსები განსაკუთრებული სიფრთხილით რომ აკვირდებოდნენ ამბოხისა და წინააღმდეგობის მოყვარულ ქართველებს, რომელთაც რუსულ ჯარში სამსახური არ სურდათ. მოკლედ, დაინახეს ჟანდარმებმა შუა ქუჩაში ზანტად მომავალი ახოვანი ბიჭი, რომელიც ერთ ჭამაზე ერთ ხარს შეჭამდა. დაუძახეს: **"მოდი, ერთი ჭიქა არაყი დაგვილიეო. პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და დაათვრეს კეჭოუკა. როგორც ჩანს, არაყში რაღაც გაურიეს. რომ გამოიღვიძა, უკვე გვიანი იყო – მატარებელში იჯდა და ხელფეხშეკრული თბილისისკენ მიჰყავდათ..."**

მაშინ იაპონიას ექიშპებოდა რუსეთის იმპერია, ამ ომში კი არა მხოლოდ ქართველებს, კაზაკებსაც არ სურდათ წასვლა – იაპონელ სამურაებს კაციჭამიების სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

მიუხედავად იმისა, რომ კეჭოუკა ჟანდარმების ტყვე იყო, ჯარისკაცობაზე ვერ დაუყოლიებიათ. იმდენი მოუხერხებია, რომ პორტ-არტურში ძალით გაგდებული რუსი გენერლის – ანატოლი სტესელის პირადი მზარეული გამხდარა. 1905 წლის 5 იანვარს პორტ-არტური სწორედ სტესელმა ჩააბარა იაპონელებს და კაპიტულაციაზე მოუწერა ხელი... ამის შემდეგ იაპონელმა გენერალმა ჰეიჰატირო ტოგომ (ძიუდოისტიც იყო) სტესელს უთხრა: **"თუ თქვენს გარნიზონში არიან ჯარისკაცები, რომლებსაც ჭიდაობა ეხერხებათ, ჩვენებურ ძიუდოისტებს შევაჯიბროთო"** (ძიუდო ახალი **"ხილი"** იყო იმ დროს და ყველა იაპონელი ძიგორო კანოს, ძიუდოს შემქმნელის სახელს ფიცულობდა). **სტესელიც რას ეტყოდა, დაბეჩავებული და უფლებააყრილი, სული კინაღამ გაეპარა, მაგრამ დათანხმდა. მოკლედ, გამოიყვანეს იაპონელებმა ძიუდოისტი, კოდოკანის (ძიუდოს მთავარი სკოლაა) მოსწავლე ვაკაბაიაში ტარო და კი წააქცია თორმეტი რუსის ფალავანი"... ჩამოყარა თურმე ყურები სტესელმა. ამ დროს მისი პირადი მზარეული კეჭოუკა იქვე, სახელდახელო თონეში პურს აცხობდა და დაინახა, როგორ ჭიდაობდნენ ჯარისკაცები. ჯერ ზანტად მოიჩრდილა ხელი, გახედა, მერე "წერეთელმა დაგვიბარას" ღიღინით გაემართა ჭიდაობის საყურებლად, მაგრამ ახლოს მისული დაღონდა: გოუთავებიათ უკვეო."**

უკან გაბრუნება რომ დააპირა, თვით დიდმა ჰეიჰატირომ მოჰკრა თვალი და – ეს ფალავანი ვინააო? – იკითხა თურმე. – რა ფალავანი, მზარეულია და ისეთი კაცია, თოფი ვერ ავაღებინეთ ხელშიო, – უპასუხეს კაზაკებმა. ჰეიჰატირო კეჭოუკას დაეწია და ჰკითხა: **"ჭიდაობა იციო?"** თან ხელით ანიშნა. კიო, – თავი დაუქნია კეჭოუკამ.

ჰოდა, აბა, ამას თუ წააქცევო, – ღიმილით ტაროზე მიუთითა ჰეიჰატირომ. კეჭოუკა დინჯად შესულა წრეში, დასჭიდებია ტაროს, უცებ გამოუდვია სარმა და ძირს დაუცია.

წამომხტარა ტარო, ეგ რა გამიბედაო, – მაგრამ ჰეიჰატიროს თვალით უნიშნებია, გაჩერდიო, წრეში კი იმაზე უფრო ძლიერი ძიუდოისტი, თვით ძიგორო კანოს **"უჩიდეში"** (მოსწავლე, რომელიც მწვრთნელის სახლში ცხოვრობს), ჯიუნიტირო ტორიგაი შეუგდია. ახლა ტორიგაი ეკვეთა თურმე რაჭველს და კისრულის ჩატარება დაუპირა, მაგრამ კეჭოუკამ კონტრილეთით ისიც ძირს დასცა, მერე კი რაჭული სიმშვიდით თონეში პურის საცხობად გაბრუნდა...

ჰეიჰატირო აღფრთოვანებულა ვაჟკაცი გადამთიელით, კაზაკებისთვის დამცინავად გადაუხედავს: **წადით, თქვენი ასე და ისე, თქვენ მეომრები უნდა გერქვათ და ამას მზარეულიო?** და კეჭოუკასთან მისულა მოწიწებით.

ეხვეწა, ემუდარა თურმე იაპონელი ქართველს, კოდოკანში შემოდი და იაპონიაში ყველაფერი გექნებაო, მაგრამ ვერაფერი გააწყო – სპირიდონს მშობლიურ რაჭაში დაბრუნებაზე მეტად არაფერი უნდოდა.

კეჭოუკა 1905 წლის ზაფხულში დაბრუნდა რაჭაში და მოგვიანებით ეს თავგადასავალი შვილებს უამბო.

სამწუხაროდ, ქალბატონი ანეტა 1995 წელს, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისგან მხოლოდ ეს ამბავი და კეჭოუკას ფოტო დამრჩა. სპირიდონს ვაჟები ჰყოლია – პროკოფი და ბესარიონი, თავისნაირი ვაჟკაცები; მეორე მსოფლიო ომში დაკარგულან. არ ვიცი, რომელიმეს დარჩა თუ არა მემკვიდრე. სამწუხაროდ, ვერ მივაგენი, ანეტას კი შვილები არ ჰყავდა.

ანატოლი ხარლამპიევის მემუარებში კეჭოუკა ნამდვილი სახელით – სპირიდონით არის მოხსენიებული.

ნეტავი, კეჭოუკასნაირები თუ დადიან კიდევ ამ ქვეყნად?

ე. ლომიძე

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი




## პრემიერი ივანიშვილი: „ის, რაც საზღვრებზე ხდება – სააკაშვილის ბრალია! მან დაანგრია ყველაფერი და უნდა, რომ მასწავლოს, როგორ ავაშენო?! ის დღესაც აგრძელებს თავის რიტორიკას რუსეთის მიმართ!"

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გამოეხმაურა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველომ ბოლო თვეებში უფრო მეტ სახნავ-სათესი და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დაკარგა კონტროლი, ვიდრე 2008 წლის ცხელი ომის დროს ქურთაში და თამარაშენში.

**„ეს შედარება როგორც მოგწონთ? შედარება ჯანსაღია? რომ შევადაროთ აფხაზეთის ტერიტორია და სამხრეთ ოსეთის და ის გადმოწევები, რაც ახლა ხდება, შედარებადია? ჯანსაღია?",** – განაცხადა პრემიერმა ივანიშვილმა.

**„იყო რუსეთის დიდი აგრესიაც, ოკუპირებული ტერიტორიებიც, მაგრამ მათი დიდი უმეცრებების გარეშე, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არ მოხდებოდა და ვერ მოხდებოდა. მათ გააკეთეს უამრავი სისულელე, მისი თამადობით ზუსტად. და ახლა რომ პოზიციას იჭერენ, სულ უნდათ, რომ გვასწავლონ... სანამ მოხდებოდა 2008 წელი, განა მანამდე არ მოხდა ურთიერთობების გაფუჭება და ჩიხში შეყვანა ბოლომდე? განა მანამდე არ მოხდა ბიზნესმენების გამოყრა რუსეთიდან, განა მანამდე არ მოხდა სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტა და ეს პროცესები განა მანამდე არ განვითარდა და მაგ კაცს არ აქვს ლომის წილი ამაში ყველაფერში? დღეს რა უნდა ვისწავლოთ მაგისგან ჩვენ? და იგივე რიტორიკას აგრძელებს და ჰგონია, რომ მაგ რიტორიკით რამე მოიგო და რამე გააკეთა? შესაბამისად, უნდა ისწავლო მისგან, ვისაც კარგი მაგალითები აქვს, ვისაც აქვს მიღწევები. ის, რასაც მიაღწიეს მათ და მაგან რასაც მიაღწია პირადად, მაგისგან სასწავლებელი ჩვენ არაფერი არა გვჭირს. ჩვენ ვიქნებით პრინციპული და თანმიმდევრული და მათ გაფუჭებულ საქმეს აუცილებლად გამოვასწორებთ – ამას ვპირდები საქართველოს. მაგრამ ამას დრო სჭირდება",** – აღნიშნა პრემიერმა ივანიშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საქართველოს მთავრობისთვის დიალოგის შეთავაზების პასუხად, რათა ერთობლივი ძალისხმევით მიეღწიათ საქართველოს მიწების **„ჩუმი და ძალიან საშიში ანექსიის"** შეწყვეტისთვის.

**„აი ის, რაც გააკეთეს, იმის შედეგებია ეს, საზღვრებთან რაც ხდება და მას ჰგონია, რომ ჩვენი ბრალია, ის უნდა, რომ მასწავლოს ახლა, თითქოს ჩვენი შერბილებული რიტორიკის ან რაღაც გამონათქვამების ან ქმედების შედეგია ის, რაც ხდება დღეს ე. წ. საზღვრებთან. ეს არის შედეგი ზუსტად მათი უმეცრებების და მათი სისულელეების. იმას ვიმკით დღესაც. თუ ნახავთ კარგ მასწავლებელს, ვისაც აქვს კარგი მიღწევები, მე სიამოვნებით მოვუსმენდი, მაგრამ ის ვერ გამოდგება კარგ მასწავლებლად. ამაში ლომის წვლილი აქვს პირადად სააკაშვილს და ახლა სააკაშვილმა მე უნდა მასწავლოს ჭკუა, რა უნდა გავაკეთო? ახლა ამან დაანგრია და მე უნდა მასწავლოს აშენება!",** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## იუმორი

**კარგი ქმარი სკივრივითაა, ხანდაზმულია და ფულით სავსე. გარდა იმისა, რომ იპოვე, უნდა დამარხო კიდეც.**

* * *

ღამეა, პარკინგზე მიდის ტიპი, სათითაოდ ათვალიერებს ყველა მანქანას, სახელურებს ამოწმებს, მინებს, კარებს... ბოლოს მიდის იქ მდგომ ბიჭებთან და მთვრალი ხმით ეუბნება:

– ბიჭებო, ხომ არ გინახავთ, რომელი მანქანით მოვედი?

* * *

გვიანი ღამეა, დილის სამი საათი... შემოდის კაცი, უგონოდ მთვრალია, უცებ რაღაცას ფეხი წამოკრა, გადაყირავდა, სკამიდან გადმოვარდა ტაშტი, ხმაურზე გამოცვივდნენ ცოლი და შვილები. კაცმა გაიცინა:

– რაო, მამიკოს გარეშე ვერ იძინებთ?

* * *

კაცი მიდის სამსახურში.

შეფი ეკითხება: – რატომ მოხვედი, დღეს შენი სიდედრის დასაფლავება არაა?

– ჯერ სამსახური, მერე – სიამოვნება...

* * *

ქმარი დილით ბრუნდება სახლში, სახე მთლიანად პომადით აქვს მოსვრილი, პუდრი აყრია, წითური თმები...

– სად ეგდე?

– არ დამიჯერებ, მაგრამ კლოუნი გადამეკიდა და მთელი ღამე ვეჭიდავებოდი...

ISSN 1987-8966 ilori
9 771987 896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge